

659
1968

~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~ ~~სპ~~

საბჭოთა კავშირი

საბჭოთა კავშირი

1968 1

ლიტერატურული-მსაჯვრელი და
საზღვარგარეთ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველო

1968

ლიტერატურული-მსაჯვრელი და
საზღვარგარეთ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მშენებელთა კავშირის
აჭარის განყოფილების ორგანო

იანვარი - თებერვალი

10.831



შ ი ნ ა კ რ ს ი

რედაქციისაგან

ფ. ხალვაში — მამულო (ლექსი) . . . 5
 სანკიტი ტოკას ხიროსიმა — (თარგმანი ს. გიორგაძისა) 6
 ბ. სნანდირაძე — განხელება (მოთხოვნა) 9
 ზ. ბერულავა — (ლექსები) 13
 ლ. სეიდიშვილი — (ლექსები) 14
 ა. გურგენიძე — (ლექსები) 17
 ლ. ველაძე — ცეცხლთან თამაში (მოთხოვნა) 18
 ვ. გორბანელი — (ლექსები) 21
 ჯ. ქათამაძე — (ლექსები) 22
 ი. მელია — ალავერდობა (ლექსი) . . . 23

დედის გოღჩა

აჭარის ხალხური პოეზია 25
 შ. ნიჭარაძე — ხალხური მეტყველების საუნჯე — ენის სიმდიდრის წყაროა 27

ჯღვა და ადამიანები

ბ. კახიძე — მამაშვილობა გრძელდება (ნარკვევი) 31

მეზახელია

შ. ზოიძე — (ლექსები) 37
 ც. ანთაძე — (ლექსები) 39
 შ. ანანიძე — (ლექსები) 40
 ნ. ძირკვაძე — როცა გაზაფხული დგება (მოთხოვნა) 41
 რ. თეგოძე — (ლექსები) 45
 რ. ჩხარტიშვილი — (ლექსები) 46
 ჯ. ხოშვირიანი — ტოროლა (მოთხოვნა) 47

ლ. ანანიძე — მთა პერანგა (ბალადა) 52
 ჯ. ჯიჯიანიშვილი — ისეთი არაფერი... (მოთხოვნა) 53
 მ. კობალაძე — სამწვერა ნერვის ბრაღია (იუმორესკა) 56

რას გვიამბობენ ობელისკები

ვ. ცაქვიტირიანი — ჩვენი ქალაქის ობელისკები 59

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

რ. შამელაშვილი — ვ. ი. ლენინი ენის შესახებ — 61
 მ. ბერიძე — თანამედროვე პროზაში ძველი ხალხური „მოთქმის“ გამოყენება 71

კუბლიკაციი

ლ. ტბაშური — ორი ლექსი 74
 მ. ვარშანიძე — მეგობრის სახსოვარი 75

აჭარის წარსულიდან


ა. სურგულაძე — გულო კაიკაციშვილი 78
 ო. თურმანიძე — ჩაის პირველი ფაბრიკა აჭარაში 84

მოგონებანი

ვ. ქემხაძე — -ორმოცი წლის შემდეგ — 86

ჩვენი ბალნედარი

შ. ქურიძე — ხალხის სამსახურში . . 89



რედაქციისათვის

ათი წელი შეუსრულდა ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარას“. მის გამოჩენას დიდი სისწრაფით შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა. გამოჩენილმა მწერლებმა და ხელოვნების მოღვაწეებმა გულისხმიერი წერილები გამოუგზავნეს რედაქციას: „ალტაცებით ვეგებებით „ლიტერატურული აჭარის“ გამოსვლას. ჟურნალს ბევრი აქვს დასათესი აჭარის საუკუნეობრივ ყამირზე, მაგრამ ღირსეული მუშაკებიც ჰყავს აჭარაში მცხოვრებ ქართველ მწერალთა სახით. ორივეს ძმურად გისურვებთ წარმატებას და გამარჯვებას!“ — გვწერდა ჩვენი ძვირფასი მეგობარი გიორგი ლეონიძე.

— გულითად სალამს გიძღვნი, — გვწერდა გერონტი ქიქოძე და დასძენდა: — დაე, მან მალლა დაიჭიროს გონებრივი ლამპარი, რომლის ჩაქრობას ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვარზე მტრები ამოდ ცდილობდნენ.

ჩვენი სასიქადულო მწერალი გრიგოლ აბაშიძე გამოთქვამდა რწმენას: — „მის ფურცლებზე სიამოვნებით დაბეჭდავს ყველა ქართველი მწერალი თავის საუკეთესო ნაწარმოებს“.

ჭეშმარიტად!

ათი წლის მანძილზე ამ ჟურნალის ფურცლებიდან არაერთგზის გაუხარებიათ ჩვენი მკითხველები თავიანთი ნაწარმოებით ჩვენს ცნობილ მწერლებს: გიორგი ლეონიძეს, ალიო მირცხულავას, დემნა შენგელაიას, გრიგოლ აბაშიძეს, ლევან გოთუას, მარიკა ბარათაშვილს, მარიჯანს, სერგო კლდიაშვილს, იოსებ გრიშაშვილს, იოსებ ნონეშვილს, სუტა ბერულავას, მაყვალა მრევლიშვილს და სხვებს.

ჟურნალი პუბლიცისტური წერილებითა და მოგონებებით საფუძვლიანად ასახავს აჭარის რევოლუციურ


წარსულს. ასევე საინტერესოა მასში მოთავსებული წერილები, რომლებიც აჭარის ფოლკლორსა და ეთნოგრაფიას ეხება. ჟურნალს ჩვეული ენერგიით უდგანან მხარში ჩვენი ღვაწლმოსილი მწერლები პ. ლორია და ნ. მაღალაშონია, მ. ვარშანიძე, ფ. ხალვაში, ა. შერვაშიძე, გ. სალუქვაძე, ჯ. ჯაყელი, ზ. გორგილაძე, შ. როყვა და სხვები. აჭარის წარსულსა და მის თანადროულობაზე საინტერესო წერილებს სწერენ: ხ. ახვლედიანი, შ. ქურიძე, ალ. ჩავლეიშვილი, აბ. სურგულაძე, პ. ჯორბენაძე, პ. ცქვიტარია და სხვები.

ჟურნალმა იმთავითვე ენერგიულად წარმართა მუშაობა და გაამართლა მისი პირველი მიზანსწრაფვა — შემოიკრიბა და აღზარდა ნიჭიერ მწერალთა ახალი კადრები.

ჟურნალი გულწრფელად ეხმიანება რა ჩვენს დიად თანადროულობას, მის ფურცლებზე აისახა ახალი ადამიანი, ადამიანი — კოსმონავტი, ადამიანი — შემოქმედი, რომელიც თავისუფალია თავისი დიადი სულით, რომელიც თავდებია ჩვენი ქვეყნის კიდევ მეტი წინსვლისა. ჟურნალის რედაქცია ცდილობს ყოველმხრივ გაამართლოს საბჭოთა მკითხველის მაღალი მოთხოვნილება. ჟურნალის რედაქცია ყოველთვის ითვალისწინებს მკითხველთა სურვილებსა და ახალ წინადადებებს, რათა მისი შინაარსი კიდევ მეტად საინტერესო და მრავალმხრივი გახადოს.

ეკონომიკის აღმავლობამ, უზრუნველჰყო რა მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლება, აჭარა აზიარა მეცნიერების, ლიტერატურის, ქართული კულტურის აყვავებას. შემოქმედებითი ენთუზიაზმით აღსავსე საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის საუკუნის მეორე ნახევარში კვლავაც ენერგიულად და განუხრელად იბრძოლებენ კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად. მათი გმირული თავდადებული შრომა ლეიტმოტივად გაყვება ჩვენს ჟურნალს.





უკიდონ ხალხები

მ კ მ უ ლ ო

სამშობლოს სუნთქვავ, ახალწლის ქარო,
შორს შავი ლანდი ავი ღრუბლების..
ნაძვისხესავით დავდგები გარეთ,
და დიდი თოვლით დავიფუმფლები:
ჩემი სიცოცხლით სავსეა გემი,
გემი გუგუნით გასული ზღვაში,
გემს შერჩა კვალი ღელვის და ნგრევის
და წვიმის თქვენი მუჭი და მლაშე...
საღდა პონტო!.. ფარული ფიქრით
გემს ეკითხება ლაზი და ეძებს...
პეტრას ზვიადი ზარების ზვირთი
ახლაც თამაშობს კოლხეთის ველზე.
გემო!.. ამაყად გასჭერი ტალღა,
ნუ გეშინია, არა ხარ ნავი,
ეგ ტვირთი მტრისთვის განძია ახლა,
მიტომ თვალეხი დაგყვება ავი..
სამშობლოს ქარი გაგშლია აფრად,
დატვირთული ხარ სიცოცხლით გემო,
და მზიან ნაყოფს, გავონილს ზღაპრად
ახლავს ქართული სიმწიფის გემო...
მამულო!.. რადგან მიდგია სული
და თუ კი სულში ფათურობს ღმერთი,
და თუ ვლოცულობ,..
სადაც ვლოცულობ —
როგორც ვლოცულობ —
ვლოცულობ შენთვის.



სანკიტი ტოგეს ხიროსიმა

ქეშმარიტად ტრაგიკული ბედი ეწია სანკიტი ტოგეს — თანამედროვე იაპონურალიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს.

მას არ უცხოვრია დიდხანს (1917-1953), მაგრამ ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე კაცობრიობის ყველაზე უსაშინელებესი ტყვიელი — ატომური ბომბის აფეთქება განიცადა. ხიროსიმა... დღეს თითქმის ყველამ იცის რა მოხდა ხიროსიმაში 1945 წლის აგვისტოში... ორმა დიდმა პოეტმა სანკიტი ტოგემ და ტამიკი ხარამ გაუთქვეს მას სახელი. ტამიკი ხარამ ტოგეს გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ხიროსიმას უდიდესი მომღერლები, — ასე იცნობდნენ ამ პოეტებს იაპონიაში.

მკითხველს ვთავაზობთ სანკიტი ტოგეს ლექსს. რომელიც ამოღებულია კრებულიდან „ლექსები ატომურ ბომბზე“

ექვსი აგვისტო

ექვსი აგვისტო...

ვინ დაივიწყებს იმ აალებას?

წამის მეასედში

ოცდაათი ათასი გამვლელი ერთბაშად გაჰქრა...

საშინელ წყვილიაღში, შენობათა ნანგრევებს შორის,

უცებ მინავლდა ორმოცდაათი ათასი კვნესა.

და გიჟურ ქროლვით დაიძრა ცისკენ

კვამლის ყვითელზე-ყვითელი ბოლქვი.

შემდეგ კი, როცა უცებ დაცხრა ცეცხლის

მარულა,

გამოჩნდა:

ახვეტილი შენობები;

ჩანგრეული ხიდები;

გადამდნარი აგურის ნამსხვრევები;

გვამებით სავსე მოღრეცილი ტრამვაი;

ხორა დანახშირებული თავებისა —

ჩემი ხიროსიმა!..

შემდეგ გრძელი რიგი მყვირალა სხეულებისა,
უსასრულო რიგები შიშველი სხეულებისა,
ყოველი სხეული ცდილობს მკერდი დაიფაროს

ხელით, —

მკერდი, რომელსაც ხორცის ნაფლეთები ჰკიდია!

გვამები მიმოყრილია ირგვლივ,

თითქოს ქვიდან გამოძერწილი ქანდაკებებია

ყოვლისშემძლე ღმერთისა — ძიძოსი.

ძიძო კი გვფარავს ყოველგვარი უბედობისაგან.

და ბრბო, ბრბო.

ბრბოს აუესია ნაპირი.

აქ თითქოს ყველაფერი დაკავშირებულია

ცოცხალი, მცოცავი სისხლიანი მასით —

ეს ბრბო მოილტვის ბორნებისაკენ, რომელსაც

ცხელმა,

დამაბრმავებელმა ცეცხლმა

ვერ ახლო ხელი.

ყვირილი:

„გვიშველეთ, გვიშველეთ!“

და ბრბო გავარვარებული, თვალისმომჭრელი

მზის ქვეშ

თანდათანობით გარდაიქმნება

მოალისფერო-შავ,

უსულო ბორცვად.

შედამებამდე ცას ლოკავდა ხანძრის ენა,

ეხეტებოდა ეს ხანძარი ნანგრევთა შორის,

არ მიაღწია ვიდრე იმ ადგილს,

სადაც ყოფილ შენობათა ქვეშ

ცოცხლად დამარხული

დედაჩემი და უმცროსი ძამიკო

უნდა ქცეულიყვნენ არარობად.

სისხლითა და კიდევ სხვა რამით

მოსვრილი არსენალის იატაკი:

იქედან მოძვრებოდნენ და მობობლავდნენ

სტუდენტი გოგონები,

გახელებული გოგონები შრომის რაზმიდან.

ზოგს ჰქონდა დოლივით გაბერილი მუცელი,

ზოგს შემუპებული თვალი,

ზოგს დამწვარი მკერდი,
ზოგს კი სულაც არ ჰქონდა თმა,
თითქოს სამართებლით გადაეპარსა.
და როცა განთიადმა გაანათა
არსენალზე მომუშავე ქალების სახე,
ვერავენ მიხვდა, ვინ იყო ვინ...
აყროლებულ, მხრჩოლავ ჰაერში,
სარეცხისთვის განკუთვნილ ჭურჭელთან,
ამ მკედარ სამყაროში
მხოლოდ ბუზები იყვნენ ცოცხალნი...
და ბუზები ბზუოდნენ.
განა შეიძლება დაივიწყო სიჩუმე,
რომელსაც ბამბასავით შეუფუთავს
სამასი ათასი დაღუპული?
განა შეიძლება დაივიწყო
სულში ჩავარდნილი და სულში გადატეხილი
ხვეწნად ქცეული თვალთა კაკლები
ჩვენი ცოლებისა და ჩვენი ბავშვებისა,
რომლებიც აღარ დაბრუნდნენ იმ სიჩუმიდან.

თარგმნა ს. გიორგაძემ.



სტრატორებს არ უყვართ მუსიკა? პირადად მე ჭკუას ვკარგავ, როცა ასეთ წყნარს, მყდრად მელოდიას ვისმენ. მუსიკა და მომღერლის ინტონაცია, რომლის სიტყვებსა და აზრს თითქმის ვერასოდეს ვხვდები, ჩემში რაღაც ახალ, თავისებურ გაგრძელებას პოულობს. დარწმუნებული ვარ, რომ ვერცერთი მომღერალი ბოლომდე ვერ ხსნის იმ საიდუმლოებებს, რაიც ჭეშმარიტ მუსიკაში არის ჩადებული. დიდებულ სიმღერას დიდი მომღერალი ათასჯერ შეასრულებს და ათასჯერვე ათას საიდუმლოებას აღმოაჩენს... დიახ, ახალგაზრდობაში ვმღეროდი. ჩემთვის.

ეს ერთი ხანია რაღაცნაირი გულგრილობა დამჩემდა. კოსმიურ ხომალდთა გაფრენებსაც ყოველგვარი აღტაცების გარეშე ვხვდები. ეს ისევე ჩვეულებრივი გახდა ჩემთვის, როგორც ჭამა, ძილი, ფეხბურთი, ტელევიზორი...

თვალეები ავწითლებიათ, ევა! რატომ არ დაისვენეთ დღისით. აკი გაგაფრთხილეთ. გგონიათ მუდამ ახალგაზრდა იქნებით? ჯანმრთელობის ფასი არაფერია. ამ ჭაბუკს ცოლი კიბოთი გარდაცვლია. წარმოგიდგენიათ, ასეთი ახალგაზრდა და ქვრივი! აი, თქვენი გასაღები! ევა, ნუ წუხნდებით. მე თვითონ გავაცილებ. ტრანზისტორი არ გამოთიშოთ!.

მოგეწონათ ევა? ვიცოდი, რომ მოგეწონებოდათ. დღეს საგრძნობლად ცივა. იცით, ოდესღაც ამ ოთახში გალაკტიონი ცხოვრობდა. მთელი ათი დღე! გალაკტიონს მოეწონა ჩვენი სასტუმრო. მმართველს ვუთხარი, — გინდათ ჩვენი სასტუმრო მუდამ გაჭედილი იყოს ხალხით?.. მან გაცეცებით შემხედა. რას იზამ, კაცია და გუნება... მე კი ასეთ წარწერას გავაკრავდი კარებზე: „ჩვენი სასტუმროში ცხოვრობდა გალაკტიონი. რატომ არ გინდათ იგივე გააკეთოთ თქვენაც?“

ეს მართლაც მყუდრო ოთახია.

ახალ გაზეთებს დილით ამოიტანს ავტობუსი.

პალტო კაჩხაზე დაჰკიდე. ღამე მშვიდობისა. სხვათაშორის, თქვენ ვილაცას მაგონებთ. დიახ, ვილაცას მაგონებთ, მაგრამ ვის? რამე თუ დაგჭირდეთ, დამირეკეთ.

ადრე ამდგარხართ. ხედავთ, თრთვილს გადაუთეთრებია ბორცვები. ცოტაც და მოთოვს. წავიკითხე თქვენი წიგნი. დიახ, თავიდან ბოლომდე! მომეწონა. თუმცა აშკარად ვიგრძენი, რომ ყველაფერი წინა ვაქვთ. შუალამისას სინათლე ჩაქრა. თქვენ გეძინათ, ალბათ, ევასაც ეძინა: რომ არ სძინებოდა, ჩემთან ჩამოიბრუნებდა. ასე იცის ხოლმე, ევას სიბნელისა ეშინია. როცა ქარი ქრის, ჩვენთან ხშირად ქრება სინათლე. ჩვენ, პროვანციელები შეჩვეულები ვართ ასეთ პატარა ავარიებს. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა პანიკა მოიცავდა უზარმაზარ ქალაქს, ერთბაშად რომ ჩაძირულიყო სიბნელეში?!

ცივილიზაციის შიში! იგი ქვეცნობიერად იმ შიშს უკავშირდება, ელექტრონის გამოგონებამდე მილიონი წლების წინათ რომ არსებობდა. ეს

შიში გვაიძულებს მოვიტყუილოთ თავი და მოვატყუილოთ სხვებიც. ჩვენ ვამბობთ: ესა და ეს გვამი უკვდავია. მაგრამ უკვდავება ხომ სწორედ იმ ტყუილიდან იღებს სათავეს, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ?... ფალოსოფია საშინლად მალიზიანებს. თქვენი წიგნის ერთადერთი ნაკლიც ეს არის. თქვენ მეტისმეტად ბევრს ფილოსოფოსობთ, არ გეწყინოთ. ჩემი ჰკუის სწავლებისაგან ჯვარი ვწერიათ, მაგრამ ერთს გეტყვით: ნაწარმოები არ უნდა გავდეს იმ ბუტერბროდს, სადაც ამა თუ იმ მწერლის ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემა პურის ნაჭრებს შორის მოთავსებულ შაშხის მაგივრობას სწევს. სიგარეტი ჩაგიჭრათ. თქვენ ჩინებული სანთებელა გაქვთ. გახისაა?

ევა უკვე წავიდა. ჩემი მორიგეობის დროს ევას ადრე ვუშვებ ხოლმე.

ევას მოხუცი დედა ჰყავს. მე ყოველთვის ვითვალისწინებ ამას.

როგორც მახსოვს, დღეს ხეობაში აპირებდით გასეირნებას. სადაგელი ამინდია — ნისლი. ევა ახლოს ცხოვრობს. თქვენ გაცილებდით? მერე ვინ გამოგაცილებდათ უკან?

მე გაბატყებთ ყავაზე. თერმოსში ყოველთვის მაქვს ყავა. მებუფეტე ქალი რატომღაც იგვიანებს. ვიდრე მოვიდოდეს, ცოტა წავიხეშოთ. დიდი არაფერი გამაჩნია.

ჰო, მე უნდა გვიამბოთ იმ ბიჭზე, რომელიც თქვენმა დანახვამ გამახსენა! ძალზე უცნაური ადამიანი გახლდათ. ყველაში და ყველაფერში ისეთი რამის პოვნას ცდილობდა, რის პოვნასაც ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანი ვერასოდეს შესძლებს. რას ელტვოდა იგი? კაცობრიობა საიდუმლოებიდან მოვიდა და ბოლოს საიდუმლოებას უბრუნდება ისევ. სიცოცხლე და სიკვდილი; მიქცევა და მოქცევა; დღე და ღამე, სამყარო, რომელსაც არც ბოლო აქვს და არც დასაწყისი — აი სულ რასაც ჩვენ ჩავწვდით. მას არ აკმაყოფილებდა ეს. ცდილობდა გადაეხედა შორს — საგნებსა და მოვლენებს იქით... მაშინ, ზამთარში, ყუმბარებითა და ჭურვებით გადათხრილი ქალაქი იდო ჩვენს წინ. ღამე იყო და როცა შუშხუნამ გასერა სივრცე, მაშინ მითხრა: იქ, ნანგრევებში ქანდაკებას ვხედავო. მერე იფეთქა შუშხუნამ და ახლა მეც დავინახე — ხელებმემომტვრეული, გვერდზე ოდნავ გადახრილი ქალი, რაღაც საოცრებით რომ გადარჩენილიყო ყუმბარებითა და ტანკებით გადასწორებულ ქალაქში. აწრიალდა, მითხრა: „მე ახლავე უნდა ვნახო იგი, ახლავე“. იქ გვერმანელები არიან, — გავაფრთხილე. ყურიც არ მათხოვა! ავტომატი გვერდზე მოიგდო და გახიხდა. მარცხი ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებდა. ტყვიები ზუზუნებდნენ. მას არ აშინებდა ეს. იმ წუთს მხოლოდ ერთ სურვილს შეეპყრო — რაც შეიძლება ახლოს მისულიყო ქანდაკებასთან, მისი აზრით, ულამაზეს, უშესანიშნავეს, ყველაზე დასრულებულ ქანდაკებასთან, რაც ოდესმე უნახავს და


რასაც მთელი ცხოვრება ეძებდა თურმე. მე ვხედავდი, როგორ მიხობავდა იგი. თავი აეწია — არაფერი ეკარებოდა, არც ტყვია, არც ჭურვი, თითქოს რაღაც უხილავი ხელი ჰფარავდა. მერე კი ისევ გაიბჟღირა შუშუნამ და იგი გაქვავდა — ის, რისთვისაც სასიკვდილოდ გადასდო თავი, უბრალო, რომელიღაც მაღაზიის მანეკენი იყო! სწორედ ამ დროს მოშორებით ნაღმი აფეთქდა და ყველაფერი დამთავრდა!..

* * *

დღეს მართლაც საგრძნობლად ცივა. თუ გნებავთ, ჩემს თბილ ყელსახვევს გათხოვებთ! უკაცრავად, მგონი რაღაც მითხარით... ნუთუ მომეყურა?!

ბედი გწყალობთ, ნისლი იფანტება, შუადღისთვის მზეც გამოიჭვრიტავს და ხეობაშიც გაისეირნებთ.





მ ა მ ა

ზამთრის სასახლე, მდინარე ნევა,
ქუხილი ცისა და მიწის რყევა.
აღმოდებული, მრისხანე, წმინდა,
უკვდავი ცხრაასჩვიდმეტი წელი!
შენ უკვე იყავ — აპრილის თვიდან —
დიდი ლენინის პარტიის წევრი.
შენც ბობოქრობდი ოქტომბრის ქარში,
ფოლადი რეკდა ჭაბუკის ხმაში.
უსამართლობას ებრძოდი რისხვით.
გრძნობდი მომავლის სუნთქვას, ნაბიჯებს.
გაგონდებოდა მარტვილიც, კირცხიც
და მიჰყვებოდი რუს ძმადნაფიცებს...
თუმცა დაეცი დიდი ხნის წინათ,
შორს არის შენი მარადი ბინა, —
ასე მგონია, ისევ ძგერს გული,
რომელიც მხოლოდ ხალხისთვის ძგერდა!
ყველა ჭრილობა და ყველა წყლული
წყალმა წარიღო წარსულთან ერთად.
შენც ეგებები ამ დიად ზემს!

* * *

არ გაგეგონოს ჩემი ხსენება,
თუ შენ ოდესმე მოგეჩვენება,

რომ დამცდენია სხვათა კარნახით
სიტყვა ყალბი და მრუდედ მოჭრილი,
რომ არ მიძრახავს საქმე საძრახი
ან ძალადობის გავხდი მორჩილი.

წყალმა წარიღოს ჩემი ღიღება,
თუ გულში მაინც ასე გაივლებ,
ჩემი დაცხრომა ან დამშვიდება,
რომ შეუძლიათ ტაშებს, ყვავილებს.

მიფანტ-მოფანტოს ქარმა უღმობლად,
რაც შემიქმნია მე რუღუნებით,
სიცოცხლე ჩემი იქცეს ხუმრობად
და ვიყო გერი დედა-ბუნების,
თუ იჭვიანად შეხედავ წამით
ჩემს გზას და ბილიკს, ამინ და ამინ!

ლალო სიდიგვილი

რ ა დ რ ი ა

რა დროა ახლა.
ციმციმებს მთვარე
და ცივ ვარსკვლავებს მივყავართ სად?
რამდენჯერ ვიტყვი: დავხუჭავ თვალებს
და მნიშვნელობას წავართმევ საათს.
რა დროა, რა დრო!
მარადიული
მეფობს და დროა მარადისობის.
სად თავსდებიან უენი ღლიური
ბუდა, მაჰმადი და იოსები.
რა დროა ახლა,
მილიაარდი
წლის წინა დროა მარად უცვლელი.
სივრცის გარეშე როგორ იარდი
ფეხმოუცვლელი.
რა დროა, რა დრო!
ანათებს მზე და

მოდის სინათლის წელიწადებით
ახალი ფიქრი, ლოდინი, სევდა
და იმედების დიდი წადილი.
ახლა, რა დროა
ცხოვრება რაა,
სიცოცხლე რაა,
ერთიმეორის გამოისობით
სინათლე რაა,
დროა მზისა და მარადისობის.
რა დროა, რა დრო!
დავხუჭავ თვალებს
და მნიშვნელობას წავართმევ საათს.
ვისთვის ციმციმებს ლითონის მთვარე
და ცივ ვარსკვლავებს მივყავართ სად.

წ ვ ი მ ა შ ი

ცრის წვრილად ციდან უდიდლამო წვიმა.
ყველაფერი ქუჩაში უხმარია...
მივაბიჯებ უქუდოდ, ხეებიდან ცვივა
სველი ფოთლები უხმაუროდ.
ფეხქვეშ იმსხვრევიან ფოთოლთა ძარღვები —
ფიქრების მიღმა, ვით დილის ოცნება.
დღეებია რალაც ძუნწი ბალღებივით,
რომელთაც უჭირთ ყველაფრის მოცემა.
წვიმა რა არის, უყვართ ბათუმლებს,
ქალივით გვიმზერს ყველა ქუჩიდან.
მერე ლოყაზე ხელს აფათურებს
და ცრემლის შიშით გემოს ვუსინჯავთ.
წამით ჩერდება დალილ მგზავრივით,
ჰაერი ბაგეზე იფშვნება წვრილად.
სადღაც რეკს ამ დროს წკრიალა ზარი, —
სკოლის გეგონება და არა წვიმა.
და მთელი სხეული სუნთქვის სიმსუბუქით,
როგორც რამ სრული და არა დაშლილი —
ხელში უჭირავს ქუჩას დუდუკივით
და ქუჩა იცქირება ჭორფლიან ბავშვივით.

ლილის

მივიღე ბარათი შენი ამხანაგის
(აქ მე ჩემი თავი შენგან გავასახლე),
შენზე მხოლოდ ქვემოთ წერია გაკვრით,
სადაც საუბარია კინოს შესახებ.
აქ არის ყველაფერი შენს გარდა, ლილი,
აქ არის დეზდემონა სახელმწიფო თეატრში.
არ ვიცი, ასე როდემდე ვივლი —
მე დანტესავით განწირული ბეატრიჩეთი.
შენზე მხოლოდ ძუნწად წერია ქვემოთ,
აბა, აქ ასეთი რაა დასამალი,
როგორ შეიძლება უბრალოდ გემოს
გასასინჯად ქალმა დალიოს საწამლავი.
ამას არ სჯობია წაიკითხო ბლოკი...
(უნებურად გაუვარდა თოფი ჰემინგუეის),
თორემ შენზე იტყვიან, ისე მოკვდი,
ცხოვრებისეულს ვერაფერს შეეგუეო.

კ კ ვ ი კ

ტკბილი ძილის საათია...
მთვარე ფხიზლობს
ფანჯრიდან...

აქ რომ ღამე გაგეთია,
განა ღმერთი დაგსჯიდა.
წახველ, აღარ მძინებია,
დარჩენილსა უბრალო,

ჩემთვის გაგიძვირებია
ყოველგვარი უბრალო.
ეს ჭაღარა ნუ გამინებთ,
ეს ხომ მხოლოდ თმებია.
თმებში იყო დიდი ღამე,
თმენით გამთენებია...

* * *

ეს უძირო ცა,
ეს უძირო ზღვა,
ვით გიყვარს და გწამს —
ისე სჯერა სხვას.
და თამამი დღე,
როგორც გიწვდის ხელს,
ხელს, რომელსაც ხვევს
ქუჩას, კაცს და ხეს.

სულ ერთია ეს,
ვის უსწორებს თვალს...
რას ეძიებს დღეს
და რას ჰპოვებს ხვალ
მეწამული ცა...
მეწამული ზღვა...
როგორც ჩადის მზე,
ისე ჩავა ხვალ.

ს თ ფ ე ლ შ ი

— ჰაუ, ჩემო სოფელო —
როგორ გალაღებულხარ!..
აქ რომ ბუოლაც ბუოლა,
მეჩვენება ბერმუხად...
დედა თვალს ვერ მაშორებს,
თვალში ცრემლი ერევა:
— ნენა, რაფერ გაზრდილხარ,
რაფერ გაშავებულხარ!..
წლები ურჩი ყოფილა


ჯიუტი და
თავნება,
დედის თმაში ჭალარა
მეუცხოვა, მეუხვა...
სინანულით გავჩუმდი,
მაგრამ გამცეს თვალბმა:
— ნენა, რაფერ ბერდებო,
რაფერ გათეთრებულხარ!..

* * *

ნუ ამაყენებთ შუა წირვაში,
ნულარ შემარცხვენთ მშობლიურ
მთებთან,
ხომ იხოქებდნენ ღმერთის წინაშე,
კერპის წინაშე ხომ ღალადებდნენ..
შორს ჩემგან ყველა სიმღერა ჩუმი,
ძარღვებს ბერავდეს სისხლის კივილი...
და თუ სიკვდილი გწადიათ ჩემი, —
მოღით, წამართვით ყველა ტკივილი.
თუ სიყვარულის დავცალე თასი,
დამედგომება მამულში აღარ.
რომც დამაფაროთ ხელები თვალზე,
მე საქართველოს სიზმარში ვნახავ...
ნუ ამაყენებთ შუა წირვაში,
ჩემთვის მოცლიათ იმ კარგ ამურთა.
ხომ იხოქებდნენ ღმერთის წინაშე, —
ჰოდა, მაცალეთ ლოცვა მამულთან!..



10.831



სუსლონ

გეგმეგეგმე

საქართველო

(მოთხრობა მოგვაწოდა პოეტის მეუღლემ).

— საშიშია, შვილო, ცეცხლთან თამაში.

— არა, მამა, ცეცხლობანას აღარ ვითამაშებ, — ვამბობდი მე. მამა ტყუილს მატყობდა, გამიღიმებდა, თავზე ხელს გადამისვამდა, თვალში ჩამხედავდა, მერე წარბს შეიკრავდა.

— განა გუშინ არ თამაშობდი ცეცხლობანას?!

— არა, — ვლულლულებდი მე...

— მაშ, არ ვითამაშია? — არ მეშვებოდა მამა.

— არა-მეთქი, — ვიმეორებდი ჯიუტად.

მერე მამა ხმას ისე აუწევდა, რომ უცებ დაგყრიდი ფარხმალს.

— მეტს აღარ ვითამაშებ, — გამოვტყდებოდი მუდართი.

— მე რას დამიძალავ, შვილო! შენს თვალეებში ყველაფერს ვკითხულობ.

მე სარკეს მივაშურებდი და ჩემს თვალეებს დავაკვირდებოდი.

მეორე დღეს კი ისევ ასანთის კოლოფით ხელში, შუკაში ნურის დაველოდებოდი.

მოვიდოდა თუ არა, მაშინვე ბალღური აღტაცებით ვეტყოდი:

— წამო, ცეცხლობანა ვითამაშოთ!

— მამამ, რომ გაიგოს?

— არ მითამაშია-მეთქი — ვიტყვი,

— ჰო, მეც ვიცრუე, მაგრამ...

— რა, გცემა?

— ჰო!

— მერე რა, ბეჩო!

— ბეჩი შენ ხარ!

ნური გაიბუტებოდა.

— შევრიგდეთ! — უცებ მოვლბებოდი.

— დიდ ცეცხლს დამანთებინებ?!

— ძალიან დიდს, დიდს. — სიტყვას გავაგრძელებდი მე.

ორლობეს რომ ავირბენდით, დიდი ტყე იწყებოდა. ჯერ კენტრუშით ვიჭვრებდით გულს, მერე მაღალი ხის კენწეროში ავცოცდებოდით და უბეს ხმელი ხავსით ამოვივსებდით. ვიცოდით, ხავსი ცეცხლს სწრაფად

გააჩალებდა. მერე ხმელ ფიჩხს ვაგროვებდით. თუ ჩემი ფიჩხი მეტი იყო, ნურღ გაიბუტებოდა...

— ეს ჩემი ტყეა, იცი? — რადგან ტყე მისი სახლის ზემოთ იყო.

— კარგი, გიწილადებ ფიჩხებს! — ვეტყოდი და ჩემს ფიჩხებს დავუმატებდი. მალე ჩვენი კოცონები ატკაცუნდებოდნენ, კვამლს ცაში აავდებდნენ, მერე კვამლს ცეცხლის ენები აპყვებოდნენ და ირგვლივ საამო გიზგიზი ისმოდა. ჩვენ თრითინებოვით ავცოცდებოდით მაღალ წიფლებზე და იქიდან დავყურებდით მოთამაშე ცეცხლის ენებს. დღესაც არ ვიცი რად მიზიდავდა ასე ძალიან ცეცხლთან თამაში.

ცეცხლთან ნამდვილ თამაშს კოცონის ჩაქრობის შემდეგ ვიწყებდით. თვალისმომჭრელია დანაკვერცხლებული ღველფი. წიფლის შეშამ კარგი ნალვერდალი იცის...

ამ დღესაც ღველფს ჯერ წნელი დავუშინეთ.

— დავიწყოთ თამაში! — შეეძახე მე.

— დავიწყოთ! — ტაში შემოჰკრა მან.

— ისროლე ნაკვერცხალი! — ვუბრძანე მე.

— ხელი რომ დამეწვას? — შეშინდა ნური.

მე კარგა დიდ ნაკვერცხალს დავავლე ხელი და ვესროლე. მერე შეწითლებული ხელისგული ვუჩვენე.

— შეხედე, როგორი ფერი აქვს?

ნურიმაც დაავლო ნაკვერცხალს ხელი და მესროლა.

ასე გაჩაღდა უცნაური თამაში.

ვისვრი...

ისვრის...

ვისვრი...

ისვრის... მეტეორივით ქრიან ნაკვერცხლები. ტყეში შიუმჩნეველად მოსულა ბინდი, ჩვენ ეს მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ, როცა ხმელ გვიმრებს ცეცხლი მოედო, შევკრთით.

— ბიჭო, ცეცხლი! — ვიყვირე და მივაშურე, მაგრამ რას გავხდებოდით?! ცეცხლი სწრაფად გარბოდა და ბარდებს ალში ხვევდა. შეშინებული ნური მომვარდა;

— გავიქეთ, ტყეს ხანძარი გაუჩნდა!

— ჰო, გავიქეთ! — ვუთხარი და ხელი ჩავჭიდე. ამ დროს ხიდან ჩამოვარდა ცეცხლიანი შტო და ბეჭზე დამეცა. ჩემს პერანგს ნავთქურის პატრუქივით წაეკიდა ცეცხლი. შეშინებულმა ნურიმ რატომღაც ხელი მკრა. წავიქეცი და დავგორდი, ნური საშინელი ყვირილით დამედევნა. მხარი მეწვის. ვიხდი შარვალს, პერანგს...

— ნური, შენც, გაიხადე! — ვყვირი, რადგან ნურის შარვალსაც წაპძიდებია ცეცხლი.

ნური ვერ იხდის, შიშისაგან საშინლად თრთის, ტანსაცმელს ვახევ-
მე დავიწვა, ოღონდ, ნური არა. ნური პატარა და საყვარელი ბავშვია.
მთელ სოფელს უყვარს ნური. ზურგზე მოვიკიდე, ირგვლივ მძაფრი სინა-
თლეა, ხეები უზარმაზარ კელაპტრებივით დგანან. საშინელი ტკაცანი გა-
აქვს ტყეს. საით წავიყვანო, ირგვლივ ცეცხლია!..

მეტი აღარ შემიძლია... ტკივილისაგან თავბრუ მეხვევა... შორიდან,
ძალიან შორიდან გადაძახილი ისმის. მამაჩემის ხმაც შევიცანი.

— ნურიი!.. — ბლავის ნურის მამა.

ნური კვნესის მხოლოდ, თვალეები დახუჭული აქვს.

— ნური! — ვღრიალებ მეც, ვყვირი, დამწვარ თითებს კბილებით ვი-
კვნეტ, — მეტს აღარ ვითამაშებ ცეცხლობანას! ნური, მაპატიე!..

ჩვენს გარშემო ტყე გუგუნებს, და ყრუდ გვესმის, როგორ გვიახლოვ-
დება ადამიანთა ხმები.

— ნეტა, თუ მოგვისწრებენ? — ვფიქრობ მე.



ორგულოზა არ დამწამოთ

თბილისში ვარ, ბათუმისკენ იწევეს გული..
ბათუმში ვარ, თბილისისკენ ვიჩქარი,
ლიზზე დამრჩა ფიქრი გადაკიდებული,
მეც არ ვიცი აქ არის თუ იქ არის...
როცა ჭოროხს მივადექი მთვარის ტივით,
შიგ ვარსკვლავებს ფიქრი გადაგუწოდე,
გული ჩემი ორად არის გაპობილი,
ორგულობა არ დამწამოთ იცოდეთ.

* * *

ჰო, ბიძაჩემო, ჭიბონს ჩაჰბერე,
რაც შეგიძლია ჩაჰბერე ჭიბონს,
ტკბილმა ჰანგებმა ცისარტყლის დარით
გულეზზე შეიღჯერ გადაიჭიმოს!
ოღონდ ძველ დარდებს ნუ წამოიწყებ,
ეგ უჩვენოდაც მრავალჯერ უთქვამთ,
ნუ მოიგონებ სისხლიან ხელებს,
ნუ მომავონებ სისხლიან სულთანს!

პირველი თოვლი

ღამით მოვიდა პირველი თოვლი
და თეთრად მორთო სოფელი ჩემი,
დილით აფრინდნენ ბავშვები თრთოლვით...
და მოეფინენ ეზოს გუნდებად,
მათ რა იციან, თოვლი კვლავ მოვა,
მაგრამ ბავშვობა არ დაბრუნდება.

* * *

მე არ ვგავარ არავის,
არც შენა გგავს არავინ,
მე ჩემი მაქვს სიმღერა,
ჩემი ლურჯი კარავი,

და ჩემს ვიწრო სამარეს
არ გაავსებს არავინ,
თუ ასეა, სინდისიც
გვქონდეს შეუბღალავი.

* * *

მზე ერთია, ერთი ცა,
ეს ქვეყანა შენიცაა
ჩემიცაა,

გენაცვა!
ჩვენ კი... ნედლი ფოთლებით
ვართ...

გოგონია ცანგალა

გავუღიმე,
გამიღიმა,
გამიფრინდა,
დავეღვენე,
დავეწიე,
დამლალა.
მოვეფერე,
მომეფერა,
მოვეწონე,
მომეწონა —
გოგონია ცანგალა.

ვაკოცე: —
რად მაკოცეო,
მოიწყინა,
წარბი შეკრა
ნამგალა.
გამიბრაზდა,
გავუბრაზდი,
დავუღონდი,
ღამიღონდა —
გოგონია ცანგალა,
გავუღიმე,

გამიცინა,
გამიფრინდა,
დავედევენე,
დავეწიე, დამალა.

შევეყვარდი,
შემიყვარდა,
მოვეფერე,
მომეფერა —
გოგონია ცანგალა.

იაკობ მელია

ქ ლ ა ვ ე რ დ ო ბ ა

მოდით, სტუმრებო,
ჩვენ სიყვარულს ვერვინ შენისლავს,
ამ სიყვარულში
ალაზანიც, ვიცი, გვენდობა,
ღიაა გული
ვით კარიბჭე ალავერდისა,
დღეს უფრო გვნიბლავს
ჩვენი ძველი ალავერდობა!
ხევსურთ ჯამები
აუვისათ ღვინით კახურით,
სვამენ, ღრეობენ
და თვალები უელავთ გზნებით,
აქ არის თორღვა,
ზეზვაი და ხიმიკაური,
ეგ დალოცვილი
საქართველოს ბუმბერაზები.
ნაპერწკლებს ჰყრიან
სატევრები ღამის ბინდბუნდში,
ჩალის გუგაზე
უცნაურად ბრდლიალებს ცეცხლი,
გაკენწლავება
მოხუც ხევსურს ეინს რომ აუშლის,
მოავონდება
ჭაბუკური ძმობა-ფიცვერცხლი.
ძეძვის ფოცხივით
ჩამობარდნილ უღვაშს გადიგრებს
და თავს ფარულად

დაბლა დახრის კაცი მოღლილი,
თავის სიხარულს,
მწუხარებას ძნელად გაგიმხელს.
გულის გულში აქვს
ჩაძირული ხევსურს ღიმილი.
დედავ ქეთევან!
აქ მიეცა სავანე შენს მკერდს,
და იგი იწვის,
იგი იწვის ვით საკმეველი.
აქ დაეღვენთა
ჩვენი ცრემლი მეფე ერეკლეს.
მერე ორმოც დღეს
ჩვენ მცხეთამდე ვატარეთ ხელით.
განა ვისა აქვს
საამაყო, თუ არ ალავერდს?!
სათოფურებში
იმზირება საუკუნენი,
მისი კედლები
ჰგვანან თვითონ საქართველოს ბედს
სილამაზით და
ვაჟკაცური თავის ბუნებით.
ამაღამ უფრო
აინთება მთვარე გულმნათი,
დალოცავს ქვეყნად
კოლექტიურ შრომის ბარაქას, —
განთიადისას
ამაღლდება ტაძრის გუმბათი
და მშვიდობის მზეს
შეუდგება მხარში ამაყად.



კვირის გაზეთი

აჭარის ხალხური პოეზია

მკითხველებს ვაწვდით აჭარის ხალხურ ლექსებს, რომელშიდაც კარგადაა დაცული რიტმულ-ინტონაციური თავისებურებანი.

ფეიქრობთ, ჩვენი მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ კუთხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს (მომავალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის განყოფილებამ).

სეხსლის შენახვა

ცეცხლო, ელოდე, მელოდე,
მე მელოდე, მზეს ელოდე,
მთვარეს ეთაყვანებოდე,

დილას ადრე ავდგებოდე,
დოჩხატრად* დამხვდებოდე.

მთქმელი ნოღაიდელი ფეროზ ხასანის ასული. ქობულეთის რაიონი, სოფ. წყაერთკა.

ერთი ლექსი მოგახსენო

ერთი ლექსი მოგახსენო, —
მაღალ ახალ ზეგნიდანა:
გამჩენელო, შიმობრალე,
უნდა მოგვკვდე დერდიდანა.
ექიმები ვერ მარჩენენ
ვერაფერი წამლიდანა.
შიგნით გულში დამწვარი ვარ
ამ ლამაზი სევდიდანა.
ქალღმერთ თეთრი შუბლი

მიანათებს წინედანა.
იმას ქვეიდან შავი თვალი —
გაჩენილი ღმერთიდანა.
ზედ წამწამები დიეყარა —
ოქრო არი სირმიდანა,
იმას ქვეიდან თეთრი ლოყა,
გადაშლილი ვარდიდანა.
ეს ქვეყანა რალათ მინდა,
ერთ ვუკებენდე ზეიდანა.

მთქმელი ხოზრევანიძე მემედ ახმედის ძე, ხულოს რაიონი, სოფ. ღურტა.

*დოჩხატრად — ჩაუქრობლად;
გაჩაღბული.

ვაჟკაცი ვიყავ სურათა,
დავკრიფე ია და ვარდი;
როს ნადირობა მომინდა,
შევქენ ქორულებ ნავარდი.

რაზომცა ზევით მივდექი,
თავს დავკარ, ბოლოს გავვარდი.
უყურე ცრუსა სოფელსა, —
ბოლო დროს როგორ დავვარდი.

ჩაწერილია ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლის
მიერ ქედამი 1880 წელს. დაიბეჭდა ჟურნ. „კვალში“, 1895.
№ 30.

ზ ე ტ ა ს ე ვ ე ლ

ზეცას ეველ, ზეცა ვნახე,
მასკლავებსაც დევენახვე,

თვარემაც შემომითვალა:
„აქ იყავ და მე არ მნახე?!“.

მთქმელი მსხალაძე უმიან იბრაიმის ასული, ბათუმის რაიონი,
სოფ. ქედქელი.

ახალ მთვარესთან შეხვედრა

მთვარე ვნახე ნებაზე, ჩვენსა გახარებაზე,
მთვარევ, რა მოგვიტანე?
— თავი მთელი, გული მთელი,
ხელნაქმარი ხევაერიელი, ჩემი ნამზად-ნარიგები,
მიწის უხევაერიელესი, თაფლის უგემრიელესი.

მთქმელი ნოდარდელი ფეროზ ხასანის ასული. ქობულეთის
რაიონი, სოფ. წყავროკა.

ნ ა ნ ა

რურუ, ჩემ ბიჭს ეძინება, ნანი,
ეძინება, ერურება, ნანი.
პირზე ვარდი ებურება, ნანი,
მას ძილი, მას მოსვენება, ნანი,
რომ დაგარტყა, მეტკინება, ნანი,
შენ ნენესაც ეწყინება, ნანი.

მთქმელი თურმანიძე აიშე ხასანის ასული, ქედის რაიონი, სოფ.
მერისი.





შოთა ნიჟარაძე

ხალხური მეტყველების საუნჯე — ენის სიმდიდრის წყაროა

გაზეთ „კომუნისტის“ მოწოდებას „შევკრიბოთ ჩვენი კუთხის სიტყვები“ მკითხველთა ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ჟურნალის რედაქცია დაინტერესდა თუ როგორ გამოეხმაურნენ ჩვენი მხარიდან ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს და თხოვნით მიმართა დოცენტ შოთა ნიჟარაძეს: ჩვენს მკითხველებს გააცნოს მასალების ნაწილი იმ ფრიად საინტერესო შრომიდან, რომელსაც იგი დიდი გულსყურითა და სიყვარულით კრებს და ამუშავებს „აჭარული დიალექტური ლექსიკონისათვის“.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ამა თუ იმ ენის დიალექტთა ლექსიკის კუთხური მეტყველების სიტყვათა და გამოთქმათა შესწავლა ისევე ფასეულია, როგორც მათი გრამატიკული წყობის კვლევა.

დიალექტური ლექსიკისადმი ინტერესი გამოწვეულია იმიტაც, რომ იგი წარმოადგენს როგორც სალიტერატურო, ისე სალაპარაკო ენის შევსებისა და გამდიდრების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ასევე დიალექტური ლექსიკა შეიცავს ცალკეულ ტერმინებსა და გამოთქმებს, რომლებიც ასახავენ ადგილობრივ მკვიდრთა ყოფით ვითარებას, ძველ წყობას. დიალექტური ლექსიკა გვაწვდის უხვ მა-

სალას სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სრულყოფისა და უნიფიკაციისათვის.

როგორც პროფ. შოთა ძიძიგური შენიშნავს, განახლებული და აღორძინებული აჭარის კულტურულმა ცხოვრებამ ქართულ სალიტერატურო ენას გავრცელების ჯერ არნახული ასპარეზი გადაუშალა, თანდათან დავიწყებას ეძლევა დრომოჭმული და საუკუნეთა წიაღში შემუშავებული სიტყვები და გამოთქმები, მათ ნაცვლად მკვიდრდება ახალი ყოფის ამსახველი ტერმინოლოგია.

აჭარული დიალექტის, მისი ლექსიკის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენათმეცნიერთა ფართო წრეებში,

რაც იმითაა გამოწვეული, რომ იგი (აჭარული) „ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოთაგანია“ (გ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ი. გიგინეიშვილი).

ჩვენი კვლევის ობიექტისადმი — აჭარული მეტყველებისადმი მკვლევართა ესოდენ დიდი ყურადღება გამოწვეულია შემდეგით: აჭარული კილო თავისი მდიდარი ლექსიკით ძირითადად უახლოვდება ქართული ენის როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ დიალექტებს. ეს სიახლოვე განსაკუთრებით ხელშესახებია ერთი მხრივ მესხურ-ჯავახურთან და იმერხეულთან (შავშურ-კლარჯულთან), ხოლო მეორე მხრივ — გურულთან.

აჭარული, როგორც ცნობილია, ხანგრძლივად მოქცეული იყო უცხო (თურქულ) ენობრივ გარემოში, რის შედეგად საკვლევმა მეტყველებამ წარმოაჩინა უცხოური წარმოშობის სიტყვები და გამოთქმები ან კალკირებული ლექსიკური ერთეულები.

გამოიყოფა ლექსიკური არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება, რაც განპირობებულია ხანგრძლივი დროით აჭარულის განვითარების ბუნებრივი გზიდან გადახვევით.

აჭარულში შეიმჩნევა ზანურის (მეგრულ-ჭანურის) სუბსტრატის ძლიერი კვალი. აჭარულის სახით ჩვენ ვვაქვს მეტად საინტერესო კილო, სადაც მსგავსად გურულისა, უხვადაა წარმოდგე-

ნილი ზანიზმები, განსაკუთრებით ლექსიკასა და ტოპონიმიკაში.

ყოველივე ამის გამო ჩვენს წინაშე დგება გადაუდებელი ამოცანა, მივხედოთ ჩვენი მხარის სოფლებსა და დაბა-ქალაქებში ხმარებულ სიტყვებსა და გამოთქმებს — ხალხური საუნჯის მარგალიტებს, ფაქიზად მოვეპყროთ და დაბეჯითებით ვკრიბოთ, სანამ ისინი დავიწყებას არ მიეცემათ.

ამ მიზნით დიდ მუშაობას ატარებს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და აჭარის სახელმწიფო მუზეუმი. დღემდე შეგროვილია დიდძალი ლექსიკური მასალა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ჩვენს ხელთ არსებულ სალექსიკონო მასალებში საკმაოდ უხვადაა მოცემული დიალექტური ტერმინები და სიტყვები სამეურნეო ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან.

ჩვენს სალექსიკონო მასალებში შესატანად უხვად აღმოჩნდა დიალექტური იდიომები. როგორც ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ კუთხის სამეტყველო კოლექტივში ხალხი ქმნის ისეთ „გაქვავებულ გამოთქმებს“, რომელთა კომპონენტების მნიშვნელობა შთანთქმულია იდიომის საერთო შინაარსით, ცალკეულ სიტყვას ისტორიულად დაკარგული

აქვს პირვანდელი მნიშვნელობა და ერთ სემანტიკურ მთლიანობად ქცეულა. ესაა იდიომატური ფრაზეოლოგიები, რომელნიც ენის (დიალექტის) სიმდიდრის საფუძველია.

აქ ჩვენ წარმოვადგინეთ აჭარ-

ბზიკის ბუდე — გად. ფიცხი, ცხარი, ანჩხლი, კაპასი, კაპარჩხინა: რა ყოფილა მათ ბზიკის ბუდე, ყველაფერზე ფიცხობს.

გვარის მადავი — 1. გვარის მადავებელი, შემარცხვენელი, გვარის ამომგდები; 2. მოფერებისა და ალერსის გამომხატველი მიმართვა პატარა ბავშვისადმი: ოი, შენ არ გამომიწყდი, უყურე მაგ გვარის მადავს, რაფერ ფორთხავს (შდრ. მაის. გვარის მაქიქი).

ინის დადება — ფეხზე ინის დადება, გად. სიარულისათვის თავის არიდება, ნაცნობ-მეგობრების სანახავად წაუსვლელობა, შინ ჩაკეტვა: გამოი კარში ერცულულზე (ნ.), რა მოხდა, ფეხზე ინა ხომ არ გაქ დადებული!

კუდი კულზე — კუდი კულზე აქვან გადასკვნილი. გად. ერთმანეთს მხარს უჭერენ ყოველგვარ საქმიანობაში — ტყუილსა და მართალში ერთმანეთს ჰქომაგობენ; ერთმანებ სათოფეზე არ ეკარებოდნ და, ხედავ, ახლა კუდი კულზე აქვან გადასკვნილი (შდრ. შარაშ. კუდის კულზე გადასკვნა.).

კუდის გამოსკვნა — კუდის გამოკვანძვა. გად. გაკურცხვლა, მო-

ულ დიალექტში შეკრებილი ბუნებრივი ფრაზები და იდიომატური გამოთქმები ლექსიკური ერთეულების სახით, რომელნიც გაწყობილია ანბანური რიგით ლექსიკონის შედგენის პრინციპების დაცვით.

კურცხვლა, მოძურწვა, გაქროლება, გაქუსვლა; რომ შეატყვა, არაფერი გამოუთაო, გამეისკვნა კუდი და მუუსვა შინსაკენ.

კუდი ღლიას, გზა ბარაქას! — გად. ირონ. გადაკრული სიტყვა იმის მისანიშნებლად, რომ მთქმელი ვისიმე დაყვედრების, დამუნათების ქვეშ არ ექცევა, „დალოცვა“ წასვლისას, მშვიდობიანად იყავი: არ მოქწონს, არ დაგიჟდა ჭკვაში, მიბრძანდი, ვინ გაკავებს. — კუდი ღლიას, გზა ბარაქას! (შდრ. ქავთ. იმერ. ქუდი ღლია, გზა ბარაქა).

მაჩვის ტოტი — გად. ფიგ. ჯუჯა, ქონდრის კაცი, ჩია, დალეული. ცეროდენა, კოჭდაბალი, დაგვალული (შდრ. სახ. სატ. მაჩვის ტაბიკი.).

მოგიწერე ხელი! — გად. ვისიმე წარმატებით გამოწვეული აღტაცების გამომხატველი მიმართვა; მოწონების, წაქეზების შეძახილი, — ყოჩაღ! ვაშა! ბარაქა-ლა! აფერუმ! შაბაშ! მაგას ხომ მუთაკავიე თითი, მოგიწერე ხელი, კაციც შენ ყოფილხარ!.

ტურას ქორწილი ქონდა — გად. იტყვიან ისეთ ადამიანზე,

რომელიც საზოგადო შემფოთების, არეულობისა თუ დაძაბულობის დროს არასერიოზული საქმიანობა გატაცებული, გული არ ერჩის საერთო საქმეზე: ქოყანა იქცეოდა, და, ტურას ქორწილი ქონდა.

ტურა-ქორწილი — გად. ცვალებადი ტაროსი — ამ წუთას რომ წვიმს, და, უცებ გამოანათებს, გადაიღებს (შდრ. მენთ. იმილი).

ფისის მწურავი — გად. ძუნწი, წუწურაქი, ქვანარშია: იმფერი ფისის მწურავია, რომ მაგის პური, კაცმა რომ თქვას, არც იჭმება..

ყვავის აპოხტი — გად. გამხდარი, მკლე, დამკლევებული, გალეული, გაძვალტყავებული: სული არ უდგას მაგ უბედურს, რა გამხდარა მაი, ყვავის აპოხტი.

ცხენის გორძლი — გად. ზორზოხი, დონდროხი, ძონძროხი, გეგეხო, მოუქნელი, ტლანქი (აღამიანი): მაგას სახში რაფერ შამეიყვანს კაცი, ცხენის გორძლს!

ძაღლის ყეფა არ მესმის იტყვიან, როცა ძალიან ჰშიათ და მეტისმეტი შიმშილის გრძობისაგან თითქოს სმენა აქვთ წართმეული: მთელი დღია ლუკმა არ ჩამსვლია პირში, ისე მშია, რომ ძაღლის ყეფა არ მესმის.

ძველი დავლი — ძველ დავლს უკრავს (|| ძველ გამბურას უკრავს). გად. ძველ სტილს მისდევს, ძველ ყაიდაზეა, ძველებურად უქცევს, ახლის არ გაეგება: ბაწი თვალი გაახილე ბიძაჩემო, სხვასაც შეხედე, შენ ძველ დავლს უკრავ კიდო!..

ჭვანის გათათრება მახსოვს — გად. ძალიან დიდი ხნის კაცი ვარ, ჩემი ხნის ქვაც არ მოიძებნება: ეპ, გუშინდელმა ბაღნებმა რა უნდა მასტავლოთ თქვენ, ჭვანის გათათრება მახსოვს მე (შდრ. ნოეს კიდობნისა).

ხელის მოფშვნა — გად. ხელის მოცარვა, ხელის შეშლა, ხელის გაცულება, დაბრკოლების წინაშე აღმოჩენა.

ხელის მოჭმა — გად. ხელის შეშლა, დაბრკოლების შექმნა-შეფერხება: სამჯელ წამეიწყო, სამნავეჯელ ხელი მეიჭამია.

ხაპის ყვიბი — გად. ირონ. ფიზიკურად სუსტი, განუვითარებელი, ავადმყოფური შესახედაობის ბავშვი (შდრ. იმერ. პაყვი).

ჯინჭვლის ბუდე — გად. მწირი, ხრიოკი ადგილი, გამოფიტული, მკლე საყანე: ხომ გებნეოდი, მაგ ჯინჭვლის ბუდეში კოტა არ მოტყდება-მეთქინ.

(გაბრძელება იქნება)



საქართველო
ქ. თბილისი

მეათეწიწობა გზაჯვარზე

წაკა 33171

1944 წლის თებერვლის სუსხიანი ზამთარი იდგა...

ცივი, გამჭოლი ქარი უბერავდა და განუწყვეტლივ თოვდა, დივიზიამ გერმანელთა შენაერთები დუნაის გაღმა გარეკა და ქალაქი დაიკავა. ახმედმა მეზობლები დაიბარა, დავალებები მისცა. როცა მზვერავები მეთაურის ბლინდაჟიდან გამოვიდნენ, ჩამოხენლდა კიდევ. ირგვლივ მყუდროება და სიბნელე სუფევდა.

მზვერავთა ჯგუფის მეთაურმა ლაზარევმა ცას გახედა, ძლიერ თოვდა. ცა თითქოს უფრო მაღლა აწეულიყო. ძვალ-რბილში ატანდა სუსხი. მზვერავები გზას გაუდგნენ. გატრუნული მიცოცავდნენ გაყინულ თოვლზე... ჩქამიც არ ისმოდა, ზოგჯერ უნებლიეთ თუ გახედავდნენ ერთიმეორეს.

კოსტა ლაზარევი გვერდიდან არ სცილდებოდა დიმიტრის, ჯგუფის ხელმძღვანელის გულის ფეთქვა ესმოდა. უცებ მისთან დალაპარაკება მოუნდა და წასჩურჩულა:

— მდინარის ჩხრიალი ისმის, მგონი მოვედით!

დიმიტრიმ მეგობარს შეხედა.

— ჩუმად, ბიჭო!..

მზვერავები მდინარეს მიუახლოვდნენ და შეჩერდნენ, იქაურობა მოათვალიერეს. დუნაი მშუილით მისწრაფვოდა წინ და მიაგორებდა ტალღებს.

— მომყევით, ბიჭებო! — ბრძანა მეთაურმა, მზვერავები ფერდობს ჩაუყვნენ. ნაპირთან ნავეები ახსნეს და ამღვრეულ ტალღებს შეებრძოლნენ. კარგახანს მიცურავდნენ, მერე როგორც იყო გაღმა ნაპირიც გამოჩნდა. ნავეები შეაჩერეს და როცა მიწაზე ფეხი დაადგეს, ასიოდე მეტრზე მეტრის საგუშავო შენიშნეს, ფრთხილად მიცოცდნენ და ვიღრე სიცივისაგან აბუზული გუშავი გონს მოვიდოდა...

მდინარიდან თორმეტი კილომეტრის დაშორებით გერმანელთა სამი დივიზია და სატანკო შენაერთი შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდა, ეს ყველაფერი მზვერავებმა ჩაინიშნეს და ახმედს მოახსენეს. ახმედმა კი დივიზიის უფროსს აცნობა.

დივიზიის მეთაური ჩაფიქრდა, უცებ თავი ასწია, ახმედს შეხედა — საქმე მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა, მტრის ზურგში უნდა შეიპაროთ და მტრის სათვალთვლო პუნქტები მოსპოთ, ამით ჩვენს დივიზიას შეტევებზე გადასვლის საშუალება მიეცემა.

ახმედს თვალები გაუბრწყინდა, ცოტახნის შემდეგ იგი თავის მეზობლებს აძლევდა დავალებას.

ყველაფერი უცებ მოხდა — დუნაის გადალახვაც და მტრის ზურგში მოქცევაც. სწრაფად მოაწყვეს საკომანდო პუნქტები და საგუშაგოები, ააფეთქეს ტყვია — წამლის საწყობი, მტრის ბანაკი პანიკამ მოიცვა, ატყდა უთავბოლო სროლა, ამით ისარგებლეს საბჭოთა მეზობლებმა, გადალახეს დუნაი და თებერვლის იმ სუსხიან ღამეს რისხვად მოველინენ მტერს.

გუგუნებდნენ ქვემეხები, ნაღმტყორცნები და ტყვიამფრქვევები. აზანზარდა ცა და დედამიწა. ამ ბრძოლაში ახმედი მძიმედ დაიჭრა. მისი მამაცი მზვერავები ივანოვი, ლაზარევი, როდიონოვი და ტულუმბაევი სამუდამოდ დარჩნენ დუნაის გაღმა.

გრძნობადაკარგული ახმედი ბრძოლის ველიდან გაიყვანეს და საველე ჰოსპიტალში მოათავსეს.

ერთ დღეს, იმ პალატის კარები, სადაც ახმედ ცინცაძე იწვა, მოკრძალებით შეაღო მალალმა, ახოვანმა ლეიტენანტმა. მან მოწყალების დას რაღაცა ჰკითხა და... გაუბრწყინდა სახე:

— აი იქ, ფანჯარასთან წევს, — მიუგო მოწყალების დამ.

ლეიტენანტი ფრთხილად მიუახლოვდა დაჭრილის საწოლს, დაიხარა, შუბლზე ეამბორა და წასჩურჩულა:

— მამა, მამაჩემო, როგორც იქნა გიპოვნე!

ახმედმა მაშინვე იცნო, გამოცოცხლდა.

— შეილო, ნუთუ შენა ხარ! როგორ დაგაეკაცებულხარ! — მერე წამოიწია და ლეიტენანტს ჩაეხუტა. პალატაში გაცოცხლდა — როგორ, ნუთუ ეს რუსი ჭაბუკი, ქართველი კაცის შეილია?!

* * *

შებინდებისას ქარმა საადრო ღრუბლები წამოშალა და მალე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ქუჩა დაცარიელდა.

მძლოლმა მანქანა სასურსათო მაღაზიის წინ შეაჩერა. კაბინიდან გადმოვიდა და მაღაზიას მიაშურა. ჩქარა გამობრუნდა უკან. ნავაჭრი გვერდით დააწყო და ის იყო საქვს უნდა მიჯდომოდა, რომ გაახსენდა: სიგარეტის ყიდვა დავიწყებოდა. ისევ მაღაზიას მიაშურა... უკან გამობრუნებულს ნავაჭრი ადგილზე არ დახვდა. გაცოცხლდა მიმოიხედა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ქერათმიანი ბიჭი შენიშნა. ბიჭს ქალაღში გახვეული ნავაჭრი მკერდზე მიეკრა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

„ნამდვილად ის მაწაწწალა მოიპარავდა“, — გაიფიქრა მძლოლმა.

და მანქანით დაედევნა. ბიჭი დაფრთხა, გზა გაიმრუდა და სკვერს მი-
აშურა. ხელი ჩაიქნია მძღოლმა და გზა განაგრძო. გაზონებში ჩამალული
ბიჭი კი, რაკი მანქანამ ჩაიარა და საფრთხე აღარ ელოდა, სამსართული-
ანი სახლის კიბეს მიეყუჟა და ნადავლი გახსნა.

ის ღამე კიბის ქვეშ გაათია. დილით კი საკბილოს საშოვნელად ისევ
სასურსათო მაღაზიას მიაშურა.

მაღაზიაში ხალხი ირეოდა. ბიჭმა ძეხვს დაადგა თვალი, გამყიდველი
რომ შებრუნდა, ბიჭმა ძეხვს ხელი დასტაცა და გასასვლელისაკენ გაიქცა,
მაგრამ კარებამდე ვერ მიაღწია, მილიციის მუშაკმა დააკავა იგი.

ცოტა ხნის შემდეგ პატარა ქურდბაცაცა მილიციის სამორიგეოში
აღმოჩნდა. სამორიგეოში ორი კაცი იჯდა: — მილიციის კაპიტანი და ბა-
თუმის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი ახმედ ცინცაძე.

კაპიტანმა მილიციელს შეხედა, მერე ბიჭს შეავლო თვალი და იკი-
თხა: — რა დაშავა?

— ამხანაგო კაპიტანო, ეტყობა ქუჩის მაწანწალაა, ხშირად დაძვრე-
ბა ჩვენს უბანში, ახლა ძეხვი მოიპარა! — თქვა მილიციელმა.

კაპიტანმა თითით ანიშნა, ჩემთან მოდიო.

ბიჭმა უხალისოდ აითრია ფეხი, თავი ჩაქინდრა და იატაკს დაჩე-
რდა.

კაპიტანმა პაპიროსს მოუკიდა, გააბოლა და ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

მცირე ღუმილის შემდეგ ბიჭმა მიუგო:

— ტახონოვი.

— სახელი?!

— ალექსი...

— კი მაგრამ, სანამდე გინდა ასე იწანწალო?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— დედ-მამა გყავს?

— არა.

— ნათესავები?

— არ ვიცი.

— ბათუმში როგორ მოხვდი?

— მატარებელს ჩამოგყევი.

— დიდხანია?

— სამი თვე იქნება.

კაპიტანმა ხელეები გაშალა, ახმედს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— რა ვუყოთ ახლა ამ ბიჭს, ა?

არაფერი უთქვამს ახმედს, უსიტყვოდ გახედა ბიჭს. ბიჭმა თავისი
ბავშვობა გაახსენა, მაღალმთიან სოფელში განცდილი ბავშვობა.
დედ-მამა აღრე გარდაეცვალა. ობლობამ აიძულა ფიზიკური შრომისა-

თვის მიემართა. მაგრამ ჩქარა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ახალმა წყობილებამ კი ცხოვრების ფართო ასპარეზი გაუხსნა ყმაწვილს. 1924 წელს იგი ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის ბანსიონატში ჩარიცხეს. აქ იგი კომკავშირელი გახდა. მალე კი როგორც აქტიური ახალგაზრდა აჭარის მაღალმთიან რაიონებში კომკავშირული ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად მიაგვლინეს.

ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ ლენინგრადის საზღვაო-სატრანსპორტო ინსტიტუტში გაგზავნეს. აქაც ისახელა თავი. პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება მიიპყრო და მათი სიყვარული დაიმსახურა. 1933 წელს საზღვაო-სატრანსპორტო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახმედ ცინცაძე ბათუმში დაბრუნდა. ჯერ ნავსადგურის მთავარი ინჟინერი იყო, შემდეგ კი ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსად გადაიყვანეს. აი, სწორედ ეს გაახსენდა ახმედს მილიციის სამორიგეოში და გული დაეთუთქა.

„ახლა თუ არ ვუპატრონეთ ამ ბიჭს, დაიღუპება“ — გაიფიქრა და თვედახრილ ალექსის მიუბრუნდა:

— რა გაინტერესებს, რა გინდა რომ გამოხვიდე?

ბიჭმა შეხედა და ჩაილაპარაკა:

— რა ვიცი..

— მეზღვაურობაზე ხომ არ იტყოდი უარს!

ბიჭს თვალები გაუბრწყინდა.

— ოღონდაც!..

— ჰოდა, უნდა ისწავლო! — მტკიცედ თქვა მან. წამოდგა, კაპიტანს გამოეთხოვა და ბიჭს ანიშნა, გამომყევო.

* * *

ალექსი ტიხონოვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე დღეს საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტის ფორმა ჩააცვს, ბიჭს ყველაფერი მოსწონდა, მაგრამ უჭირდა დისციპლინის ატანა. პირველ ხანებში გაპარვაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ყოველთვის უკან დააბრუნეს.

ბოლოს შეეჩვია სასწავლებლის დისციპლინას.

ერთ დღეს, როცა ახმედი შინ იყო, ზარი დარეკეს. ზღურბლზე ალექსი ტიხონოვი იდგა და უხერხულად იღიმებოდა.

ახმედმა შეიპატოყა ყმაწვილი. სტუმარმა მორცხვად გადახედა მასპინძელს და თქვა:

— თქვენ ალბათ გახსოვთ ვინ ვიყავი მე, ყველგან აღმაცერად მიყურებდნენ. მამა არ მახსოვს... არც ის ვიცი ვინ მშობა, თქვენ მე ნამდვილ გზაზე დამაყენეთ, მამობა გამიწიეთ. მალე სასწავლებელს დავა-

მთავრებ. სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან მემახსოვრებით. როგორ დამავიწყდება თქვენი ადამიანური სიკეთე, სწორედ ამან მომიყვანა აქ. თუ შეიძლება რომ დღეიდან, მამა გიწოდოთ! შეილად მიმიღეთ და იცოდეთ, არასოდეს შევარცხვენ თქვენს სახელს!

სიხარულის ცრემლი მოადგა ახმედს, სახე გაუნათდა, მაშ ამაოდ არ დაუხარჯავს ამდენი შრომა...

ბიჭს ხელი მოხვია და მკერდზე მაგრად მიიხუტა

* * *

სამი თვის შემდეგ ტიხონოვმა წარმატებით დაამთავრა სასწავლებელი. მხურვალედ გამოეთხოვა მამობილს და ლენინგრადს მიაშურა. იქ საზღვაო ნავსადგურში დაიწყო მუშაობა. მისი წერილები ახმედს ხშირად მოსდიოდა...

მერე ომი დაიწყო...

და ახლა ხუთი წლის შემდეგ, გაათფრებული ბრძოლების ქარცეცხლში ქალაქ იზმაილში შეხვდა ბეწვზე გადარჩენილ მამობილს...

სამ საათს გასტანა მათმა გულთბილმა საუბარმა. ახმედი მშობლიურ მზერას ვერ ამორებდა შვილობილს.

— თავს გაუფრთხილდი, შვილო! — დაადევნა ახმედმა კარებთან მისულ ალექსის.

გამოჯანმრთელების შემდეგ ახმედი კვლავ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. 1945 წლის დასასრულს, როგორც სპეციალისტი, მტრის მიერ დაზარეულ ხიდებისა და რკინიგზის ასაშენებლად იუგოსლავიაში გაგზავნეს.

* * *

რა დაემართა ალექსი ტიხონოვს?

იგი ოდესამდე ებრძოდა ფაშისტებს. ომის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად შორეულ აღმოსავლეთში, ვლადივოსტოკში გადავიდა და დაოჯახდა. იგი შორეული აღმოსავლეთის თევზჭერის ფლოტის ინჟინერი იყო.

ომის დამთავრების შემდეგ მამობილის მოძებნა სცადა. შეცდომით მისი დაღუპვის ამბავი გაეგო და დიდხანს გლოვობდა. შარშან ზაფხულში შევებულებით ჩავიდა სოჭში. პლაჟზე ბათუმელი მეთევზე გაიცნო. მასთან საუბარში ალექსიმ „დაღუპული“ მამობილი მოიგონა.

მეთევზე დაინტერესდა:

— რა ჰქვიოდა, თქვენს მამობილს?

— ახმედი.

— გვარი?

— ცინცაძე.

— რას ამბობ, კაცო! — ხელები გაშალა მეთევზემ. — ახმედ ცინცაძეს ძალიან კარგად ვიცნობ, ნავსადგურში მუშაობს.

— როგორ თუ მუშაობს?! — წამოიყვირა ალექსიმ, — მართალს მეუბნებით?

რა თქმა უნდა! — კიდევ უფრო ვაოცდა მეთევზე.

ალექსი ფოსტისაკენ გაიქცა.

ახმედ ცინცაძესაც სიხარულისაგან თავი დაუბრუნდა, როცა ასეთი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„დამხვდი თბომავალ „პობედაზე“... — გოცნი. შენი ალექსი“.

იმ დღეს ახმედის ოჯახი საზეიმოდ იყო განწყობილი.

ნელი სვლით მოადგა ნაპირს თეთრი გემი. ახოვანი, მზემოკიდებული მამაკაცი პირველი გადმოვიდა გემიდან. გვერდით მაღალი ყმაწვილი მოჰყვებოდა.

— ალექსი! — დაიძახა ახმედმა და ტრაპისკენ გაქანდა.

გვიან ღამემდე ისხდნენ საზეიმო სუფრასთან და როცა ალექსი სადღეგრძელოს ქართულად ამბობდა, ახმედს მამობრივი სიყვარულით ევსებოდა გული.



კეჩეხედი

პოთა ზოიქა

კოსმოსის გაჯავხული

ცა ძილს უფრთხოვდა მუდამ პოეტებს,
ოცნებით ცაში ბევრი იარეს,
ვიდრე მოსტაცა ცეცხლი პრომეთემ
და დაურიგა ადამიანებს.
იყო ლტოლვა და დიდი სურვილი
და გაიტანეს კევრი კალოზე,
ჯერ გაჩნდა წყარო,
მერე წყურვილი.
შემდეგ წავიდა კაცი წყაროზე.
ცის მღუმარება უკვირდათ მაშინ
სულ სხვა დარდით და სულ სხვა წვალეებით,
მაგრამ უეცრად ატირდა ბავშვი
და გაუბრწყინდა აზრით თვალეები.
ციდან აენთო ზღვეები და მიწა,
მიწაზე გზები, როგორც სიმები.
მზემ სილიადე ცას სესხად მისცა
და გაინაზნენ სერაფიმები.
კოსმოსს აპრილის სამოსი ეცვა
ენთო მარეხის ლურჯი თვალეები.
გონების კვალი დააჩნდა ზეცას,
ვით პირველ თოვლზე ნატერფალეები.

იუსუფ კობაკაძეს

რადაცით ახლობელი,
რადაცით შორეული,
რამდენი მეფე და გლახა
შეგეფეთება, როგორც ორეული,
როდესაც ქუჩაში გახვალ.
ოიდიბოსი...
ოტელო...
მინდია...
შეხედავ, იცნობ უმალ,
ზოგისთვის ნათელი ცხოვრება ბინდია
და უნდა გაუძლოს გულმა
ათასი სევდა
გიყის და გრძნეულის,
დიდი უკვდავების ფასად
ხან უნდა იყო გზააბნეული,
ხან კიდევ ყველგან და არსად.
ხან უნდა გჯეროდეს, რაიც არ გჯერა,
ხან უნდა გიყვარდეს რაც გძულს,
ასე იმკვიდრებ ფარდის შრიალში,
ხალხის გულისაყენ საგზურს.

უცოლო კახი

გადაიფურცლა ყრმობის ფურცელი,
ახლა ახალი გზები იწყება,
ასე მგონია, უცოლო რომ ვარ
ყველამ იცის და ყველა მიწყრება.
დავიარები მზით და წვიმებით
და წუთისოფლის დამაქვს ვალები,
ასე მგონია, მე მიცქერიან
ყველა ლამაზი ქალის თვალები.
მალლა ავხედავ ზეცას გოლიათს,
მთვარეს დავიბნევ მკერდზე ღილივით,
დავდივარ, მარტო ჩემი მგონია,
ყველა ლამაზი ქალის ღიმილი.

გზებზე და დღეებს მივდევ მხარღამხარ,
შემოდის მზე და სულში ბრიალებს
და ვეკითხები ჩემს თავს ხანდახან —
ხომ არაფერი დავაგვიანე?

ნ ა თ ე ლ ა

წყაყაჩოები იწვდიან ლოყებს
და ირხევიან ქარში ვერხვები...
შენამდე ლამაზ ოცნებას მოვყევ,
მოველ და ბროლის ყელზე გეხვევი.
თეთრი აპრილის კართან მოვედი,
ნათელა, ჩემო ცივინათელა,
შენ მომიტანე დიდი იმედი
და ამამორე ყველა ფათერაკს.

ს ის ან ა ნ თ ა ქ ე

* * *

ახლა გარეთ მსრებს იბერტყავს
აღვისა და ჭადრის ღერო,
ბელურებმა ზამთრის შიშით
შეანელეს სასიმღერო.

ახლა გარეთ გამუღმებით
ტოტებს არხევს მუხის ხე და
კერიასთან ვიღაცა თვლემს,
სიზმარეულ ლანდებს ხედავს.

მ ხ ა ტ ვ კ რ ი

იგი გაერთო ფუნჯთან ბრძოლაში
და დაავიწყდა, რომ არსებობდა
მიწის ზემოთ და ცის დასაწყისში...
და იგი მერე არ მისულა დიდხანს დალაქთან.
ზოგი ცხოვრებას უცქეროდა ლამაზ სათვალთ,
უსათვალოდაც კარგად გრძნობდა იგი ყველაფერს
მხატვარის თვალთ...
მერე დაიწყო ორთაბრძოლა ფუნჯის და ფერის
(ყველგან ბრძოლაა, ყველგან შეხლა და ჭიდილია),
გვიან შეთანხმდნენ, გასაყოფელი თუმცა რა იყო...
ფერი ცას ერგო, ფუნჯი კი ფუნჯი

მიწამ წაიღო.

მერე შეგროვდნენ ოცნებები მიწის და ცის,
მიწის ზემოთ და ცის დასაწყისში.

მოსკოველ მეგობრებს

მართლაც ედემის
ნახვა თუ გინდათ,
თუ ვნებავთ ხილვა
ტურფა ბუნების,
სხვა ქალაქიდან
ჩვენს უნახავად
ნუ გაბრუნდებით.
გატეხეთ მჭადი
და ოსშივარი
სუფრას ნისლივით
დაფარავს წამსვე.

და ჩვენს წარსულზე
მოგვითხრობს თასი
ამღერებულა
მზის მაღლით სავსე.
არ მოგწყინდებათ
ზღვაურის სუნთქვა
და ჩვენი ტკბილი
შენ გენაცვალე,
ძმურად გაგიშლით
გულსა და სუფრას,
გვესტუმრეთ მალე.

გაზაფხული მთებში


როგორც არწივი მოტეხილ ფრთებით, —
ისე ჩანჩქერი
დაეშვა ხევში,
აპრილი აჰყვა გაზაფხულს მთებში
და ყვავილები უჭირავს ხელში.
ვაზებს კვლავ წასკდა ცრემლები ჩუმი,
სოფლად კვირტების ატყდა ჩურჩული.

ი ა ს

გეძინა? აბა, ასე
რატომ გვესტუმრე გვიან?!
გული გაუსკდა იელს
შენს დანახვაზე, იავ!

ნომ ზედავ. პატარები
რა რიგად გეხვევიან,
თუ გინდა მაღლი ჩვენი,
ნუ გვესტუმრები გვიან!.





ჩიტუნებს უხარიათ გაზაფხული...

მეც მიხარია....

ყვავილებს უყვართ მზე...

მეც მიყვარს მზე. მისი სითბო კიდევ უფრო მახალისებს. აი, ახლაც შინიდან გამოსულს შიგ თვალებში მიცქერის. ჩემს ზემოთ ყვავილმოსხმული აკაციის ტოტები ირხევიან.

ავტობუსი ხალხითაა სავსე, ძლივს ავდივარ. კონდუქტორს ფულს ვაწვდი და ვუღიმი, ისიც მიღიმის. ყმაწვილი ქალია. ოცი წლისა თუ იქნება. მე ვიცნობ მას. ალბათ ისიც...

ხმაურით სავსეა ქალაქი. მაგნოლიის ტოტებში ბელურები შეყუყუ-
ლან და ჟივჯივით იკლებენ ქუჩას.

ბელურებს უხარიათ გაზაფხული...

მეც მიხარია...

გოგონებმა ჩამიარეს. მივუხედე, მომიხედეს და გადაიკისკისეს, მათაც ხომ ჩემსავით უყვართ მზე და გაზაფხული.

სასაუზმეში შევდივარ, ფანჯარასთან ვჯდები, მიყვარს აქ ჯდომა. აქედან ყველას წვდება თვალი. ქუჩაში უწყვეტ ნაკადად მოედინება ხალხი — გუგუნებს წუთისოფლის ჩარხი...

მიხარია და რაღაც ახლისა და საოცრეს მოლოდინში ვარ.

პირდაპირ დიდი სახლია, იქ ერთი კარგი გოგონა ცხოვრობს. იგი ყოველ დილით დათქმულივით გადასწევს ფარდებს და ეშმაკურად ჩამიღიმებს.

მე ვიცნობ მას. ისიც მიცნობს მე. ერთი მაღალი, შავტუხა, უცოლო ბიჭი ვარ. მისი ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ყირმიზი ყვავილები მხეს უცინიან!

ყვავილებს უყვართ მზე...

მზის სიხარული შემაქვს საამქროშიც.

გუგუნებენ მანქანები, დენს ვრთავ და ჩემი მანქანაც ხმაურობს. მიყვარს მისი ხმა და მიხარია, რომ ირგვლივ ყველა და ყველაფერი მიყვარს.

შრილით ცვივა დაბეჭდილი ფურცლები.

გარეთ კი ჩახჩახა მზეა, ჟივჯივებენ ბელურები.

სამქროში ადამიანები ფუსფუსებენ.

შაბაშ — ამოვისუნთქე!

დღეს ხელფასია. მოლარე რაღაცას წერს და თან ეშმაკურად ილი-
მება.

ჩუმი ვდგევარ.

ის ისევ წერს. მე ისევ უხმოდ ვადევნებ თვალს. არ ვიცი მაჯავრებს-
თუ ჩემი გამოწვევა უნდა. გასათხოვი გოგოა!

როგორც იქნა, მორჩა წერას.

— ფული გინდა?

პასუხის ნაცვლად ვუცინი, უწყისზე ხელს ვაწერ და ტკი-
ცინა თუმნიანებს ჯიბეში ვიდებ.

ახლა სად წავიდე? შეიძლება ცოტა დავლიო, ბევრი — დედას
ეწყინება. თუ... მასთან წავიდე.

ამხანაგებს ვემშვიდობები და მარტო ვრჩები.

დღეს ისეთი დღეა, იღუმალმა სურვილმა უნდა გაიმარჯვოს.

ნაცნობ მაღაზიაში შევდივარ, უცნობ გამყიდველ გოგონას ვუახლო-
ვდები და შორიასლო ვჩერდები. მე ამ ქალიშვილს თითქოს დიდი
ხანია ვიცნობ და ძალიან მინდა, ისიც მიცნობდეს. მყიდველები შემომე-
ცალნენ, ჩემს გარდა არავინაა, უხერხულობას ვგრძნობ. იგი დგას და
წამწამები დაბლა დაუხრია. მერე მის ღიმილს ვიჭერ, მეც ძლივს ვახე-
რხებ ღიმილს და ახალგაზრდა კაცის ფარული მღელვარებით ვტოვებ
მაღაზიას.

სანაპიროზე მზე უსამეფლოდ გაწითლებულა და ზღვაში ვარდება.
ტალღები ნაპირისაკენ მოისწრაფვიან და პაწია კენჭებს აჩხრიალებენ.

დაისი წვებოდა ზღვაზე. გემებს ჯგროდ დასტრიალებდნენ თო-
ლიები. გადაწყვიტე მასთან ისევ მისვლა. გზაზე ვფიქრობდი, — აქ ცუ-
დი არაფერია. ავდგები და ყველაფერს ვეტყვი მეთქი, მაგრამ როცა მის
დახლს მივაღეჭი, ენა დამება.

— რა გნებათ? — მითხრა და შემომცინა.

დავიბენი, რა მომეთხოვა აღარ ვიცოდი და უაზროდ მივუთითე
თაროზე შემოდებულ ლამაზ კოლოფზე. ფული გადავიხადე და დავხე-
დე, სუვენირს რვა მარტი ეწერა. საკუთარ თავზე გული მომივიდა — რა
დროს რვა მარტია-მეთქი, გავივლე გულში და წამოვედი. ცოტა ხნის
შემდეგ გულმა უკან გამიწია.

— ნუთუ მიყვარს? — შევკრთი, გამვლელებს მივაჩერდი. ყველას
თავისი გზა ჰქონდა.

ისევ ნაცნობ დახლთან აღმოვიჩნდი. გოგონამ მოურიდებლად გაიცინა.

— უსაფრთხო სამართებელი მინდა! — ვუთხარი.

გრძელმა თლილმა თითებმა მომაწოდეს. „ასეთი თითები მხოლოდ ფორტეპიანოზე დამკვრელებს თუ აქვთ“ — გავიფიქრე.

მეორე დღეს დიდხანს ვიხეტილვ ქუჩებში და ისევ გოგონასთან მივედი.

— ისევ სამართებელი გინდათ? — მითხრა და გადაიკისკისა, პაწია ტუჩებმა ქათქათა კბილები გამოაჩინეს, ხოლო ლოყებს პატარა ფოსოები გაუჩნდათ.

— რა გქვიათ? — ვკითხე.

— გაინტერესებთ?

— ძალიან!

— მთვარექალა.

ხომ არ გამაცურა-მეთქი, — გავივლე გულში და რატომღაც უცებ მოვცილდი დახლს.

თენგიზთან წავედი.

— სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან წამოსვლას! — მხიარულად მომეგება თენგიზი, — მომავალ შაბათს ქორწილი მაქვს.

— რას ამბობ! აქაურია?

— აქაურია, მამ.

— რა ჰქვია?

— მზექალა!

— ღმერთმა გაგაბედნიეროს, ძმაო! — ვუთხარი და გადავეხვიე. „არა, არ გავუცურებია! თუ სახელი მზექალა არსებობს მთვარექალაც შეიძლება არსებობდეს-მეთქი“ — გავივლე გულში და სიხარული დამეუფლა.

...მაღე მალაზიაში ცნობილი პიროვნება გავხდი, ჩემი გამოჩენა და გამყიდველი გოგონების გამოცოცხლება ერთი იყო, ისინი დაურიღებლად იცინიან.

— ისევ უსაფრთხო სამართებელი გნებავთ? — იცინის ისიც.

— დიას, გენაცვალე! — ვიცინი მეც და ვყიდულობ სამართებელს.

ასე გაიღია მეორე შაბათიც.

გვიან ღამით, საჩუქრებით ხელში, მოკაზმული და მხიარული მივადექი თენგიზს. ქორწილის ყრიაშული უბანს იკლებდა.

დოლის ხმამ სისხლი ამიჩქროლა.

დედოფალი ახლახან მოეყვანათ და თამადას დიდი ყანწი ეჭირა ხელში, სადღეგრძელოს თქმას აპირებდა.

„სადმე შეუმჩნევლად დაჯვადები-მეთქი,“ გავიფიქრე და უცებ მეგობრის საცოლეს მოვკარი თვალი. გავშეშდი...

თენგიზის გვერდით ჩემი საოცნებო მთვარექალა იდგა და იღიმებო-

და. უცებ ბრაზისაგან გონება წამერთვა. მერე კი.. გული მეტ-
კინა ძლიერ... რისთვის გამაცურეს? რას მერჩოდნენ? ყველაფერი ამო
ყოფილა, სიყვარულიც და მეგობრობაც!

ღვინოს მივეძაღე... აღარაფერი მესმის... თავი მიბრუნს.

ეზოში გავედი და თეთრად აპენტილ ტყემლის ძირში ჩავჯექი.

თბილად სუნთქავდა გაზაფხულის ღამე.

ვცდილობდი საკუთარ ფიქრებს გავქცეოდი, მაგრამ გონება ერთსა
და იმავეს იმეორებდა — „რატომ, გამაცურეს?“ სხვა რომ არ იყოს რა,
მენანებოდა ჩემი ღამაზი ოცნების დაკარგვა.

— აქ რას აკეთებ ოთარ?

თითქოს ცივი წყალი გადამავლო ვიღაცამ. წამოვდექი. ჩემს წინ
მთვარექალა იდგა. იგივე დედოფალი, მხოლოდ სხვა კაბაში, გვირილე-
ბით მოხატულ კაბაში.

— რა იყო ოთარ, რატომ მიცქერი ასე? რა მოგდის?! შენი გა-
მობარვა შეუმჩნეველი არ დარჩათ...

— შენ ვინა ხარ? — ვკითხე სიბრაზისაგან აცახცახებულმა.

— როგორ თუ, ვინა ვარ? — შეცბა.

— ჰო, — ავყვირდი უცებ, — წადი! თენგიზს ამოუდექი გვერდით,
ხან მთვარექალა ხარ, ხან კიდევ მზექალა, წადი! წადი!..

წყნარი ღამე მსუბუქმა სიცილმა შეაკრთო.

— რა გაცინებს?!

— მზექალა ჩემი ტყუბისცალია, სულელი!.



* * *

გავყვები, ბილიკს გავყვები,
 გავყვები, ველთა ცდუნებებს,
 შემომხვდებიან არყები
 და მზერას მომაცხუნებენ.
 მომაგონებენ ცხელ სუნთქვას,
 ამღერებული მკერდებით.
 სულ მუჭა-მუჭა შევსრუტავ;
 ჩანჩქერებს მაღალ ქედების.

* * *

ეს გოგონები
 შხვართალ-შხვართალა,
 ზოგი ყუყუნა,
 ზოგი შავთვალა,
 თვალა ამ თვალმა,
 ველარ დათვალა...
 მათმა სიცილმა, მათმა ტკარცალმა,
 მაღალ მთის წვერებს გადაუარა,
 ჰეი, კარგებო! ხარი ვარ ცალი,
 იცით თუ არა?

* * *

ლექსის ბჭკარები ახალ-ახალი
 მომვარდებიან ხოლმე,
 ნუ გებრალეზა ჩვენთვის ქალადლი, —
 დაწერას მთხოვენ,
 ჩუ, ჩუმაღ-მეთქი, ჩემო ლექსებო!
 ხალხი დაგვადებს სასტიკ განაჩენს,
 „სიცოცხლეს ვერვის დავესესხებით“.
 ვერც გადარჩებით,
 ვერც გადამარჩენთ.

* * *

ქველებური სკივრი,
ქველებური კაბა,
გოგო, ამის მეტი,
რაღა გინდა აბა?!
ქველებური ჩოხა,
ბიჭი შავთვალწარბა,

გოგო, ამის მეტი,
რაღა გინდა აბა?!
ქველებური სეჭვი,
„რბილი“, როგორც ბამბა. —
გოგო, ამის მეტი
რაღა გინდა აბა?!

* * *

ვავლახ, ჩემი კალმის წვერი
ნორჩია და ერთობ, სუსტი,
შენზე ლექსებს მაინც ვიტყვი,
დაღვინებას არ დავუტედი.
ცხრათვალა მზის დასადარო,
ვარსკვლავივით მოციმციმევ,
ვერ იქნა და ვერ შევძელი,
თვალდან ვერ მოგიცილე.

ქმრობას ვნატრობ, ვაშლის
ლოყავ!
მოქნეულო, ლერწმის ტანო!
როდის გნახავ ხნულში
ჩამდგარს,
თუნგიტ წყალი მომიტანო!
საღამოზე სახლში მოსულს,
შენი ხელით ნატარები,
ასკერივით მომასიო
მოტიკტიკე პატარები!

რ ე ვ ა ზ ჩ ხ ა რ გ ი ვ ი ზ ი ლ ი

ჭ კ ლ კ რ კ

თმებში გაბარდნილს რა გნებავს,
სხვის ასაკს მე ხომ არ მათვლი?
არ ამივლია აღმართი,
უცებ — დაღმართი.
შენ მამაცობა ვინ ვიქო,
მე მაშინ ჩავთვლი მამაცად
დაზაცა...
სტრიქონს ამოსვლა დააცა.

* * *

ჯერაც არავის უნახივარ თავადღერილი,
მე ყვავილი ვარ ზამთრის სუსხით გადათქერილი,
პაწაწინა ვარ? — არც მიცვნია თავი ტიტანად,
არ ვსურდი მიწას? აბა რისთვის ამომიყვანა?!





გზაზე, რომელიც მწიფე პურის ყანებს შორის გადიოდა, ზანტად მიჭრიალებდნენ საოჯახო ძველძანებით საგსე ფურგუნები. ფურგუნებზე ლტოლვილები ისხდნენ, თითოეულ მათგანს მწუხარება აღბეჭდოდა სახეზე.

მოკრიალებულ ცაზე მზე ანათებდა და სიცხისაგან სუნთქვა ჭირდა. ნისლივით ირეოდა ჰაერში გზიდან ამდგარი მტვერი. დასასრული არ უჩანდა დამქანცველ გზასა და პურის ყანებს, რომლებიც ამაოდ ელოდნენ მომკვლებს.

ფურგუნს ყველაზე ბოლოს ახალგაზრდა ქალი და ბავშვი მოსდევდა, ქალი სუსტი და ავადმყოფურად ფერმკრთალი იყო. ზურგზე დიდი ფუთა მოეგდო.

იგი ხშირად მოუხედავდა ბიჭს და დაუყვავებდა:

— ცოტა კიდეც და მივალო, შენი ჭირიმე!

ბავშვს შიშველი წვივები დაკაწრული ჰქონდა. გალჷრჯებული ქუთუთოებიდან ნაღვლიანი მაგრამ ბრდღვიალა თვალები წერტილებივით იცქირებოდნენ და უმიზნოდ გადადიოდნენ ერთი საგნიდან მეორეზე. იგი ჭუჭყიან სახეზე ხშირად ისვამდა ხელს და მიკნავლებული ხმით კითხულობდა:

— მალე მივალო, დედი?

ქალი ნერვიულად შეინძრეოდა, ჩუმად ამოიოხრებდა და უკან მოუხედავად წყნარად ეტყოდა:

— მალე, შვილო!

უჭირდა ბიჭს. ჩამოფხატულ კოკარდიან ქუდს აწვალებდა და ჩაჩაჩულ შარვალს ისწორებდა. თავის სიცოცხლეში პირველად მიდიოდა ბავშვი სახლიდან ასე შორს.

— ხომ გენატრება მამა? — ჰკითხავდა დედა.

— ძალიან! — იტყოდა ბიჭი და ცრემლებს გადაყლაპავდა.

მათ წინ ბერიკაცი მიდიოდა, იგი განუწყვეტლივ აბოლებდა ჩიბუხს. მხარზე ძველი ჩანთა გადაეკიდა და წვრილი თოკით ფერდებჩავარდნილ ძროხას, რომელიც პურის ყანისაკენ მიიწევდა, გაჯავრებით ექაჩებოდა.

ბიჭს ზოგჯერ ახალისებდა ძროხისა და ბერიკაცის ჭიდილი, მაშინ

სახეზე ბალღური ღიმილი გაუელვებდა. მალე ბიჭი სიცხემ შეაწუხა, გამშრალი ენა გამაგრებულ ტუჩებზე მოისვა, უმწეოდ მიმოიხედა, ცოტა კიდევ გაიარა, მერე გამძლეობამ უმტყუნა, შედგა და სუსტი ხმით დაიძახა:

— მწყურია, მშია, დედა, გესმის?!

ქალი მოწყვეტით შედგა და ბიჭს მიაჩერდა... ბავშვის გატანჯულმა სახემ შეაცბუნა.

— დაიღალე, შვილო? — იკითხა ბოლოს.

ბიჭს არაფერი უთქვამს, მტკრიან გზაზე ჩაჯდა, ნიკაბი აცახცახებულ მუხლის თავზე დაიბჯინა და საცოდავად აწლუქუნდა.

შეშინებული ქალი მიუახლოვდა, თავი აუწია, თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

— რა დაგემართა, შვილო?!

ბიჭი ატირდა...

ქალმა ფუთა ჩამოიხსნა, ბიჭს თავზე გადაუსვა ხელი და წასჩურჩულა:

— მოგიკვდეს დედა, განა არ ვიცი, როგორ გაიტანჯე?!

ფუთიდან პურის ნატეხი ამოუღო.

ბიჭს თვალები გაუბრწყინდა, ცრემლიანი სახე მავით მოიწმინდა, გამოართვა და ლოღნა დაუწყო.

ქალი სევდიანად მიაჩერდა ჭამაში გართულ ბიჭს, თვალები აცმაცვრა... ბავშვური სიხალისისა და სიცელქის აღარაფერი შერჩენოდა. რამდენი ხანია მისი სიმღერა არავის გაუგონია. მაღალ ცაცხვის ქვეშ ამოჩემებულ სკამზე იჯდა და გატაცებით ვალობდა ხოლმე: ზარავით წკრიალა ხმის გამო ყველა „ტოროლას“ ეძახდა.

როცა ბიჭის სიმღერას გაიგონებდა მეზობელი კომპოზიტორი, სიყვარულითა და სინაზით გაეცებოდა თვალები. აღფრთოვანებული ხშირად იტყობდა:

„დიდი მომღერალი გამოხვალ, ჩემო ტოროლა!“

ასე იყო იმ მშვენიერ დღეებში, როცა ქვეყანაზე მშვიდობა იყო, მერე ქუჩებში ხეიბრები მომრავლდნენ...

დედა ზოგჯერ ღიღინსაც კი უშლიდა ბავშვს: — რა ღროს სიმღერაა შვილო!

ბიჭი პირველად მაშინ ატირდა, როცა მამა ომში წავიდა. კარგად ახსოვს ბავშვს, დედას შეკავებული ქვითინისაგან სუსტი მხრები როგორ უთრთოდა. არ იცოდა ბავშვმა, სად იყო ომი და რა საჭირო იყო იგი. ახლა კი იცის ტოროლამ ომის საშინელებანი: შიმშილი, სიკვდილი. იცის და დიდი კაცით იტანს ყველაფერს.

იმ საღამოს ფრონტზე კომპოზიტორიც წავიდა. სერგეი პავლოვიჩმა გამოთხოვებისას გადააკოცნა ბიჭი და ვიოლინო აჩუქა.

ისინი ჰიშკართან გამოეთხოვნენ ერთმანეთს. მისი თხელი თითები დი-
ღხანს დაცოცავდნენ ბიჭის ქოჩორში.

მერე ბიჭი ფანჯრის რაფაზე იჯდა და მოწყენილი ვასცქეროდა ქუ-
ჩას, ელოდა მამას და სერგეის, უსაზღვრო იყო ბავშვის ლოდინი.

პირველ დღეებში დედა ხშირად ღებულობდა ფრონტიდან ქმრის
წერილს, მერე იკლო, ბოლოს კი სულ შეწყდა. ქალი ქმარზე დარდმა
ჩამოახმო და გამოსცვალა.

ერთ დღეს ფოსტალიონმა სამკუთხა ბარათი მოიტანა. ქალმა წა-
იკითხა და მწარედ ატირდა.

— რა დაგემართა დედა? — შეეკითხა გოცებელი ბავშვი და ისიც
სატირლად მოემზადა.

— არაფერი შვილო, — სლუკუნ - სლუკუნით მიუგო დედამ.

იჯდა ქალი ფუთაზე, ვასცქეროდა ჭამაში გართულ ბიჭს და ფი-
ქრობდა... ბავშვი უხალისოდ ილუკებოდა, მალე ხელისგულზე და-
რჩენილი ნამცეცები მოაგროვა, შეჭამა და დედას შეხედა.

— გაძეხი შვილო?

— ჰო, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მეძინება.

ქალმა უმწეოდ მიმოიხედა. ლტოლვილები უკვე თვალს მოფარებო-
დნენ, მხოლოდ შორს მოსჩანდა ბერიკაცი... დედამ შვილს დაუყვავა,
ფურგუნზე შეგსვამო და გზა განაგრძეს.

ღამით ლტოლვილებმა ფურგუნები გზიდან გადააყენეს და ღამის
გასათევად თადარიგს შეუღდნენ. დედა-შვილი ბერიკაცის მახლო-
ბლად მოკალათდა. მოხუცი ერთხანს ოხრავდა და ცას შესცქეროდა,
მერე ქსიდან წეკო ამოიღო, გაზინთული ყალიონი დატენა, მოუყიდა
და გააბოლა... ქალს თვალეები აეწვა.

— რას ეწევი, ძიაკაცო ამ საძაგლობას?!

მოხუცმა ნაღვლიანად მიუგო:

— ეხ, შვილო, განა მე მინდა?! გაჭირვება მაწევინებს, თანაც ში-
მშილს ამით ვიკლავ, ეეჰ! ვიყავით ჩვენთვის წყნარად... ვწრომობდით,
ვცხოვრობდით.. ვის რა დაუშავეთ!

ქალმა არაფერი უბასუხა, საცოდავად მოკუნტულ ბიჭს გადახედა.

— ხომ არ გცივა, შვილო?

— არა, მწყურია!

ბერიკაცმა ჩანთიდან მათარა ამოიღო, და გაუწოდა:

— დალიე ბაბუა, ღმერთმა შეგარგოს!..

ერთხანს მყუდროება ჩამოწვა... მერე ბერიკაცმა ხმამაღლა და-
ამთქნარა, ბანჯგვლიანი მკერდი მოიფხანა. იქვე მიგორდა, ჩანთაზე თავი
მისდო და ხვრინვა ამოუშვა.

ჩათვლემილ ბიჭს ქალმა თავშალი გადაახურა და გვერდით მიუწვა. დიდხანს ვარსკვლავებით მოჭედნილ ცას შესცქეროდა ქალი, ბარიკაცის ხროტინი და ბიჭის წყნარი ფშვინვა ესმოდა, მერე კი ძილმა თავისი გაიტანა.

დილით, როცა ქალმა გაიღვიძა, შიშმა აიტანა, ლტოლვილები წასულიყვნენ. შეცბუნებულმა მძინარე შვილს დახედა... ბავშვის არსებაში თითქმის ყველაფერი ჩამკვდარიყო... მისი გრძელი ყელი პურის ყანაში სალამურივით იდო.

— „ნეტავ თუ კიდევ შეძლებს ჩემი ტოროლა სიმღერას?“ — გაივლო გულში, თუმცა რა დროს ამაზე ფიქრიაო, გაუკვირდა კიდევ უცრად შორეული გრუხუნნი მოესმა, შეკრთა, თავი ასწია და ყური დაუგდო. გრუხუნნი განმეორდა, ქალმა ბიჭი გამოაღვიძა.

— ისევ მივდივართ, დედა? — თქვა და თვალები გაუშეშდა, — შორს, ნისლით დაძენილ გზაზე გერმანელებს ტყვეები მოჰყავდათ. ქალმა ბიჭს ჩაავლო ხელი... ყანის სირღმეში შეიყვანა და წასტურჩულა:

— დაწეკი, და ხმა არ ამოიღო!

შეშინებულ დედა-შვილს ერთმანეთის გულის ფეთქვა ესმოდათ. ტყვეები ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ. ჩამოფლეთილებს, დახეულ ჩქებებიდან დამტვერილი თითები მოუჩანდათ.

თუ მწყობრს ვინმე ჩამორჩებოდა, ჯარისკაცები უშვერი გინებით და კონდახის ცემით ერეკებოდნენ.

უცებ ერთი მათგანი შებარბაცდა და მტვრიან შარაზე პირქვე დაეცა, ეტყობოდა სიარული აღარ შეეძლო.

გერმანელმა წაქცეულს ავტომატის კონდახი გამეტებით ჩასცხო. ტყვე ტკივილებისაგან დაიკლაკნა, მაგრამ წამოდგომა ვეღარ შეძლო.

აქამდე დედის მკერდში გალურსულმა ბიჭმა ჯარისკაცის ღრიალზე თავი ასწია და შეცბუნებულმა წაქცეულს მიაჩერდა, ბავშვს ენა დაება... კომპოზიტორი იცნო. „საწყალი, რას დამსგავსებია“, — გაივლო გულში ქალმაც, მაგრამ, ის არ არისო, დაჯერებით უთხრა შვილს.

— კი დედა, ის არის! — ათრთოლდა ბიჭი.

გერმანელმა ავტომატი შემართა

ქალმა თვალებზე ხელი მიაფარა და აცახცახებული ბიჭი გულზე მიიკრა.

— რას ერჩის, რას! — ბიჭმა დედის კალთაში ჩაჰყო თავი და აზღუქუნდა.

რამდენიმე გასროლის შემდეგ ტყვე შარაზე დატოვეს.

ბიჭი მოულოდნელად წამოვარდა და მისკენ გაიქცა.

სისხლში გასვრილი სხეული პირქვე ეგდო. ბიჭი ცახცახმა აიტანა. დაიხარა და სახეზე დააჩერდა:

— სერგეი პავლოვიჩ! — წასჩურჩულა.

მერე ბავშვმა მუხლებზე დაიჩოქა და მთრთოლვარე თითები ლოყაზე შეახო.

— მე ვარ, ძია!

ტყვე არ განძრეულა.

ბიჭმა ცრემლები გადაყლაპა და ისევ ჩასძახა:

— სერგეი პავლოვიჩ! — მერე თვალის ქუთუთოს მიწვდა და ძალად გაუხილა. კომპოზიტორს თვალი ჯერ კიდევ თბილი ჰქონდა.


— მე ვარ, ტოროლა! — ახლა უკვე ტირილით უთხრა ბიჭმა და საოცრად ადელვებულმა სიმღერა წამოიწყო.

ბავშვის გალობა, მომაკვდავი გედის სიმღერას ჰგავდა. ჰანგებს ცრემლი აწმობდა, თითქოს ყინულის გალიაში გამომწყვდეული ტოროლა წკრიალებდა. მალე სიმღერა მტვრიან შარას მოწყდა, ჯერ იქვე იბორიალა და როცა მსუბუქი გახდა, აიწია, ერთბაშად ამალდა, ბალღის ანკარახმა პურის ყანას გადაწვდა, ნიავს გაეთამაშა და ცაში აიჭრა.

სტვენდა ტოროლა!

რაკრაკებდა ბალღის მოწყურებული ყელი...

ბავშვის სიმღერის უხილავი ძალა ისეთი ძლიერი იყო, რომ ზარბაზნების ქუხილსაც აწმობდა!



მ თ ა კ ე რ ა ნ ბ ა

მთის წვეროზე ფაფარგაშლით
ქარი ღრუბლებს ლამბავს,
გული ღელვით კვლავ იგონებს
იმ უძველეს ამბავს.
ხევს ჩრდილები დაუგია
ტანაშოლტილ ხეთა,
იქ შამბნარში შვილს

მწუხარედ

დაეძებდა დედა.

მწყემსმა ბიჭმა ცვრით

განბანილ

კორდს მოჰფინა ცხვარი,
ამ დროს რისხვად მოევიდნა
ავი იანიჩარი.

უცხო მხრისკენ გაიტაცა
ტანგაქაფულ ცხენით,
ხმა ვერავის მიაწვდინა, —
ჰეი, დამიხსენით!

მწარე კვნესას უერთებდა
ბედაურის თქარუნს,
რომ ვერასდროს იხილავდა
უსაყვარლეს მამულს.

მზე ჩავიდა, ღამის ბინდი
ეფინება მალლობს,

და დაიწყო შვილის ძებნა
დედამ ტყესთან ახლოს.

— სად ხარ ბიჭო! რად არ ჩანხარ
ჩემო თვალის ჩინო?!
შინ უშენოდ როგორ გავძლო,
როგორ დავიძინო?!

ცა საადროდ გრიალებდა,

კიაფობდა ელვა,

დედამ სოფლად ყველას

ამცნო

ფეჭრები და ღელვა:

— ტყესთან ბიჭი დამეკარგა,
წითელპერანგაო,


როგორ გავძლო, თუ მომტაცა
მტერმა ვერავმაო.

მომიძებნეთ, ჩემი ბიჭი,
მომეხმარეთ, ხალხნო!

ან ავლილი, ან ჩავლილი,
ხომ არ გინახავთო?!

ეს მწუხარე დედის ცრემლი-
ქვამაც ჩაიფრქვია.

მწყემსი ბიჭის გულისათვის,
მთას პერანგა ჰქვია.



ქუჩაში აჩქარებით მიდის გოგო...

— დაიცა-მეთქი! — ღელავს ვაჟი და მისდევს...

გოგო გაქცევას აპირებს, ბიჭი ეწევა.

— გაჩერდი!

— არ მინდა!

ვაჟს მოთმინება აღარ ჰყოფნის, მკლავზე ეპოტინება.

— გამიშვი!

— არაფერიც, — ვაჟი გზას უჭრის.

— გამიშვი... ხალხი ნუ შემიყარე!

— ეგ არაფერი...

— თავი დამანებე!

— მოგკლავ!

— ოჰ, როგორ შემაშინე! — აჯავრებს გოგო. ვაჟს ბრაზისაგან სახე ემანკება...

— აბა, რა საჭიროა ეს სცენები, — ურჩევს გოგო... ვაჟი სიგარეტს უკიდებს და ღრმად ქაჩავს.

— გამიშვი! — თხოვს გოგო.

— ვერა, — პასუხობს ვაჟი.

— რა გინდა! — ხმას უწევს გოგო. ვაჟი ღუმს.

— რა გინდა, რა! — ანხლობს გოგო.

— შენ მინდიხარ, — ყვირის ვაჟი.

— ოჰო! — დასცინის გოგო.

— აკი გიყვარდი?

— სულელი ვიყავი! — ბრაზობს გოგო.

— არა, გულრწფელი და საყვარელი ბავშვი იყავი.

გოგო ზურგს აქცევს...

— წესიერად დადექი... ხელი ჩამოიღე, კინოს კი არ გიღებენ...

— რა გინდა, რა! — კვლავ ხმას უწევს გოგო.

ვაჟი ფითრდება.

— რამ შეგცვალა ასე, ხომ გიყვარდი?!

— მეგონა მიყვარდი!

— არა, არ გეგონა. გახსოვს, სპორტული თამაშების მერე ერთმანეთს რომ შევეურიგდით და შინ წავედით?

— მერე!

— მერე ჩემს ოთახში შუქი გადაიწვა... ნავთქურის ალზე წუმწუმს ყრიდი და კისკისებდი, კისკისებდი დაუსრულებლივ.

— მერე?

— მერე ათასფერად ფეთქდებოდა...

— ჰო, მე მეშინოდა, არა? — თვალები უბრწყინავს გოგოს.

— ჰო, გეშინოდა და მაშინ კედლიდან ფარდაგზე დახატული ციყვებიც კი თვალებს ჭუტავდნენ.

— რა ეშმაკები იყვნენ, — თქვა გოგომ და გაიღიმა.

— ჰო, ძალიან ეშმაკები! — დაუდასტურა ბიჭმა.

— გახსოვს, ხელი რომ გაიჭერი?! — მოიგონა გოგომ.

— როგორ არა. — გაეხარდა ბიჭს... — და შენ სტიროდი ჩემს მაგივრად.

— სულელი ვიყავი, — დინჯად თქვა გოგომ.

— არა, გულწრფელი და საყვარელი იყავი!... ბედნიერები ვიყავით... ვაჟმა გოგოს თითებს თავისი თითები შეაგება. გოგო ისევ...

— მეჩქარება!... — და წასვლას ინდომებს.

— უჩემოდ?... — ბიჭს კიდევ რაღაცის გახსენება უნდა... გოგო ცივად აწყვეტინებს.

— იცი რა, მე მაშინ მინდოდა მყვარებოდი და მეტი არაფერი.

— როგორ? ვერ გავიგე...

— ყველას შეყვარებული ყავდა და მეც მსურდა რომ მყოლოდა.

— მერე?

— მე ამ როლს ვთამაშობდი მხოლოდ.

— და არ გიყვარდი?

გოგო სდუმს.

— რაო, სიყვარული გაითამაშე? — და ვაჟი სილას აწნის.

გოგო ტირის.

— დაიჭით ეს ხულიგანი! — ყვირის რომელიღაც მოხუცი მანდილოსანი... გოგო უცებ შექუჩებულ ხალხს გამოირდა. მამაკაცმა ვაჟი განზე გაიყვანა.

— გოგოს ცემა გავიგონია, ბიჭო?! — ყრუდ ესმის ვაჟს, ყურები უწივის, ნიკაბი უცახცახებს.

— რას ჰგავს ახლანდელი ახალგაზრდობა, — ისმის დედაკაცის ქაქანი. მერე მილიციელის მაგარ ხელს მიჰყავს.

— მოვკლავ სულერთია! — ხმის ამოღებას ძლივს ახერხებს ბიჭი.

— სიყვარულისთვის კლავ, ბიჭო? — იცინის მილიციელი, — გოგონები დაილია?

მოსახვევში ხელს უშვებს.

— წადი ახლა, მეორეჯერ არ გაბრიყვდე, ეს ერთი მიპატიებია.

ბიჭი ქვაფენილს თვალს არ აცილებს... დგას კედელთან ატუზული, ბოღმა აღრჩობს.

— არა, აღარ გავბრიყვდები, — მტკიცედ პასუხობს ფიქრი, მაგრამ ბაგე დუმს. გულში სიცარიელეს და საშინელ ტკივილს გრძნობს... უნდა წავიდეს, მაგრამ...

ბოღმა ახრჩობს.

— გამარჯობა, ცუდად ხომ არა ხარ?

ვაჟი თავს გააქნევს.

— ხომ არაფერი შეგემთხვა? — ეკითხება ნაცნობი.

— არაფერი ისეთი... -- სინანულით ამბობს ბიჭი.



ქუჩის სივრცე
ქაჩხუხი ნიჟი
აყვამისა
გნაღონი

მე ახალგაზრდა ვარ. მყავს მეუღლე, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ. ეს მის წყევლაშიც გამოიხატება.

მაგალითები? — რამდენიც გნებავთ.

ვთქვათ, ნასვამმა შემოვალე სახლის კარი.

— ოჰო! სად გაიღეშე, ვაჟბატონო! შენ გაგისკდა მიწა! — მომესიყვარულება.

სად გაგონილა ადამიანს მიწა გასკდომოდეს და შიგ ჩავარდნილიყოს? თუ მართლა ვეჯავრები, რატომ არ მეტყვის, ფაშვი გაგისკდაო.

ვთქვათ, ისევ ნასვამი მოვედი.

— შენ გნახე დამხჩვალი ღვინის ბოჭკაში! — იწყევლება მეუღლე.

მითხარით, ოდესმე ვაგიგიათ ღვინის კასრში დამხრჩვალისყოს ვინმე?! (ისე დიდი სერიი კი იქნებოდა).

როგორც ხედავთ, მე ბახუსთან ვმეგობრობდი.

ახლა?

ალბა!

რატომ?

მოგახსენებთ...

წინაღამით ქეიფის შემდეგ ატეხილ აყალ-მყალში ვიდაცამ თვალი კინალამ ამომიგდო. მეუღლის შიშით ოთახში ჩუმად შევიბარე და საწოლს მივაშურე. დილით, როცა შევნიშნე, რომ მარჯვენა თვალის ქუთუთო საშინლად შემსივებოდა, მეუღლე ვიხმე.

— რა მოგივიდა?! — შეიცხადა.

— მარგალიტივით ქმარი გელუბება, — გავაფრთხილე მე.

— რალა მეშველება, ჯამაგირს ვინ მოიტანს, — შეშინდა ცოლი.

— ექიმი, ჩქარა! — დავიძახე მე, — თუ თვალი დამეყსო, ჩემი პენსია რას გეყოფა!

მეუღლემ სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

ექიმი ხანში შესული კაცი აღმოჩნდა. დინჯად მომიხალოვდა. მარჯვენა თვალის ქუთუთო ჯერ მალა აქაჩა, მერე დაბლა ჩამოქაჩა, ბოლოს თვითონ გადმოქაჩა თვალეები და ერთხანს ასე მიყურა, სანამ რამეს იტყოდა, ჩემი მარჯვენა თვალიდან სიმწრის ცრემლებმა გამოყოფა.

— მდაა! — სამწვერა ნერვის ანთებაა! — დაასკვნა ბოლოს.

— რა არის, ბატონო, სამწვერა ნერვი! — ვკითხე მე.

— სამწვერა ნერვი, ახალგაზრდავ, სამწვერა ნერვია! — კვლავ გადმოქაჩა თვალები ექიმმა.

— თვალი შეუხვიეთ, მაგის წამალი სითბოა, — მიუბრუნდა მეუღლეს. მგონი, ცოლმა რაღაცა ანიშნა, რადგან სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ მრავალმნიშვნელოვნად აღმართა ხელი და ბრძანა:

— არავითარი სასმელი!

— არც წყალი, ექიმო? — მივაძახე.

— მხოლოდ „ბორჯომი“, ისიც გამთბარი! — მომაძახა.

* * *

მოსლამოვდა, ტკივილმა თითქოს გამიარა, ქალაქში წასვლა მომინდა. ცოლმა გამგმირავი მზერა მესროლა, მაგრამ ჩემს მარცხენა თვალში ისეთი საცოდაობა ამოიკითხა, რომ უარი ვეღარ მითხრა.

— წადი! ოღონდ მალე დაბრუნდი.

— კი, გენაცვალე! — მივაძახე გახალისებულმა და გარეთ გავვარდი.

მეგობრები წყლების ფარდულთან დამხვდნენ.

— ოჰო! კუტუზოვს გაუმარჯოს! — შორიდან მომაძახა ოთარმა.

— რა მიგავს კუტუზოვს, — გავბრაზდი მე.

— ახვეული თვალი, რა თქმა უნდა, სხვა მხრივ განსხვავებაა, — დაასკვნა ზურიკომ.

— განსხვავება თავშია, — კვერი დაუკრა გურამმა.

— თქვენ იცინით, მე კი მართლა მტკივა. — ჩავილულულუდე.

ოთარი შეფიქრიანდა.

— რა მოგივიდა?

— რა ვიცი, ექიმმა სამწვერა ნერვის ანთებააო.

— ჰოდა, მაგის წამალი სამი ჰქაია!..

— მე სახლში მივდივარ! — წამოიძახა ზურიკომ.

— ბიჭოს! გამოსწორდი?! — შენიშნა გურამმა.

— შენ რა გენაღვლება, შვილი ბიძიას მეძახის.

— წამო, წამო, — ხელი დაავლეს ზურიკოს, რომელმაც მრავალმნიშვნელოვნად გადმოხედა.

— ექიმმა დამარიგა არ დალიოთ! — დროზე მივაშველე.

— ექიმებს უჯერებ! — შეიცხადა ოთარმა და ბეზიას ამბავი გაიხსენა.

— ბეზიაშენი, ძმაო, ასი წლისა იყო!

— ექიმები რომ არ წახმარებოდნენ სიკვდილში, კარგა ხანს იცოცხლებდა! — გაცოფდა ოთარი.

— წავიდეთ!... — გადაწყვიტა ხმის უმრავლესობამ.

— წავიდეთ!

გასასვლელს ბარბაცით მივაშურეთ. კარებში ახალგაზრდები იდგნენ, არ მახსოვს, ის დამეჯახა თუ მე დავეჯახე.

— ვაჰ! — წამოიძახა მან.

— უჰ! — ავყევი მე.

— რა უჰ, ბრმა ხარ!

— ბრმა შენა ხარ! — გავიქაჩე მე.

ახალგაზრდა ირონიულად შემომამჩერდა.

— თქვენ, მგონი, ერთი თვალი შეგსიებულიათ, ახლა მეორე თვალსაც შეგილამაზებთ, რომ ერთმანეთის პროპორციულნი იყვნენ... და ვიგრძენი, როგორ გაიციმციმეს ნაპერწკლებმა ჩემს მარცხენა თვალში.

გონს რომ მოვედი, ამხანაგები მეზვიენენ, ზურიკოს ქვედა ტუჩი გახეთქოდა, ოთარს ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა და წინა კბილებს ისინჯავდა. გურამი ცხვირის კეხზე სისხლს იცილებდა, მე კი საშინლად მტკიოდა მარცხენა თვალიც.

ავტობუსის გაჩერებასთან უსიტყვოდ მიმართიეს.

ცოლმა ჩემი სიმთვრალე მეორე ოთახში იგრძნო და ტორპედოსავით გამოვარდა, მაგრამ როცა ჩემს მარცხენა თვალს შეხედა, ენა ჩაუვარდა და უსიტყვოდ მიმიყვანა საწოლთან.

ორი კვირა ვიწექი. მარჯვენა თვალზე სახვევებს ვიცლიდი. მარცხენაზე კი თბილ საფენს ვიფენდი. ორი კვირა ვსვამდი კისელსა და თბილ „ბორჯომს“. ჩემი შეუღლე „გულშემატკივარ“ მეზობლებში ჩემს ავტორიტეტს ზრდიდა — სამწვერა ნერვს საშინელი გართულება სცოდნიაო!



რის გვიძმონენ

მხილასიზა

პარზან სქვიზარიი

ჩვენი ქალაქის ობელისკები

ჯერ კიდევ XIX საუკუნის გარიყრაყზე რუსეთის რევოლუციური და დემოკრატიული საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა ბათუმის რევოლუციური ამბები. მუშათა ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საკმაოდ ფართოდ აისახა მაშინდელ რევოლუციურ და დემოკრატიულ პრესაში. მის შესახებ ცნობები, სტატიები და წერილები იბეჭდებოდა ლენინურ გაზეთ „ისკრაში“.

დღეს ბათუმის რევოლუციურ წარსულზე მოგვიტხრობენ ობელისკები.

31 დეკემბრის ქუჩაზე გაშენებულია სკვერი, რომელსაც ამშვენებს ლამაზი და ბევრისმოქმედი მაღალი ობელისკი. ამ ადგილზე, სილიბისტრო ლომჯარიას სახლში, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ბათუმის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

1901 წლის შემოდგომაზე, თბილისში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შექმნის შემდეგ, მთავარი ყურადღება მიექცა ბათუმს, რომელიც ამიერკავკასიის ერთ-ერთ დიდ სამრეწველო მუშურ ცენტრს წარმოადგენდა, და გადაწყდა იქ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება. ეს ამოცანა რსდმპ თბილისის კომიტეტმა დაავალა ი. ბ. სტალინს, რომელიც საუკეთესო კონსპირატორ - ორგანიზატორად ითვლებოდა. ამრიგად, 1901 წლის ნოემბერსა და დეკემბერში შეიქმნა რევოლუციური სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაცია.

1901 წლის 31 დეკემბერს სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა სილიბისტრო და თეოფილე ლომჯარიების სახლში, გაფორმებულ იქნა რევოლუციური სოციალ-დემოკ-

რატული ორგანიზაციის დაარსება. კონფერენციამ აირჩია ბათუმის კომიტეტი.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობა გააჩაღა, რომელიც თანდათან მოედო საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებს. რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ბათუმის მუშათა საგაფიცო ბრძოლა. თუ ზემოთ აღნიშნული ობელისკი ბათუმის სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებაზე მოგვითხრობს, ყოფილ მანთაშევის ქარხნის ადგილზე აღმართული ობელისკი — მანთაშევის ქარხნის მუშათა პირველ დიდ გაფიცვებზე. (გაფიცვა მიმდინარეობდა 1902 წლის 31 იანვრიდან 18 თებერვლამდე). პოლიციის დახმარებით 18 დღე ებრძოდა ქარხნის ადმინისტრაცია მუშებს, მაგრამ ამაოდ.¹ რსდმპ ბათუმის კომიტეტის მიერ მოწყობილი გაფიცვა აუღებელ ციხე-სიმაგრეს მოგვაგონებდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა კიდევ.

მალე საგაფიცო ტალღა ბათუმის ყველა ფაბრიკასა და ქარხანას მოედო. ყველაზე უფრო ორგანიზებულ და ძლიერ მოძრაობას მაინც როტმილდის ქარხნის მუშათა 1902 წლის გაფიცვა წარმოადგენდა. 1902 წლის თე-

ბერვალში დაწყებული გაფიცვა მარტში დიდ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა და პოლიციასთან და ჯარის ნაწილებთან ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა.

1902 წლის 9 მარტს ბათუმში გაიმართა მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია. ეს იყო პირველი დემონსტრაცია ბათუმში, ბრძოლაში დაეცა 15 და დაიჭრა 54 მუშა.

სოუქსუს სასაფლაოზე წიწვიანი ხეების გვერდით დგას ობელისკი, რომელიც მდუმარედ დაჰყურებს ძმათა სასაფლაოს, სადაც განისვენებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული 15 ძმადნაფიცი: ა. ბახტაძე, მ. პერთია, ა. და ს. შანიძეები, მ. ყუფარაძე, ა. მურადოვი, ალ. ჩხეტია, პ. იორდანიდი, ს. სულავა, ე. სიხარულიძე, ე. კოპალეიშვილი, შუბლაძე და სხვები.

ცარიზმის აგენტები იმედოვნებდნენ, რომ მკაცრი რეპრესიებით ბოლოს მოუღებდნენ მუშათა მოძრაობას. ამ მიზნით ბათუმიდან გასახლებულ იქნა 500-მდე მოწინავე მუშა, ხოლო 21 მუშა პასუხისგებაში მისცეს. რეპრესიებს მუშებმა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით უპასუქეს. ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა ბათუმიდან გასახლებული მუშები ისევ უკან გამოეწვია. ადმი-

1. ვახ. „ზარი“, № 2, 1906.

ნისტრაცია ათასგვარ ხერხს მიმართავდა, რათა მუშაობა განეხლებინა ძველ პირობებში, მაგრამ ბათუმის კომიტეტის აგიტატორები მუშებს ორგანიზებულ მოქმედებაზე მიუთითებდნენ. ბათუმის კომიტეტმა დაბეჭდა და გაავრცელა პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ვიდრე როტშილდის ქარხნის თუნდაც ერთი მუშა ცოცხალია, ქარხანა მუშაობის განახლებას ვერ შეძლებსო“.¹

ვერც პოლიციამ და ვერც უნდარმერიამ როტშილდის ქარხნის ამუშავება ვერ შეძლეს, ვიდრე მუშების მოთხოვნები მთლიანად არ იქნა დაკმაყოფილებული. როცა ყველა საშუალება ამოიწურა, ქარხნის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

როტშილდის ქარხნის მუშათა ეს ხანგრძლივი პოლიტიკური გაფიცვა ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტმა ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანა.²

როტშილდის ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე დგას ობელისკი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „1902 წ. თებერვალში როტშილდის ყოფილ ქარხანაში ი. ბ. სტალინმა მოაწყო და ხელმძღვანელობა გაუწია ორ დიდ გა-

ფიცვას, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა“.

X X საუკუნის გარიჟრაჟზე ბათუმში აზვირთებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ჯერ კიდევ 1905 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე, „სისხლიანი კვირის“ ზეგავლენით, ბათუმის პროლეტარიატმა მძლავრი იერიში მიიტანა თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიაზე. მუშების მხარდაჭერით რსდმპ ბათუმის კომიტეტმა ისეთი ძალა და ავტორიტეტი მოიპოვა, რომ მას მეტსახელად „ბარცხანის გუბერნატორს“ უწოდებდნენ. რსდმპ ბათუმის კომიტეტის განკარგულება სავალდებულო იყო თვითეული მუშისათვის. მალე მოვლენები ისე განვითარდა, რომ 1905 წლის ნოემბრის დამდეგს ბათუმის პროლეტარიატი აშკარად აჯანყდა, მუშებმა ხელი მოჰკიდეს იარაღს და იერიში ცარიზმზე მიიტანეს. მაგრამ ისე, როგორც მთელ რუსეთში, თვითმპყრობელობამ აქაც სისხლის მორევში ჩაახშო რევოლუციური მოძრაობა.

1907 წლიდან რევოლუცია შავხელმა რეაქციამ შეცვალა. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეწყვეტილა რევოლუციური ბრძოლა, იგი სხვადასხვა ფორმებში სწარმოებდა.

1917 წლის თებერვალში რუსეთში ბურჟუაზიულ - დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, მაგრამ მშრომელი მასების იმედები მაინც არ გამართლდა: და-

1. ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 58.

2. გაზ. „ისკრა“, 1902 1/IX, № 24.

ლაუფლება ხელთ იგდეს ბურჟუაზიამ და მემამულეებმა. ამიტომ კვლავ გაგრძელდა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ბათუმის მუშათა კოლექტივი ამ ბრძოლაში კვლავ ავანგარდში იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მენშევიკებს ყოველნაირად ეხმარებოდნენ უცხოელი იმპერიალისტები, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გარდუვალი გახდა.

1920 წლის უკანასკნელი თვეები და 1921 წლის დასაწყისი საქართველოს მენშევიკური მთავრობის კრახის მაუწყებელი იყო. კომუნისტურ პარტიას მშრომელი მოსახლეობა ამოუდგა მხარში.

ასეთ ვითარებაში 1921 წლის თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოში გლახთა შეიარაღებული აჯანყება დაიწყო. 16 თებერვალს შეიქმნა რეკომი, რომელმაც დახმარებისათვის რსფსრ-ს მთავრობას მიმართა. საბჭოთა მთავრობის მითითებით მე-11 წითელი არმია სასწრაფოდ მიეშველა აჯანყებულ გლახობას. 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში გამარჯვების წითელი დროშა აფრიალდა.

მენშევიკური მთავრობა თბილისიდან ქუთაისში გაიქცა, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა ბათუმისათვის შეეფარებინა თავი.

1921 წლის მარტში ბათუმი კვლავ გადაიქცა საერთაშორისო

იმპერიალიზმის ავანტურის ცენტრად. როცა ყველა სხვა საშუალება ამოიწურა, იმპერიალისტები შეეცადნენ ბათუმზე დაყრდნობით შეეჩერებინათ საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა საქართველოში და გადაერჩინათ მენშევიკური დიქტატურა.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას დახმარებას პირდებოდნენ ანტანტის იმპერიალისტები. განსაკუთრებით ფრანგი იმპერიალისტები აქტიურობდნენ. მაგრამ იმპერიალისტთა დაპირება დაპირებად დარჩა, ხოლო ქართველი მენშევიკები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თვით მენშევიკური ჯარი და გვარდიაც არასაიმედო აღმოჩნდა. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ჯარში მთავრობის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება მზადდებოდა. მენშევიკური ჯარის ოფიცერთა ერთი ნაწილი თურქოფილურად ყოფილა განწყობილი. სამაგიეროდ ჯარისკაცთა მასა მხარს უჭერდა წითელი არმიის შემოსვლას და აჯანყებას ამზადებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ.¹

სწორედ ასეთ ვითარებაში მენშევიკური მთავრობის არაოფიციალური ნებართვით საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარის ნაწილები შემოვიდნენ და თითქოს შეუმჩნეველად ბათუმის ოლქის ოკუპაციას შეუდგნენ. მენშევიკები ვარაუდობდნენ, რომ

1. გაზ. „კომუნისტი“, № 136, 1921.

თურქეთის ჯარი წითლების მეთე-
რთმეტე არმიას შეეჯახებოდა. მა-
გრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა.
მენშევიკებიც მიხვდნენ, გამოუს-
წორებელი შეცდომა დაუშვეს
და განაცხადეს: „ჩვენც ბო-
ლშევიკების მომხრე ვართ თუ-
რქეთის წინააღმდეგო“.¹ ხოლო
როცა მენშევიკები საბოლოოდ
დარწმუნდნენ, რომ ხსნა არსად
იყო, მიატოვეს სამშობლო და გა-
იქცნენ.

18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხე-
ლისუფლება დამყარდა.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუ-
ფლების დამყარებისა, თურქეთის
ჯარი ბათუმის ოლქიდან წასვლას
არ აპირებდა. უფრო მეტიც. თვი-
თწარქვია ქიაზიმბეიმ თავი ბათუ-
მის ოლქის გუბერნატორად გა-
მოაცხადა და გამოსცა დეკრეტი
ბათუმის ოლქის თურქეთთან შე-
ერთების შესახებ. ამიტომ დადგა
საკითხი თურქეთის ძალით განდევ-
ნის შესახებ.

10 მარტს კახაბერში დიდი ბრძ-
ოლები გაჩაღდა.² ასეთ მომენტში,
დღის 5 საათსა და 18 წუთზე ბა-
თუმში მე-11 წითელი არმიის

ცხენოსანი ნაწილი შემოვიდა.
თურქეთის ჯარმა დაუყოვნებლივ
შეწყვიტა საომარი მოქმედება,
მაგრამ 19 მარტს კვლავ განახლ-
და ბრძოლა, ამჯერად ბარცხანა-
ში. იქაც ქართველმა მხედრებმა
სასტიკად დაამარცხეს თურქები.³

თურქი მოძალადეების წინააღ-
მდეგ ბრძოლაში დაეცა 100-მდე
ქართველი მებრძოლი. აზიზივს
მოედანზე (ახლა ლენინის სახე-
ლობის მოედანი) 23 მარტს მოხ-
და მათი დასაფლავება, რომელიც
აჭარის მშრომელთა დიდ დემონ-
სტრაციად გადაიქცა. მოედნის
რეკონსტრუქციასთან დაკავშირე-
ბით ძმათა საფლავი გადატანილ
იქნა მახლობელ სკვერში, სადაც
აღმართულია ობელისკი წარწე-
რით: — „ძმათა საფლავი აჭარაში
საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
რებისათვის დაღუპულ მებრძო-
ლებისა“.

ეს ობელისკი იმ დაღუპულ
ადამიანთა სიმბოლოა, რომლებ-
მაც თურქ დამპყრობლებთან
ბრძოლაში დასდეს თავი აჭარაში
საბჭოთა ხელისუფლების საბო-
ლო გამარჯვებისათვის.

1. ვაზ. „კომუნისტი“, № 136, 1921.

2. ვაზ. „სოციალ-ფედერალისტი“,
№ 60, 1921, 13/V.

3. ვაზ. „სოციალ-ფედერალისტი“,
№ 73, 1921, 23/V.



საზოგადოებრივი
ენის ისტორიის
კვლევის
ინსტიტუტი

ლოც. რაჟინალ შამალაშვილი

3. ი. ლენინი ენის შესახებ

ენა — საზოგადოების ისტორიაა, მისი ცოცხალი მატრიანა. მასში, თითქოს სარკეში, ისე მოჩანს ყოველივე ის, რაც ხალხს შეუქმნია და დაუგროვებია სულიერი და მატერიალური კულტურის სახით. ამიტომ, სავესებით ბუნებრივია დაისვას საკითხი ენის როლის შესახებ შემეცნების პროცესში. საინტერესოა, აგრეთვე, გავარკვიოთ, როგორ უყურებდა ამ პრობლემას ვ. ი. ლენინი.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ენის როლი შემეცნების პროცესში დიდი: როგორი აზრიც არ უნდა მოუვიდეს ადამიანს, იგი ყოველთვის ენის მატერიალურ გარსში უნდა გახვიოს. ენის მატერიალური გარსის გარეშე არავითარი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, ენა უშუალოდ არის დაკავშირებული აზროვნებასთან.¹

ადამიანის შემეცნებითს მოქმედებას ორი მხარე აქვს: ერთი — იგი ითვისებს და ანვითარებს ადამიანის მიერ უკვე მოპოვებულ ცოდნას, მეორე — იმეცნებს ბუნებისა და საზოგადოების ჯერ კიდევ შეუცნობელ მოვლენებს. ენა ამ

ორ შემთხვევაში სხვადასხვა როლს თამაშობს. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მზამზარეულ ცოდნასთან და ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემის აქტთან, ხოლო მეორე შემთხვევაში კვლევის პროცესთან. ორივე შემთხვევაში ხდება ჩვენი ცოდნის გამდიდრება ახალი ცოდნით. მაგრამ პირველ შემთხვევაში ნაცნობის ათვისება ხდება, ხოლო მეორეში — უცნობისა, უფრო სწორად საკუთარი ძალებით აღმოჩენილი კანონებისა და წესების გაშინარსება.²

მაგრამ ადამიანთა ცნობიერებაში თვით სინამდვილის ასახვა შეუძლებელია ენის გარეშე განხორციელდეს.

დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ენა და აზროვნება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, მაგრამ ეს როლი მიუთითებს მათს იგივეობაზე, ერთსა და მეორესაც თავისი სპეციფიკური მხარე გააჩნია.

ენის საფუძველს, მის სპეციფიკურ არსს შეადგენს გრამატიკული წყობა და

1. ხ. ქორიძე, — ასახვის ლენინური თეორიის შესახებ. თბ., 1959, გვ. 87.

2. დ. ხ. გორსკი, — ენის როლის შესახებ შემეცნებაში, „კავკასიის ფილოსოფიი“, 1953, № 2, გვ. 75-92.

ბირთვული ლექსიკური ფონდი, ხოლო აზროვნების საფუძველს წარმოადგენს აზრის ლოგიკური წყობა. აზრის ლოგიკური წყობა და ენის გრამატიკული წყობა — ეს ერთი და იგივე არაა. მათ შორის არსებითი განსხვავება იმაშია, რომ ენის გრამატიკული წყობა, რომელიც საერთოა მოცემული ერის ყველა კლასისათვის, არსებითად განსხვავდება სხვა ერის გრამატიკული წყობისაგან. ეს მაშინ, როდესაც აზრის სწორი ლოგიკური წყობა საერთოა ყველა წრისა და ყველა კლასისათვის.

ენისა და აზროვნების ამ განუყოფელი კავშირით განისაზღვრება ენის როლი შემეცნების პროცესში. სწორედ ენისა და აზროვნების ორგანული კავშირი ენას ანიჭებს უდიდეს როლს შემეცნებაში, ჩვენი აზრების შესამკობლად ენა წარმოადგენს არა მარტო აუცილებელ პირობას, არამედ იგი შესაძლებლობას იძლევა განამტკიცოს აღამიანთა შემეცნებითი პროცესის შედეგები, განამტკიცოს ერთი თაობის მიერ დაგროვილი გამოცდილება და გადასცეს იგი მომდევნო თაობას.¹

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა წარსულში დაგროვილი ცოდნის უდიდეს მნიშვნელობაზე კომუნისტური საზოგადოების აღამიანის მსოფლმხედველობის ფორმირების საქმეში. ამ ცოდნას წინა თაობისაგან ჩვენ სწორედ ენის საშუალებით ვიღებთ, ვიღებთ წერილობითი ძეგლების მეშვეობით. ამის გარეშე შეუძლებელია პროგრესი, კულტურული წინსვლა.

ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, მეცნიერი და ისტორიკოსი ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ ბრუევიჩი თავის სტატიაში „ვ. ი. ლენინი ხალხური ზეპირსიტყვიერების შესა-

ხებ“ დაწვრილებით აგვიწერს, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდა ვლადიმერ ილიას ძე წერილობითი ძეგლებისადმი. სტატიაში აღნიშნულია, რომ ვ. ი. ლენინი დიდად დაინტერესებულა ვ. ი. დობროვოლსკის მიერ შედგენილი „სმოლენსკის ეთნოგრაფიული კრებულებით“.

ბრუევიჩი იფიქრებს:

— ეს რა წიგნებია? — მკითხა ვლადიმერ ილიას ძემ ჩემთან სტუმრად ყოფნისას.

— ეს ხელნაწერებია, რომლებიც შევავროვე ეთნოგრაფიულ-კვლევითი მუშაობის პროცესში. — ვუბასუხე მე. მან აიღო ერთ-ერთი ხელნაწერი და ინტერესით დაიწყო თვალიერება. ყურადღება მიაქცია მეტყველების ხალხურობას, უბრალოებას, სტილის თავისებურებას, გრამატიკულ შეცდომებს. არ გამოჩინდა ისიც, თუ როგორი მონღოშვებითა და სიყვარულით იყო გაკეთებული ხელნაწერი.

— ეს სალიან საინტერესოა, ვინ დაწერა? — იკითხა მან.

— ლენინმა ავტორმა, — ვუბასუხე მე.

— როდისაა დაწერილი?

— ჩემი აზრით, ეს ხელნაწერი შესრულებულია მე-19 საუკუნის დასაწყისში. ხოლო თვით შინაარსი, რომელიც აქაა გამოცემული, მეთვრამეტე საუკუნეს ეხება...

ვლადიმერ ილიას ძე ინტერესით ათვალიერებდა ხელნაწერებს.

— გასაოცარია, — თქვა მან, — ჩვენი მეცნიერები, ეს პრიატ-დოცენტები და პროფესორები ჩაკირკიტებენ ფილოსოფიურ ბროშურებს და ყურადღებას არ აქცევენ ჰუმანიტეტ ხალხურ შემოქმედებას, არ იწერენ ამ საუნჯეს და არ უნახავენ მომავალ თაობებს.²

ენის უდიდესი როლი შემეცნების პროცესში, ერთის მხრივ, იმით განისაზ-

1. დ. პ. გორსკი, ენის როლი შემეცნებაში, კრებული „აზროვნება და ენა“, დ. პ. გორსკის რედაქციით, მოსკოვი, 1957, გვ. 75.

5. „ლიტერატურული აპარა“, № 1.

2. ვ. ლ. ბონჩ ბრუევიჩი, — რჩეული თხზულებანი, ტ. III, მოსკოვი, 1963, გვ. 350-352.

ღვრება, რომ იგი განუყოფლად დაკავშირებული აზროვნებასთან, ეს უკანასკნელი შემეცნების პროცესის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. მეორე მხრივ კი ენა უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანთა საზოგადოებრივ-საწარმოო და პრაქტიკულ საქმიანობასთან.

სხვადასხვა იდეალისტური სკოლის წარმომადგენლები ხელოვნურად აცილებენ ენასა და აზროვნებას ერთმანეთისაგან. დიალექტიკური მატერიალიზმი კი იქიდან გამოდის, რომ ენა ორგანულადაა დაკავშირებული აზროვნებასთან, მასთან ერთად წარმოადგენს განუყოფელს, მთლიანს. რომ ადამიანთა ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აზროვნების დახმარებით, რომელიც დაკავშირებულია ენასთან, როგორც თავის ფორმასთან.

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა ენას ადამიანთა შემეცნებითს პრაქტიკაში. „ფილოსოფიურ რვეულეზში“ იგი რეკომენდაციას იძლევა შევიწყოვლოთ ენისა და აზროვნების ისტორია, რათა სწორად შევიცნოთ გარე სამყარო.

ენა უდიდეს როლს ასრულებს თვით შემეცნების პროცესში, რადგან სიტყვებისა და წინადადების საშუალებით ხდება ადამიანთა აზრების გამოხატვა და განმტკიცება, მასზეა დამოკიდებული მათი წარმატება, რადგან იდეა, როგორც კ. მარქსი წერდა, ენისაგან მოწყვეტილად არ არსებობს.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი მიუთითებდნენ, რომ ყოველგვარი დამოკიდებულება შეიძლება ვამოიხატოს ენაში მხოლოდ ცნების სახით. ეს კი ნიშნავს, რომ სიტყვა და ცნება ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ცნებების სწორად გამოყენების საკითხს.

„ჩვენ არ ვიცით, რით განსხვავდება ცნება „ეპიზოდური“ ცნება „დროებითისაგან“. ვშიშობთ, ვაი თუ უცხო და „ახალი“ სიტყვა აქ მხოლოდ მკაფიო აზრის უქონლობას ფარავდეს. ეს თით-

ქოს „უფრო ღრმაა“, ნამდვილად კი ეს მხოლოდ უფრო ბუნდოვანი და დახალაოთულია.“¹

როგორც ცნობილია, სამყაროს მეცნიერული შემეცნებისათვის ცოცხალი განჭვრეტა პირველი საფეხურია, შემეცნების ამოსავალი წერტილია. ამიტომაც დიდია ადამიანის გრძნობათა ორგანოების როლი შემეცნების პროცესში. შეგობნება, აღქმა და წარმოდგენა შემეცნების ის ფორმებია, რომელთა დახმარებითაც ადამიანი განაზოგადებს თავისი ცხოვრების გამოცდილებას. ყოველივე ეს კი სათანადო გამოხატულებას პოულობს ცნებებში, რომლებიც შეადგენენ ადამიანის აზროვნების უმნიშვნელოვანეს ფორმას.² ცნება შემეცნების ისეთი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის საგანთა, მოვლენათა არსებითი ნიშნები (მიიღება ცალკეულ მოვლენათა განზოგადების შედეგად).³

პეგელის წიგნიდან „ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე“ ლენინს კომენტარების გარეშე მოჰყავს შემდეგი აღგოლი: „...რამდენადაც ადამიანი ლაპარაკობს, მისი სიტყვები შეიცავენ ცნებას; ცნება არ შეიძლება არ დაეუშვათ, ცნობიერებაში კვლავწარმოქმნილი მუდამ შეიცავს საყოველთაობისა და ჭეშმარიტების ნაღებს.“⁴ ლენინის აზრით ცნება არის „მატერიის უმაღლესი პროდუქტის — ტვინის უმაღლესი პროდუქტი“.⁵ ვ. ი. ლენინმა თავის „ფილოსოფიურ რვეულეზში“ ნათლად გვიჩვენა, რომ ცნება შეიძლება იყოს სწორიც, მცდარიც და სულ უაზროც.

ვლადიმერ ილიასძის აზრით „ადამიანის ცნებებში თავისებურად (ეს № B. თავისებურად და დიალექტიკურად!!) აი-

1. ვ. ი. ლენინი, — თხზ., ტ. 9, გვ. 83

2. ლ. ა. ბულახოვსკი, — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1955, გვ. 15.

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 8, გვ. 641.

4. ვ. ი. ლენინი, — თხზ., ტ. 38, გვ. 263.

5. იქვე, გვ. 163.

სახება ბუნება. რომ ცნება აბსტრაქტულიცაა და კონკრეტულიც.¹ ვ. ი. ლენინი მიუთითებს: „ცნებათა ანალიზი, მათი შესწავლა, „მათი გამოყენების ხელშეწყობა“ (ენგელსი) მოითხოვს ყოველთვის ცნებათა მოძრაობის, მათი კავშირის, მათი ურთიერთდასკვლების შესწავლას.“² რადგანაც დიალექტიკური გზა ქემშარიტების შეცნობისა, ობიექტური რეალობის შეცნობისა არის გზა „ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნებაზე და მისგან პრაქტიკაზე“³ ამიტომ სიტყვებით გამოხატული ცნებები შეადგენენ ყოველ საზოგადოებაში, სადაც ისინი ხმარებაშია, ერთ-ერთ აუცილებელ საფეხურს იმისათვის, რათა მისი წევრები მიუახლოვდნენ სამყაროს მეტად და მეტად სრულყოფილ შეცნობას.⁴

კ. ა. ლევკოვსკაის აზრით, სიტყვა ენის ძირითადი ერთეულია, საყურადღებო ენობრივი კატეგორიაა, რომლის მნიშვნელობა ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ცნებასთან; მიუხედავად ამისა, მათი გაიგივება შეუძლებელია, რადგან სიტყვა ენობრივი კატეგორიაა, ცნება კი — ლოგიკური. პირველს ენათმეცნიერება სწავლობს, მეორეს — ლოგიკა.

„ყოველი სიტყვა რაიმეს აღნიშნავს; ყოველ სიტყვას აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა ასახავს საგანთა განმასხვავებელ ნიშნებს. ცნებაც ასახავს საგანთა განმასხვავებელ ნიშნებს, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობა მანაც არ ემთხვევა ცნების შინაარსს. საქმე ის არის, რომ ცნებაში ასახულია საგანთა კლასის ყველა ზოგადი და არსებითი ნიშანი... სიტყვის მნიშვნელობაში კი იგულისხმება მხოლოდ ზოგადი

განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას, განვასხვავოთ საგანთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფისაგან.“⁵

სიტყვა ყოველდღიური ხმარების შედეგადაა ასეთი; ცნებაც განზოგადებას იძლევა, ოღონდ მეცნიერული ანალიზი უღევს საფუძვლად. ყოველდღიური სიტყვიერება კი ამას მოკლებულია. სიტყვა რომ ყოველთვის ცნებებს გადმოგვეცემდეს, აღამიანთა ყოველდღიური საუბარი მეცნიერული ცნებისაგან შემდგარი მსჯელობა იქნება, ენაში სიტყვები მეტია ცნებებზე. როცა ენათმეცნიერები ლაბარაკობენ ცნების კავშირის შესახებ სიტყვის მნიშვნელობასთან, მათ ჩვეულებრივ მხედველობაში აქვთ სიტყვის მხოლოდ განმასხვავებელი ფუნქცია. მნიშვნელობის მქონე სიტყვა ხომ ყოველთვის საგნების განსაზღვრულ ერთობას აღნიშნავს, აღნიშნავს საგანთა განსაზღვრულ კლასს, გაერთიანებულს ამა თუ იმ ნიშნით.

ლენინი სასტიკად აკრიტიკებდა პლენარის შემეცნების იეროგლიფურ თეორიას, რადგან ამ თეორიას უნდობლობა შეაქვს ჩვენი გრძნობების ორგანოების ჩვენებებში.

ენათმეცნიერებმა ე. წ. ენის შესახებ „ახალი მოძღვრების“ ბატონობის პერიოდში ვ. ი. ლენინის კრიტიკა შემეცნების სფეროდან გადაიტანეს ენაზე და წამოაყენეს მოსაზრება, რომ სიტყვა ასევე „ასახავს“ სინამდვილის მოვლენებს. თუმცა, როგორც ჩვენ ვიცით, სინამდვილე აისახება ტვინის საშუალებით, რის შედეგადაც იქმნება ჩვენი ცნებები. ცნება ნამდვილად ბრმაა, მიახლოებით ზუსტი მოვლენების ასახვაა. მაგრამ არ შეიძლება სიტყვა გავუტოლოთ, გაეაიგივოთ ცნებასთან, სიტყვა

1. ვ. ი. ლენინი, — თხზ. ტ. 38, გვ. 206, 290, 374, 385.

2. იქვე, გვ. 257.

3. იქვე, გვ. 167.

4. ლ. ა. ბულახოვსკი, — ენათმეცნიერების შესავალი, ნაწ. II, თბ., 1955, გვ. 17.

5. კ. ბაქრაძე, — ლოგიკა, თბ., 1955, გვ. 11.

6. არნ. ჩიქობავა, — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 212-213.

გარსია, განზოგადებისა და ცნების გამომკლავების ფორმა.

სიტყვასა და ცნებას შორის არსებობს განუყოფელი კავშირი და მათს ურთიერთობაში პრიმატი ეკუთვნის ცნებას. სიტყვა ხელს უწყობს ცნების დაბადებას და ამთავრებს მისი აღმოცენების პროცესს. სიტყვა წარმოადგენს ცნების წარმოშობის იარაღს, მაგრამ არაა მისი წყარო. სიტყვის განმარტავებელი როლი მეორადი მოვლენაა და არა პირველადი. ცნება არ არსებობს სიტყვამდე. ცნების ვაფორმება რთული პროცესია, რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიტყვა.

სიტყვის მეშვეობით ცნება საბოლოოდ კრიტიკდება. ცნებითი აზროვნება შეიძლება მიმდინარეობდეს მხოლოდ სიტყვიერ მეტყველებაში.

საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში აღამიანს უჩნდება სინამდვილის ასახვის ლოგიკური ფორმები: ცნება, მსკვლელობა და დასკვნა. ფსიქიკის სფეროში აღამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ფლობს ენას და შესწევს უნარი აზროვნების პროცესში გამოიყენოს სინამდვილის ასახვის ლოგიკური ფორმები. ცნება, როგორც ასახვის ფორმა, ფსიქოლოგიური მოვლენაა, მაგრამ ისეთი, რომელიც განპირობებულია ყოფით, ისეთი საზოგადოებრივი მოვლენით, როგორიცაა ენა.

ცნება ასახვის სხვა გრძობადი ფორმებისაგან განსხვავებით (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა) თავის მატერიალურ, ენობრივ გამოხატულებას პოულობს სიტყვაში, ან სიტყვათა ჯგუფში. იმის გამო, რომ ცნება წარმოადგენს მოცემული საგნის შემეცნების შედეგს, ჯამს, და მასში ასახულია საგნის ყველაზე უფრო ზოგადი ნიშნები, ამიტომაც იგი წარმოადგენს ასახვის უმაღლეს ფორმას. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ აზროვნების ფორმები ასახვენ საგანთა კავშირისა და მათი თვისებების ობიექტურ მიმართებას: „ლოგიკური“ „ფიგურები“

ნივთთა ყველაზე ჩვეულებრივი მიმართებანია“¹.

წარმოუღვეწელია ცნება სიტყვის, ენის გარეშე. ლენინი ხაზს უსვამდა რომ ცნება უნდა იყოს გაშალაშინებული, მოქნილი, მოძრავი, ურთიერთდაკავშირებული... ცნებათა მოძრაობაში ჩანს ობიექტური სამყაროს მოძრაობის ასახვა, ამას კი უზრუნველყოფს ენა.

სიტყვისა და ცნების ორგანული ერთიანობა იმას როდი ნიშნავს, რომ მათ შორის შეიძლება ტოლობის ნიშნის დასმა. ცნების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ყოველ მათგანს გააჩნია სავსებით განსაზღვრული შინაარსი, აერთიანებს სავსებით განსაზღვრულ ერთგვაროვანი სავსებისა და მოვლენების ჯგუფს და შეიძლება გამოიხატოს არა ერთი; არამედ რამდენიმე სიტყვით. სიტყვას კი შეუძლია გამოხატოს ორი ან რამდენიმე სულ სხვადასხვა ცნება. ან შეიძლება სავსებით არ გამოხატოს არაერთი ცნება. ვარდა ამისა, ერთი და იგივე ცნება შეიძლება გამოიხატოს ისეთი სხვადასხვა სიტყვებით, რომლებიც სხვადასხვა ენიდან არის აღებული, მაგრამ ყოველივე ეს როდი ჩრდილავს სიტყვისა და ცნების ერთიანობის უდიდეს მნიშვნელობას.²

ვ. ი. ლენინთან ჩვენ ვპოულობთ მითითებებს აზროვნებისათვის სინამდვილის შემეცნების პროცესში სიტყვის განსაკუთრებული როლის შესახებ. ჰეგელის წიგნის „ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე“ კონსპექტირებისას ილადიმერ ილიას ძეს მოჰყავს ამონაწერი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს მემკვიდრეობიდან. „ყოველი საგანი ლებულობს პირველად მისთვის მიკუთვნებული სახელწოდების მეოხებით

1. ვ. ი. ლენინი, — თხზ., ტ. 38, გვ. 174-175.

2. ი. ანდრევი, — დიალექტიკური მატერიალიზმი შემეცნების პროცესის შესახებ. „მოსკოვსკი რაბოჩი“, 1954, გვ. 69-74.

თავის სიცხადეს, სიაშკარავეს, მკაფიო-
ბასა.¹ ამ ციტატას ვ. ი. ლენინი განსაკუ-
თრებულ ყურადღებას აქცევს. უწერს
№ B და თანაც დასძენს. „სიტყვების
მნიშვნელობაზე ებიკურეს მიხედვით“.

ეპიკურეს ციტატიდან შემდეგი გამო-
მდინარეობს: იმისათვის, რომ საგანმა
თუ მოვლენამ ადამიანისათვის მიიღოს
გამოკვეთილობა, სიცხადე, ენერგიუ-
ლობა, მათ უნდა ჰქონდეთ სახელწო-
დება. ეს არის აუცილებელი პირობა
ადამიანის მიერ საგნისა თუ მოვლენის
უფრო წარმატებით შემეცნებისათვის.
თუ საგანსა და მოვლენას არა აქვს სა-
ხელწოდება, მაშინ სუბიექტის გონებას
არ შეუძლია მისი ადვილად შეცნობა.
სწორედ საგნის სახელწოდება ეხმარება
ადამიანის გონებას გახადოს საგანი თა-
ვისი შემეცნების ობიექტად.

ვ. ი. ლენინს მოჰყავს ფოიერბახისეუ-
ლი განსაზღვრება საგნის სახელწოდე-
ბისა: „რა არის სახელწოდება? განმას-
ხვავებელი ნიშანი, რომელიმე ნიშანი,
თვალში რომ გეცემა, ნიშანი, რომელსაც
საგნის წარმომადგენლად, დამახასიათებ-
ლად ეძღვი, რათა ეს საგანი მის ტოტალო-
ბაში წარმოვიდგინო.“²

ენათმეცნიერებაში ამ ნიშანს უწოდე-
ბენ „შინაგან ფორმას“. ავიღოთ, მაგა-
ლითად, ქართულში ქონების მაწარმოე-
ბელი — ა. „წითელბერანგა ჯალათი“
(ი. ჭავჭავაძე, 428, 7); ერთი შავტარა-
დანა (ი. ჭავჭ., 392, 40); „სქელ-კისერა
იამშიჩი“ (ი. ჭავჭ., 243, 6); „ცალ-
თვალა სასიმიდე“ (ი. ჭავჭ., 332, 5);
„სამფეხა-საკიდელი“ (ა. ყაზბეგი., 274,
32). იგივე მაწარმოებელი გამოყოფილია
მსგავსების აღსანიშნავად. მსგავსება შე-
იძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან
სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით: ქერა (ქე-
რისფერი); სვილა (სვილისფერი, სვილა
— ჭვავი), შვინდა (შვინდისფერი);
ღვინა (ღვინისფერი); აქედან კნინობი-
თი: ღვინია (ხარის სახელია), წითელა
(ავადმყოფობა); კიდობანა („შეისვენეს

კიდობანას ქვასთან“. ა. ყაზბეგი. 300,
37); მაყელა (ქალის სახელია); და
სხვ.

ამგვარად, თვით საგნის სიტყვით გა-
მოხატვა ხდება მასში (ამ საგანში) რომ
მელიმე ერთი ნიშნის გამოყოფის საფუ-
ძველზე. საგანს კი გააჩნია ნაირფერო-
ვანი თვისებები.

ვ. ი. ლენინის შეხედულებანი სიტყ-
ვის როლის შესახებ შემეცნების პრო-
ცესში შეიძლება ამჟამადაც თამამად
გამოვიყენოთ დასავლეთ ევროპისა და
აშშ-ის იდეალისტური ფილოსოფოსები-
სა და ენათმეცნიერების წინააღმდეგ-
იდეალისტი ე. წ. „სემანტიკოსები“ (კა-
რნაპი, მოორისი, ოგენი და სხვ.) „ამტ-
კიცებენ“, რომ თითქოს სიტყვა თავისი
შინაარსით სინამდვილეს ვერ ასახავს.
ისინი ვერ იტვალისწინებენ სიტყვის
სხვადასხვა თვისებას. ვ. ი. ლენინი თი-
თქოსდა „სემანტიკოსების“ წინააღმდეგ
წერდა: „დიალექტიკური მატერიალიზ-
მის თვალსაზრისით ფილოსოფიური
იდეალიზმი არის ცალმხრივი, გაზვიადე-
ბული...“ განვითარება („გაბერვა“, „გა-
ფუტვა“) შემეცნების ერთ-ერთი ნიშნი-
სა, მხარისა, მიჯნისა აბსოლუტად, რო-
მელიც მოწყვეტილია მატერიას, ბუნებას,
გაღმერთებულთა.“⁴

ლენინის ეს გენიალური მითითება მი-
მართულია ყველა ჯურის იდეალისტების
წინააღმდეგ, რომლებიც თავგამოდებით
იცავენ თავიანთ უსუსურ, ანტიმეცნიე-
რულ შეხედულებებს ბუნებისა და სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა
საკითხზე.

„ადამიანურ ემოციაციათა გარეშე არ
ყოფილა. არ არის და არც შეიძლება
იყოს ქუმპარტების ადამიანური ძიება“.⁵
მაშასადამე, ობიექტური სამყაროს
შემეცნების პროცესში ადამიანი ყოვე-
ლთვის ემოციურადაა განწყობილი რეა-
ლური სინამდვილისადმი. ამა თუ იმ საგ-

3. ა. შანიძე, — ქართული გრამატიკის
საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 127.

4. ვ. ი. ლენინი.—თხზ., ტ. 38, გვ. 375.

5. ვ. ი. ლენინი.—თხზ., ტ. 20, გვ. 310.

1. ვ. ი. ლენინი.—თხზ., ტ. 38, გვ. 297.

2. ვ. ი. ლენინი.—თხზ., ტ. 38, გვ. 399.

ნისა თუ მოვლენის აღქმა ადამიანის მიერ მუდამ დაკავშირებულია ემოციურ განწყობილებასთან, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის როდია გამოხატული ენობრივი ფორმით. მრავალ შემთხვევაში გრძნობები და ემოციები სიტყვიერად გამოუთქმელი რჩება, განსაკუთრებით ემოციურად სუსტად შეფერილ მეტყველებაში.¹

ადამიანის შემეცნება არ არის უშეცდომოდ მოქმედი მექანიზმი და სწორხაზოვანად მიმართული ობიექტური სამყაროს აღქვატური შემეცნებისათვის. არა, გარესამყაროს შემეცნების გზა მიხვეულ-მოხვეულია, გამორიცხული არ არის შეცდომები, წაფორხილება. აზროვნება ყოველივე ამას ენის საშუალებით გადმოგვცემს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ვ. ი. ლენინის ზუსტი შენიშვნა. ის არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ კონსპექტში წერს: „მისელა (ადამიანის) გონებისა ცალკეულ ნივთთან. მოხსნა ამ ნივთისაგან ტვიფარისა (ცნებისა) არ არის მარტივი, უშუალო, საარკისებრ მკვდარი აქტი, არამედ იგი რთულია, გაორებული, ზიგზაგისებური, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის მოწყდომის შესაძლებლობას.“² ანალოგი-

ური რამ შეინიშნება ენის როგორც ლექსიკაში ისე გრამატიკულ წყობაში.

როცა ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ენის შემეცნების პროცესში, უნდა მოვიგონოთ ე. წ. სემანტიკოსები — იმპერიალიზმის ეს დამცველები, რომლებიც ცდილობენ დაგვარწმუნონ იმაში, რომ თითქოს ენა აზროვნების იარაღად სრულიად უვარგისია, რომ იგი მხოლოდ რყენის აზრს, ხელს უშლის ურთიერთგაგებას და საერთოდ ამუხრუჭებს სამყაროს შემეცნებას. მარქსიზმ-ლენინიზმი კი იდეალისტებისა და საერთოდ, ყოველგვარი სემანტიკოსების საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ ენა არის შემეცნების განვითარების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი, ის იარაღი, რომლის საშუალებითაც ხდება გადასვლა აღქმიდან აზრისაკენ და ამით ერთობლივი, გარეგანი შემეცნებიდან ზოგადი, შინაგანი შემეცნებისაკენ. ენის გარეშე შეუძლებელია აზრის გაფორმება, გადაცემა.


ასეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტორია ენა შემეცნების პროცესში და ამიტომაც იყო, რომ მას ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა.

3. ვ. ა. ზვეგინცევი, — ნარკვევები ზოგადენათმეცნიერებაში. მოსკოვი, 1962, გვ. 325.



1. ნ. ოქრობირიძე, — მოდალობის კატეგორიის საკითხისათვის ქართულ ენაში. გორის ბალნსტიტუტი, შრ., V, 1960, გვ. 93.

2. ვ. ი. ლენინი, — თხზ., ტ. 38, გვ. 385.



მერაბ ბერიძე

თანამედროვე პროზაში ძველი ხალხური „მოთქმის“ გამოყენება

ქართული ხალხური სიტყვიერების წილიდან აღმოცენებული მხატვრული ლიტერატურა საუკუნეთა მანძილზე ხალხურ შემოქმედებასთან უშუალო კონტაქტში ითვისებს და გარდაქმნის თავის მხრივ ხალხური საუნჯის ელემენტებს. მხატვრული ლიტერატურის სიცოცხლისუნარიანობა და ხალხობა ზეპირ პოეტურ შემოქმედებასთან, მჭიდრო კავშირით განისაზღვრება.

თანამედროვე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში უხვად ვხვდებით ხალხური სიტყვიერების ისეთ ჟანრებს, როგორცაა ზღაპარი, ლეგენდა, იგავი, თქმულება, „მოთქმა“. ამ შემთხვევაში ყურადღებას მხოლოდ ამ უკანასკნელზე ვამახვილებთ.

თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში ადგილი აქვს ხალხური სიტყვიერების ამ ჟანრის გამოყენებას.

უხსოვარი დროიდან დღემდე ხალხში ჩვევად იყო მიღებული მიცვალებულის მოთქმით დატირება. სამეგრელოსა და ქართლში მოთქმას „ზარს“ უწოდებენ, თუშეთში „დალაის“, ხევსურეთში —

„საქნარს“¹. ეს ტრადიცია, რასაკვირველია, არ შეიძლება არ ასახულიყო ხალხურ შემოქმედებაში. კორნელი კეკელიძე იუწყება, რომ ლიტერატურის ისტორიაში ცნობილ ჟანრს — „გოდებას“ წინ უსწრებდა ხალხური სიტყვიერების „მოთქმა“. მას ლიტერატურაში ამ ჟანრის წარმოშობის მიზეზად მიაჩნია: 1. დაკარგვა სამშობლოს; 2. შეგნება მისი დაქვეითება-დაკნინებისა და უკუღმართ გზაზე დადგომისა; 3. იძულებითი განშორება ადამიანისა იმ წრისაგან, რომელშიც ის ცხოვრობდა, დატრიალებდა; 4. სიკვდილი ძვირფასი ადამიანისა“².

ჩვენ განვიხილავთ „გოდების“ მხოლოდ იმ სახეს, რომელიც გამოწვეულია ძვირფასი ადამიანის სიკვდილით.

1. ქს. სიხარულიძე, ხევსურეთში სამეცნიერო მივლინებათა მოკლე ანგარიში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 3, გვ. 349.

2. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956. გვ. 198.

6. ღუმბაძეს თავის რომანში „მზიანი ღამე“ მხატვრულ გამომსახველობით სწორად გამოყენებული აქვს „მოთქმა-გოდება“. მთავარი გმირი — თეიმურაზი ასეთი გოდებით მიმართავს დედის საფლავს:

„— მოვედი. ეს მე ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე, შენი სისხლი და ხორცი, ვდგავარ შენი საფლავის ქვაზე და არ მეროდება, რადგანაც მინდა მიგრძნო, მე გტყობი შენს საფლავზე და არ მრცხვენი. არც ლიასი და არც შენი, რადგანაც მინდა, რომ მიხვდეს ღია, რა იყავი შენ ხემთვის და გახდეს იგი ამ საფლავის მატრონი და ჭირისუფალი, როგორც მე, რადგან იგი მე ვარ დღეიდან... ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც იმ დიდი სიყვარულის საფასურად, ჩემი ხელით გაგიოხარე სამარე, ჩემი ხელით პაგასენე შიგ და ჩემი ხელით დაგადე ეს დიდი ღლი და გულზე. ეს მე ვარ, შენი შვილი, რომელმაც ძლივს ვიპოვე და ისე ვიპოვე, რომ აღარასდროს დაგ-არგავ, რადგან ეს სსაფლავო არის ჩემი. ეს არის ღია, ნაწილი იმ დიდი სიცოცხლისა, რომელიც შენ დამიტოვე ვეყანაზე. შენ კი იმდენი სიცოცხლე დამიტოვე, რომ მე მარტოს არ შემიძლია მდენი სიცოცხლე ამიტომ არ გეწყვი-ტოს, რომ მე მივეცი მას ჩემი და შენი სიცოცხლის ნაწილი“¹

„გოდება“ თავისი სპეციფიკითა და რისით პესიმისტურია, რადგან ფსიქო-ლოგიურ საფუძვლად დიდი სულიერი რწოლა და ტკივილები უდევს. ნოდარ ღუმბაძის „გოდება“ განირჩევა ტრადიციული ხალხური „გოდებისაგან“ მართალია, მის „გოდებაშიც“ ბევრია ჭმუნვა-ება და ნაღველი, მაგრამ ობლად დარ-ენილი თემური მორალურად როდი აცდება, როდი კარგავს სიმტკიცეს მისი აბუტყური შემართება. საყვარელი დე-ის დაკარგვამ ერთბაშად გამოარკვია ააწყყოსა და მომავალზე ჩააფქრა. წარაღად გაუჭრო მისი არმყოფელობის

შიში და უფრო ახლოს მიიყვანა ცხოვ-რებასთან, აჩვენა მისი ავიცა და კარ-გიც. მისი ცხოველმყოფელობა მათ-რად აგრძნობინა.

თემური დედის ძვირფას საფლავს ბალღური სიწმინდითა და ჭაბუტყური ღელვით „ანგაროშს აბარებს“ მისი სუ-ლის დაფუკაცების შესახებ: „ეს მე ვარ, შენი შვილი; შენი სისხლი და ხორცი, შეუღამისის ვდგავარ საფლავებს შორის და არ მეშინია. არ მეშინია, რადგან ის, რისაც ყველაზე უფრო მეშინოდა, უკვე მოხდა. ეს იყო შენი სიკვდილი და, რად-გან სიკვდილის არ მეშინია, აღარც სი-ცოცხლის მეშინია“.

ამ ერთგვარ აღსარებაში ისმის ცხო-ვრების ფართო სარბიელზე გამოსული აღამიანის დიდი რწმენა და ნათელი მო-მავლისადმი უკვდავი სწრაფვა.

ასეთია ამ აღსარებაში სასუთროს ოპტიმისტური ჭვრეტა. მწერალი ძველ ხალხურ „მოთქმას“ ასე მოხერხებულად იყენებს და ასკვნის: რომ აღამიანთა კეთილი და უმწიკვლო საქმიანობა თაო-ბიდან თაობას გადაეცემა და მარად უკვდავი ხდება. „არც იმის მეშინია, რომ ამ სსაფლავოსაც, როგორც ყველას, ბა-ღად გადააკეთებენ, დიდ, ღამაზ ბაღად. შენს საფლავზე მე ცაცხვი დაერგე და ვახარებ. მერე მოვალთ მე და ღია ჩვენი ბავშვებით და შენ უკვე აღმოცენებული იქნები ვეებერთელა, უზარმაზარ სიმწვან-ნედ, ჩრდილად და სიგრილედ. ჩემი ბა-ვშვები ითამაშებენ შენს სიმწვანეში, ჩრდილში, სიგრილეში, იქნებ სახელე-ბიც ამოგჭრან გულზე და ნუ გეწყვი-ნება. მერე, ალბათ, ჩემსა და ღიას საფ-ლავებზეც იხარებს ცაცხვი, აღმოცენდე-ბა ვეებერთელა სიმწვანედ და ყველა ჩვენთაგანის საფლავი ხელმეორე სიცო-ცხლედ იქცევა ვეყანაზე... და ყველა სსაფლავო ბაღად და უკვდავებად“.

ნოდარ ღუმბაძის ეს მეტად აღამიანუ-რი ცხოვრებისეული ვნებათა ღელვა — გოდება, რომელიც შეუმჩნეველად გადა-დის სიცოცხლის უკვდავების საგლობე-ლში, თავისუფლად იძლევა უფლებას, რომ თანამედროვე ქართულ მხატვრულ

1. ნ. ღუმბაძე, — „მზიანი ღამე“, 1967, გვ. 179.

ბროზაში კვლავ აღორძინდეს და დამკვიდრდეს „მოთქმა“, როგორც ემოციური ზემოქმედების მხატვრული ხერხი.

სულ სხვა მანერით აქვს წარმოდგენილი „გოდება“ ოტია იოსელიანს. მოვლენის მძაფრი აღქმით, თითქმის ეთნოგრაფიული სკრუპულოზობით აღწერს ხალხის მიერ ომში განცდილ უბედურებას. მის „ვარსკვლავთცვენაში“ „გოდების“ ინდივიდუალურ შესრულებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ „ტირილში“ ყველა მონაწილეობს. აქ ხალხის ერთიანი ძალა კიდევ უფრო იკვრება და გვიჩვენებს ომში დაღუპული შვილების გამოტირების თავზარდამცემ ფსიქოლოგიურ სურათს. „ეკას შვილი მოუკლესო!“ — მეხივით გაგარდა. შემაძრწუნებელმა ამბავმა ზარი დასცა ხალხს, შეიცხადა სოფელმა, აქამდე დაოკებულმა სულიერმა ტანჯვამ გაარღვია მოთმინების ზღუდე და ერთბაშად იფეთქა გულისწამდები წივილითა და ვრწვივით. ეკას შვილის დაღუპვამ ყველას ფრონტზე წასული ახლობლები მოავონა. „იზმუვლა ამდენმა უბედურმა დედამ, ამდენმა ცოლმა და შვილმა, ამდენმა მოხუცმა და ახალგაზრდამ. ყველა გულში შვილის ტანსაცმელჩაქრულ ეკას მიაწყდა. ყველა კოწიას დასტირო-

და და თავისი შვილისა და ძმის, მამისა და ქმრის სახელს იძახდა. ყველა წასულის და არდაბრუნებულის, ყველა უგზო-უკვლოდ დაკარგულისა და შინმოუსვლელის.

კაცის მკვლელებით გამშრალი თომა გაშლილ ხელს შუბლში იშენდა და განუწყვეტლივ „ვი ვაის“ იძახდა.

ეზიკა სვეტს მოხვეოდა და თავს ახლიდა.


სერაფიმონს წვერში ხელი წაეველო და იგლეჯდა.

თედორეს აივნამდე ვერ მიედწვია. იქვე კიბესთან ჩაჩოქილიყრ და ცისკენ აღებურო ხელები“!

როგორც ვხედავთ, ოტია იოსელიანი „გოდებას“ უაღრესად მძიმე შტრიხებით გადმოგვცემს, მწერალი თითქმის გამორიცხავს სანტიმეტალობასთან ყოველგვარ კომპრომისს.

ავტორმა მხატვრულ ხერხად მშვენიერად მოიშველია ძველი ხალხური „მოთქმა“, რათა მძაფრად აესახა ომის საშინელებით გამოწვეული ადამიანთა სულიერი ტკივილი და დიდი მწუხარება.

1. ო. იოსელიანი, „ვარსკვლავთცვენა“, 1962, გვ. 154.



პეჭელაქა

ლექსი მკურნი

ქ ჭ ა რ ე ლ მ თ მ რ ნ ა ს

ისევაც გეტრფი და გეძახი მე ვინმე „გურჯი“,
ისევ გიგალობ, გენაცვალე, ისევ გაღმერთებ.
ჩემი ოცნების ზღაპარი ხარ და ცა ხარ ლურჯი,
არ ვიცი რატომ, ნაღვერდალად სულში აღმენთე.
ხომ იცი ვინ ხარ, ვისი ჯიში და ვისი თესლი,
და სატანებმა შენ სიცრუე არ დაგაჯერონ.
შენ ჩადრში მყავდი?!

შენ ჯავარო გულის და ლექსის...
და ეჰ, ისლამის მწარე სასჯელო!

შენ ცა გიცინის, მზით ავსილი მიწა გიცინის,
და მომავალი უფრო დიადს გპირდება ამბორს.
გული ალალი წმინდა არის სატრფოს ფიცივით
და ვიხმობს...

ერთად ჩვენს დიდებულ მზეს ვუგალობთ!

1932

* * *

მე., ჩიტო, წინ მიდევს ნიბლია ბარათი
და პასუხს ვიგზავნი მეც ბწკარედ-ბწკარედად.
მეც მჯერა, სიცოცხლე რომ არის მარადი,
რომ არის ხარებაც, რომ არის წამებაც.
ბავშვი ხარ და ჩემთვის რამდენჯერ ვინატრებ
რომ ვიყო მაგ შენი სინაზით მოსილი,
და შენი თვალეები უკუნეთს მინათებს,
წინ მიძღვის სევდიან ცის ანგელოსივით.
კაცისთვის მორთოლვარე სულია მთავარი

და ზოგჯერ, მე მჯერა, ტკბილია წვალებაც:
 „ცხოვრება არაა ქოშები თამარის,
 არც მისი სიცოცხლე და გარდაცვალება?!
 „ცხოვრება არაა ტაბიძის ლოცვანი,
 დედათა სავანე სულივით ლამაზი?!
 არც ედგარ პოა და არც დიდი მოცარტი,
 არც მძაფრი ნალარა ვაჟკაცი ვაჟასი?!
 „ცხოვრება არაა ტკივილი ყაზბეგის,
 არც შოთა რუსთველის შაირის ველია?!
 ცხოვრება არ არის ქვევრი თუ ვაზები,
 ცხოვრება არ არის და მაინც ელიან?!“
 ეჰ, ჩიტო, ცდუნება შენ სადღაც წარგიტანს,
 და მღვრიე ტალღებში შენ იქნებ გარდაქრე.
 შეჩერდი, მე გიხმობ, სიცოცხლე წამია,
 წვეთებს დიდ სიცოცხლის არარას რად არქმევ.
 ცხოვრება არის და ცხოვრებას ელიან,
 ვინ ცოცხლობს, ვინ კვდება, ვინ ხარობს, ვინ
 იწვის.
 სიცოცხლე ზღვა არი, ცხოვრება ვრცელია,
 სიბრძნე და სიუხვე... და კიდევ ვინ იცის!..

1932.

მამია ჰარაშნიძე

მემოზრის სასოვარი

1933 წელი... ქუჩაში შემხვდნენ შალ-
 ვა იოსელიანი და ვიღაც ლამაზი იერის
 ახალგაზრდა, ახალგაზრდამ ხელი გულ-
 თბილად ჩამომართვა და თან დასძინა,
 ლაშა ტბაური.

ეს გვარი ჩემთვის ცნობილი იყო —
 იგი პრესაში ხშირად ბეჭდავდა ლე-
 ქსებს. მომწონდა მისი ლექსები, ზო-
 გიერთი ზეპირადაც კი ვიცოდი, გამეხარ-
 და ავტორის გაცნობა... და მერე გავი-
 გე, რომ „ტბაური“ ამ მგოსნის ლიტე-
 რატურული ფსევდონიმი... მისი ნა-

მდვილი გვარია ძიმისტარიშვილი. შემ-
 დგ ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმა-
 ნეთს... და დავმეგობრდით კიდევ.

ლ. ძიმისტარიშვილი ბოლო დროს მუ-
 შაობდა საოლქო გაზეთის „ახალგაზრდა
 ლენინელის“ პასუხისმგებელ მდივნად. აქ-
 ვეყნებდა საინტერესო წერილებსა და
 ნარკვევებს. იგი აქტიურად მონაწილეო-
 ბდა მწერალთა კავშირის მიერ გამარ-
 თულ ლიტერატურულ სადამოებსა და
 დისპუტებში. მისი ლექსები იბეჭდებოდა

ვაზეთებსა და ლიტერატურულ აღმანახებში.

ღ. ტბაური მწერლის მაღალ სახელს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ცდილობდა ჩანაფიქრის მონემუნტურად გამოკვეთას, რომ თვითელი სტრიქონი ტევადი გაეხადა. ახლავარდა პოეტის სურდა ებოქნა თავისი ხაზი და ფერი. არ ჩქარობდა და გულმოდგინედ ემზადებოდა კრებულის გამოსაცემად. სამწუხაროდ ლავრენტი ლაზარეს—მე ტბაური (ბიმისტარიშვილი) ნაადრევად გამოაკლდა ჩვენს რიგებს — იგი ოცდართი წლის ასაკში დაიღუპა.

მგოსნის ოჯახს გვიან გავიცანი, სადაც სანუკვარად ინახავდნენ მის ხელნაწერებს.

პოეტის არქივში აღმოჩნდა აგრეთვე ბიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერი სათაურით „ფრაგმენტები ბიოგრაფიისათვის“. აი ამონაწერიც.

„...1914 წელი. ომი. ქ. ფოთი — აქ დავიბადე, იყო მარტის პირველი. დარი არეული, ცხრათვალა მშენ მხოლოდ ერთი თვალი დარჩენოდა ღია. წამოვიზარდე, ამოვიდგი ენა. ენა! იცით, მე „ენა რომ არ მქონოდა, ყვენი წამიღებდა“. (ასე მელაპარაკებოდნენ სახლში. ასე მელაპარაკებთან ახლაც სახლს ვარეთ).“

„1921-1924 წლები, აჭარა. ქობულეთი. შავი ზღვა, ლურჯი ცა, სუფთა ჰაერი, უბედნიერესი ხანა ჩემი ცხოვრებისა. სკოლა და მადლენა — პატარა გოგონა შევთვალემა, თმანუქუჭა, ჭკვიანი. იცით, როგორი ჭკვიანი! ახლაც არ შემიძლია აღწერო მისი დიდი სიჭკვიანე, სიღამაზე! — ისეთი ღამაში არ შეგხვედრია არსად. მე მადლენა მიყვარდა, მასაც ვუყვარდი, არადერი გვიტყვამს ერთმანეთისათვის, მაგრამ ვიცოდი და მანაც იცოდა, რომ ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი. იყო დრო, დავჯდებოდით მის სახლში დიდი მაგიდის ერთ მხარეზე და იგი მიხსნიდა მე თუ როგორ უნდა გამოვაკლოთ ერთნახევარს ორი მესამე-

დი, მე კი, როგორ გგონიათ, ვისმენდი მის ახსნას? სრულიადაც არა. შეეყურებდი მის ტუჩებს, თმას, ყურს, ყელს, ცხვირს და ვფიქრობდი: დიდი რომ გავიზრდები, მადლენას წაიყვან მაღალ გორაზე. იქ ავაგებთ სახლს და ვიცხოვრებთ ტბილად, ცხადია, ვერ ვხედებოდი როგორ უნდა გამომეკლო ერთნახევრისთვის ორიმესამედი და მადლენა შლიდა თავის ღამაზე ხელებს და სწუხდა — „დედარა ექნა, რატომ ვერ გვიყვარა?!“ ან — „რადფერი ხარ. აფერი არ გეყურება, შე, შე...“, აღარ დაათვაებდა, თანაც იცოდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო. მადლენას შემდეგ მე არ მყვარებია გოგო სიყვარულით.“

ვინ იყო მადლენა, რომელიც პოეტის გულში სიყვარულად შეიტარა?!

მიეყვით პოეტის „ფრაგმენტებს ბიოგრაფიისათვის“.

„სახელი ღამა დაურქმევია ბაბუას. აღბათ აფხაზური შინაარსი „ბრწყინვალე“ თუ ხიბლავდა მას ამ სახელში, მამა და დედა მქმანდა ლალიკას. ლალიკა შედეგი იყო „ღამას“ დაბოლებების და უდიდესი სიყვარულის სიმბოლო — მე ხომ პირველი შვილი ვიყავი ჩემი მშობლებისა.

ლავრენტი ნათლობისას დამანათლეს სახელად. იგი ბაბუას სახელია. ამიტომ პატივს ვცემ ამ სახელს.

„...მაგრამ, მიყვარს მხოლოდ ღამა, რომელსაც მექმანდნენ პატარაობისას ყველანი“.

ასეთია საგულისხმო რამდენიმე დეტალიც. ბიმისტარიშვილის ბიოგრაფიიდან მისივე მონახაზებით.

რაკი მას ასე ძალუმიდ უყვარდა სახელი „ღამა“, ხოლო გვარის ფსევდონიმი „ტბაური“, ამიერიდან, ვამჯობინეთ, მკითხველებს ღამა ტბაურის სახელით წარუვლდინოთ ეს მგოსანი,

ღამა ტბაურმა პირველი ლექსებითვე მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოებრიობისა და მკითხველთა ყურადღება, როგორც ნიჭიერმა, საიმედო მომავლის მქონე მგოსანმა. მისი ლექსები გულწრ-

ფელი, უშუალოა, თვითელი სტრიქონი
სულში შემოდის რაღაც ტკივილებით. ეს
იმიტომ, რომ წუთისოფლის მრავალფე-
როვან მოვლენას ჭაბუკი პოეტი გულით
განიცდის — ერთი მასში უსაზღვრო სი-
ხარულს ბადებს, მეორე კი ტკივილს. ეს
ბუნებრივიცაა. ვინც გულთან ვერ მიი-
ტანს წუთისოფლის ავ-კარგს, იგი უშუა-
ლოდაც ვერ იგალობებს. ახალბედა პოე-
ტი დაეინებით მუშაობდა დაოსტატებისა
და მაღალი ღირსების ლექსის შექმნისათ-
ვის, საკუთარი ხმის მკვეთრად დახვეწი-

სათვის. ამოოდაც არ დამაშვრალა, მაგრამ
სასურველი წარმატების მოპოვება ერთი
ხელის დაკვრით ხომ არ შეიძლება! მისი
სიტყვის თავთავმა ვერ მოასწრო დამწი-
ფება. მგოსანს არ დასცალდა ხალასი პო-
ეტური სულის „განწმენდა“, რომ დაეცა-
ლა „საესე თასები“. მაგრამ პოეტის ჭა-
ბუკური სულის მიმოქცევა მაინც გა-
მოსცემს თავისებურ ელვარებას. იგი
ყოველთვის მგზნებარე გულით გვესა-
უბრება პოეზიის ენაზე.



ქართული
ენის სწავლა

აგელ სურგულაძე

გულო კაიკაციშვილი

(პუბლიცისტი და მემკვიდრეობა).

1875 წელი. ქობულეთში მღვლეა-რებაა. ერი და ბერი, დიდი თუ პატარა, „ოლქად“ აღსდგა დამპყრობელ თურქთა წინააღმდეგ. ქართველი საზოგადოება იმედით შეცქეროდა ქობულეთელთა გმირულ ბრძოლას და მტრის უღლისაგან ამ კუთხის გამოხსნის გეგმებს აღგენდა. სერგეი მესხმა პატრიოტული წერილით მიმართა აჭარლებს და თხოვა აცნობონ ბრძოლის მსვლელობა. ამის პასუხად, 1875 წლის 17 დეკემბერს გაზეთ „დროებაში“ (№ 143) დაიბეჭდა ვრცელი სტატია „წერილი რედაქტორთან“, რომელსაც ხელს აწერდა „ქობულეთელი სოფლის სამებას მცხოვრები გული კაიკაციშვილი“. ასე გაიცინო ქართველმა ხალხმა თავისი კუთხის უანგარო მამულიშვილი.

ამ დღიდან გულო კაიკაციშვილის სახელი არ მოსცილებია ქართული პრესის ფურცლებს და თავისი პუბლიცისტური წერილებით უფროსი თაობის პატრიოტ მამულიშვილებთან ახმედ ხალიფაშვილთან, ლომან ქარცივაძესთან, აბდულ მიქელაძესთან, „აჭარელ ხასანაისთან“ და სხვებთან ერთად დაუღალავად იბრძოდა ეროვნული თვითშეგნების ამოღებისა-

თვის. იგი ენერგიულად გამოდიოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ, ზრუნავდა აჭარის სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებისა და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის. გ. კაიკაციშვილმა იმითაც გაითქვა სახელი, რომ იყო აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი აკაკი წერეთლის დაკრძალვაზე და მგრძნობიარე სიტყვაც წარმოსთქვა პოეტის ნეშტის წინაშე. ეს სიტყვა, რომელიც შესანიშნავია ორატორული ხელოვნების თვალსაზრისითაც, გაქვნილია არამარტო ღრმა სიყვარულით პოეტისადმი, არამედ დიდი მოქალაქეობრივი პათოსითაც. მასში ჩანს გ. კაიკაციშვილის, როგორც უკეთესი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლის სახეც.

გ. კაიკაციშვილი სისტემატურად ბეჭდავდა წერილებს აჭარის, კერძოდ კი ქობულეთის მხარის საჭირობოტო საკითხებზე „დროებაში“, „ივერიაში“, და „სახალხო ფურცელში“.

საკმაოდ მრავალფეროვანია გ. კაიკაციშვილის წერილების თემატიკა. XIX საუკუნის 70-იან წლებში ავტორი თურქთა წინააღმდეგ ქობულეთელთა გმირუ-

ლი ბრძოლის მემატია-ნეა. ამ საკითხს მიუძღვნა მან შესანიშნავად დაწერილი ვრცელი სტატიები „წერილი რედაქტორთან“¹, „დროების“ კორესპონდენცია“² და სხვა, რომელსაც თურქთა ბატონობის დროინდელ ქობულეთზე წყაროების სიმციროს გამო გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

აღნიშნულ წერილებში, გ. კაიკაციშვილმა „პაწიობას, ბების ნასწავლი“ ქართული ანბნით, მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად ჩამოაყალიბა აჯანყების გამომწვევი მიზეზები. „სოფლის ამწერლები მოვიდნენ (ქობულეთში — ა. ს.), კაცებს და ქალებს სულებით სწერენ, სახლებს, კარებს, მიწას და ყოველივეს გვიდასებენ“ — წერს ავტორი და შესანიშნავად გადმოგვცემს XIX საუკუნის 30-70-იან წლებში აჭარის გათურქებისათვის ოსმალეთის მიერ გატარებული რეფორმის ე. წ. თანზიმათის შედეგებს. „ყველაფერის აღწერაში“ გ. კაიკაციშვილი სამართლიანად ხედავს უდიდეს საფრთხეს, რაც ამ შემთხვევაში ქართველობას გაჭრობით ემუქრებოდა.

გ. კაიკაციშვილი ყურადღებას ამახვილებს ნიშაში აჭარიდან რეზერვების გაწვევის შესახებ და მასაც, საცხებით სწორად, მოძრაობის ერთ-ერთ მიზეზად თვლის. მართლაც, თუ მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებში ოსმალეთმა იერიში მიიტანა მიწათმფლობელობის ქართულ წესზე და ნაწილობრივ გაიმარჯვა კიდეც, სამაგიეროდ 60-70-იან წლებში მან ამ კუთხიდან რეგულარულ არმიამი მოსახლეობის გაწვევისათვის დაიწყო ბრძოლა. ხალხმა დროულად შეაფასა ამ ღონისძიების არსი, საღდათობაშიც საფრთხე დაინახა და იარაღით სცადა ფიზიკური არსებობის შენარჩუნება.

ამავე წერილებში გ. კაიკაციშვილი აღწერს ქობულეთელთა მიმომე ეკონომიურ მდგომარეობას, რამაც დააჩქარა აჯანყება. იგი აღნიშნავდა: „სამართალი არ გვაქ, არც ვაძლევს ვინმე. კლასი

არ გვაქ, გზაი არ გვაქ, ხელობა არ ვიცით.“ მართალია „პაწი სიმინდის და ღომის მუშაობა დაგვირჩა ხელში“, მაგრამ ვერ ვაღაგვიწყვეტია მით „სახვანთქრო გადასახად მივცეთ, თუ ცოლ-შვილი ვარჩინოთ“. საშოვარზე წასვლით მოხერხდებოდა ორიოდ გრომის შოვნა, წერს შემდეგ ავტორი, მაგრამ ქობულეთში ესეც შეუძლებელია — უკაცო „ოჯანში ქალ-ბაღანაი შიმშილით მოგვიცემა, ცხენს, ხარს, შინაურს (პირუტყვს) მოგვპარავენ“. გ. კაიკაციშვილი აქ აშკარავეს თურქული ადმინისტრაციის მოქმედ საქმიანობას, კერძოდ მკაცრად აკრიტიკებს ქობულეთის კაიმაქას, რომელიც „ზის ოდაში ქალაქს“ და „გერაფერს სამართალს ექცევა“. ამის გამო, დასძენს ავტორი, „ყველანი შეუწხებული ვართ“.

მომდევნო პერიოდის სტატიებში გ. კაიკაციშვილი წერს ქობულეთის მიმართულებით რუსეთ-თურქეთის ომის ცალკეულ ოპერაციებზე, თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებაზე. ამ კუთხისადმი მოქმედა დიდ ფინანსურ დახმარებასა და მორალურ მხარდაჭერაზე. ქობულეთელ პატრიოტებთან ყურ-შუმ ჭყონისათან და სხვებთან ერთად იგი სიხარულით შეხვდა დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნებას. 1879 წლის 17 ივნისს მან ვრცელი წერილი გაუგზავნა „დროებას“, თან თავდაბლად მოიბოდიშა, „კაი ხანია, რომ მე თქვენს ვაზეთის დასაბეჭდავთ არაფერი მომიწერია და ნუ გამიწყნობით“. ეს წერილი საინტერესოა თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების მნიშვნელობის შეფასების თვალსაზრისით. მასში ავტორი იუმორით აღწერს ხინოს, რომელიც თურქობის დროს „ავაზაკების ბუდეს წარმოადგენდა“. მხოლოდ საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ „დამყარდა ამ კუთხეში წესრიგი“, „რავარც შეიტყვეს ხინოვლებმა, რომ რუსის ნაჩალნიკს კი ქონია ძალა მთავრობიდანო, ყველამ სილაღი (იარაღი) დააწყო და კარგი ფართო თოხები ეიღეს“. გ. კაიკაციშვი-

1. გაზ. „დროება“, № 143, 1875.

2. იქვე, № 92, 1876.

ლი თავის სიტყვებს „ფაქტობრივი მასალითაც“ ამტკიცებს: „ხინოელი უსუფთა მადლიშვილი ჩამევიდა და მიიხრა, რომ ხინოში თხა და მგელი ერთად არიან მინდორშიო, მარა მგელი ვერ ბედავს თხას რომ აწყინოსო; ეშინია, ნახანოე შეიტყობს... და გამაფრებოს“. დასასრულს, თითქოს აჯამებდა ზემოთქმულს, ავტორი დასძინდა: „კაცი ხინოში ახლა ფინთ საქმეს ვეღარ მორთავსო“!

გ. კაიკაციშვილი მწვავედ განიციდა მუჰაჯირობას — თურქთა „გენტუნის“ — გან გაბრძნებულთა გასახლებას: „დამლუჯველ ოსმალეთში“. 1378 წლის 13 აგვისტოს გაზ. „დროებაში“ (№ 165) დაბეჭდილ წერილში იგი გამოთქვამდა რა სიხარულს „ორი ძმის სამუდამოდ შეერთების“ გამო, ამავე დროს საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა იმ მიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგებზე, რაც მოჰყვებოდა მუჰაჯირობას არამარტო ამ კუთხის ცხოვრებაში, არამედ მთელი საქართველოსათვის. მუჰაჯირობის შეჩერების ერთ-ერთ ფაქტორად გ. კაიკაციშვილი თვლის ქობულეთის უფროსად გრიგოლ დავითისძე გურიელის დანიშვნას. ეს მოთხოვნა არაა შემთხვევითი. გრ. გურიელი აჭარაში საკმაოდ პოპულარული პიროვნება იყო, რომელსაც ქობულეთის მოწინავე ოჯახებთან ნათესაობაც ჰქონდა. იგი ხასიათდებოდა ტაქტიკითა და ვულსხმიერებით. ასე რომ მას შეეძლო მუჰაჯირობის შეზღუდვა. გ. კაიკაციშვილი კიდევ წერს, გრ. გურიელი „ნუგეშინს გვიტყობის“ და „ჩვენც დაუჭერებთ იმასო“.

აღნიშნულ საკითხს ავტორი შემდეგაც დაუბრუნდა. 1882 წლის 17 აგვისტოს „დროებაში“ (№ 172) გამოქვეყნებულ წერილში გ. კაიკაციშვილმა წამოაყენა პრაქტიკული წინადადება, რომ მუჰაჯირობა თავისუფალი მიწები ზემო აჭარის მოსახლეობას გადასცემოდა. ამით ქართველობა ორმხრივ მოგებული დარჩებოდა. ჯერ ერთი, მთის მცხოვრებლე-

ბი მიიღებდნენ მიწებს და გაიუმჯობესებდნენ ეკონომიურ მდგომარეობას და, მეორეც, ზღვის სანაპირო ზონა კვლავ შეივსებოდა ქართველებით.

1895 წლის 1 ნოემბერს გაზ. „ივერიაში“ (№ 236) დაბეჭდა გ. კაიკაციშვილის გულთბილი წერილი, რომელიც თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული აჭარისადმი ქართველი საზოგადოების დიდ ზრუნვას ეხება. კერძოდ აქ ავტორი გამოთქვამს მადლობას ზაქ. ენოსთაისადმი, რომლის ხარჯითაც მისმა შვილმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია და ოდესის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. „ეს პირველი მაგალითი არის, რომ ქართველ მაჰმადიანს საქართველოში საშუალო სწავლებილი... და უმაღლესი სასწავლებელში შესულიყოს“ — წერდა გ. კაიკაციშვილი და იქვე აღნიშნავდა: „იმედი მაქვს ჩემი შვილი, — ეს ახალგაზრდა ქართველი, აღიჭურვება რა ცხოველმყოფელის სწავლა-მეცნიერებით, არ დაივიწყებს, რომ იგი ქართველია და სხვებთან ერთად მოვალეა ერთგულად ემსახუროს თავის ქვეყანას, რომელმაც სიყვარულით მიიღო იგი თავის მზრუნველობის ქვეშ. იმედია განათლებით აღჭურვილი და მამულშვილობის სიყვარულით აღვსილი სამაგიეროდ ეცდება ერთი ათასად მიუძღვნას ქვეყანას დღეს მისგან მინიჭებული და ნათელს მოჰფენს, ნათელს ერთობა-მშობისას ოდესმე მოწყვეტილს მხარეს საქართველოსას“. სამწუხაროდ, არ გაუმართა — ოდესას წარგზავნილი მისი ვაჟი ასლანი უღრმოდ დაიღუპა. ოდესელმა ქართველებმა მწარედ დაიტირეს თანამემამულე. სტუდენტი რეჯებ ნიყარაქე აცნობებდა რა პ. უმიკაშვილის ოჯახს თავიანთ მწუხარებას, ამავე დროს წერდა: „დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩემნი პროფ. პეტრიაშვილი და მელიქიშვილი, რომლებსაც არ დაუკლიათ საწყალო ასლანისათვის არც ზრუნვა და არც მატერიალური შემწეობა.“

დამგლოვიარებულ მშობლებს სამამი-
მარი გამოუცხადა ქართველი ინტელი-
გენციის მრავალმა წარმომადგენელმა.
სამგლოვიარო დეპეშა იყო აკაცი წერე-
თლისაგანაც. სამწუხაროდ, დღეს იგი
დაკარგულია.

სხვათაშორის, გ. კაიკაციშვილის აღ-
ნიშნულ წერილს გამოეხმაურა ანტონ
ფურცელაძე, რომელმაც 4 ნომბერს,
იმავე გაზეთში (№ 239) დაბეჭდა სტა-
ტია აჭარაში სწავლა-განათლების
მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
მისი სიტყვით „უმთავრესი ღონე ჩვენი
ერთმანეთთან მოკლედ დაკავშირებისა,
საბოლოოს დამკვიდრებისა, არის სწა-
ვლა-განათლება“. აქ არის საჭირო ღი-
დი დანხარება. ის, რაც მოხდა ახლ-
ციხე-ახალქალაქში, საიდანაც ჩვენი
უუუუარადღეობით მამამდიანი ქართვე-
ლები წავიდნენ ოსმალეთში, არ უნდა
განმეორდეს აჭარაში. ამიტომ ხშირად
ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, აღნი-
შნავს ანტონ ფურცელაძე, რომ „საჭი-
როა ერთი ათი ადგილი მაინც დაუთმოთ
ჩვენს თავად აზნაურთა სასწავლებე-
ლში... ახლად შემოერთებული ქვეყნის
მოზარდობას... დავზარდოთ ამ სკოლის
ხარჯით და თვით უმაღლეს სასწავლე-
ბლებში გავვზავნოთ და დავამთავრე-
ბინოთ ამათ სწავლა ამავე სკოლის ხა-
რჯით. მართალია, ათი ვაკანსია არ არის
ბევრი, მაგრამ ათი რომ ჩვენ დავზა-
რდოთ, ათი იმერეთის თავადაზნაურთა
სასწავლებელმა — ერთი ათი თხუთმე-
ტი წლის განმავლობაში შეადგენს იმო-
დენა რიცხვს მაინც რომ ამ გაზრდილთ
პირთ შეეძლებათ გააღვიძონ და გა-
აძლიერონ სწავლა განათლების სურვი-
ლი თავის ქვეყანაში, გააძლიერონ ძმუ-
რი სიყვარული და ერთობა ჩვენსა და
იმათს შორის“.

გ. კაიკაციშვილის პიროვნების დახა-
სიათებისათვის საინტერესოა წერილი
„დრო არის ყურადღება მივაქციოთ
ქალების აღზრდას ქობულეთ-აჭარაში“.¹

მასში ავტორი გვევლინება როგორც
ქალთა ემანსიპაციისა და განათლების
დაუღალავ მებრძოლად. გ. კაიკაცი-
შვილი ხატოვნად აღწერს ქობულეთე-
ლთა სწრაფვას ცოდნის დაუფლებისა-
კენ. „თუ აგერ ორი საუკუნის განმავ-
ლობაში ჩვენი მამები გვილოცავდნენ
თოფიარადს, ეხლა მათ მაგიერ გოგე-
ბაშვილის დედა ენას გვაწვდიან. თუ
ამდენხანს... სისხლის აღებაში გამო-
იხატებოდა ვაჟკაცობა, ეხლა ჩვენი ვა-
ჟკაცობა ის არის ვინც შვილებს სასწა-
ვლებელში აბარებს“. ავტორის სი-
ტყვიით, ეს სრულიადც არ კმარა. სა-
ჭიროა განათლება მიესცეთ ქალებს,
რადგან „დიდად მწამს მათი დიადი და-
ნიშნულება ადამიანის ცხოვრებაში და
მით უფრო ქართველთა ერისაში“. ამი-
ტომ, გ. კაიკაციშვილის აზრით, „საჭი-
როა დიდებულმა საქართველოს შვი-
ლებმა მიხედოს ამ მხრიდანაც ქართველ
სამამამდიანოს და ქალების ბატონყმობა
გააბათილონ და მით პირველი საძი-
რკველი დაუდგან იმ დიად შენობასა,
რომლის აშენებას დღეს ლამობს მთელი
საქართველო“. ეს მით უფრო აუცილე-
ბელია, რომ „ჩვენი ქალების აღზრდა
წაგაგეს ნაპერწყალს, რომლიდანაც შე-
იძლება ადამიანმა ადამიანის სინათლის
ლამპარი მთელ ქართველ სამამამდი-
ანოში. ქალს თავისი სინაზით და სიყე-
კლუციით, დედობრივის სიყვარულით
იმოდენა შეუძლია გააკეთოს, რასაც
ვერ შეძლებს მამაკაცი თავისი უხვი
ძალითა“.

ამავე წერილში ავტორი ეხება ერთ
საკითხს, რომელიც XIX საუკუნის
დამლევს გაზ. „ეკალიში“ დი-
სკუსიის საგანიც იყო. ესაა უცხო ტო-
მის შვილებზე ქართველთა დაქორწინე-
ბა. გ. კაიკაციშვილის პასუხი მოკლეა.
იგი საერთოდ არაა სხვა ერის წარმო-
მადგენლებზე ქართველთა დაქორწინე-
ბის წინააღმდეგი, მაგრამ გ. წერეთლის
მსგავსად ამ სფეროში გარკვეულ შე-
ზღუდვებს მოითხოვს. მისი სიტყვით
„ქართველი“ დედები მიუხედავად იმისა,
რომ მათი ქმრები უცხო ტომისანი არი-

¹ გაზ. „სახალხო ფურცელი“, №
685, 1916.

ან, ქართველ შვილებს უზრდთან საქართველოსა და სხვა ტომის დედები, მიუხედავად ქართველი მამებისა, უზრდთან უცხო ბავშვებს, რომლებსაც რჩებათ მარტო ქართველი გვარები: ბე და შვილი“.

დასასრულს, არ შეიძლება არ შეგვიჩერდეთ აკაკი წერეთლის ცხედართან 1915 წლის 8 თებერვალს დიდი მგზნებარებით წარმოთქმულ გ. კაიკაციშვილის სიტყვაზე. ეს სიტყვა იმდენად ამადელვებელია, იმდენად დიდი სიყვარულითა და შინაგანი განცდითაა დაწერილი, რომ ვებეჭდავთ მთლიანად.

„ნამდვილო ქართველო, თავადო აკაკი! ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილია მთელი საქართველოს ერი. სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ეხვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებინან: დარჩიო ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან. მაგრამ არა მგონია, უენო ხარ, სულია ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ მიიღებს იმ შევედრებას. არა, ვგონებ მისთვის არიან მოსულნი, რომ თაყვანი სცენ, ვითა ცხოველის მყოფელს შენს დიდებულ გვამს. მეც ამათ რიცხვში ურჯივარ მოხუცებული, უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგზავნილი სამეხსეთოს მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამოგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგიერადაც თაყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და თუ მოვახეხებ, ორიოდ სიტყვა გითხრა. — საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე. სპარსნი თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველი ერის სადიდებელ ნაშთებს და ამგვარად საქართველოს ისტორია, ქართველთა ერის წამების ისტორია არის. მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში, მტერთან ბრძოლის დროს, მოხდება, რომ ორი მტრის ტყვიით განგმირული უკან მო-

ბრუნებულა, წყლული მოუტრჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე კი სულ მტერს წაუყვანია ტყვედ და ჩუგდია განუწყვეტილო სატანჯველში.

აი სწორედ ქართველმა ერმა ოსმალეთთან მრავალი საუკუნის ბრძოლის დროს, დაკარგა ერთი მისი ძმა-მხარე სამცხე-სათაბაგო, უპირველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა რუსთველი და მრავალნი მე-ბრძოლნი გმირნი. და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს კი წარსულ რუს-ოსმალეთის ომის დროს მოხდა განგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროს მოძვე ქართველებს და ესუნთქავთ ქართველ ერთან ერთად და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, როდესაც შევინახეთ ქართული დედაენა, ჩვენც ვეღირსეთ დაგვენახა დიდებულო აკაკი, სინათლე, რომელიც ვითარცა უკვდავი შენ აღუწითე ქართველ ერს.

მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი საათით ვერ მოეფინება ყველგან სინათლე. და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ; და გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვანათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ ვაჭირებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით. აღარ შეგაწუხებ, გაცხონოს ღმერთმან და გისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, განათებულს შენგან ანთებული უინყლილით“.

გ. კაიკაციშვილის ამ სიტყვამ დიდი გამოხმაურება კპოვა საქართველოში. უკვე 12 თებერვალს გაზ. „სახალხო ფურცელმა“ დაბეჭდა ვრცელი წერილი „უნდა დავეხმაროთ!“, რომელშიც იყო


1. გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 20, 1915.

მოთხოვნა ომით განადგურებული და
რეპრესიებით შეწუხებული აჭარისა-
თვის „დაუყოვნებლივი და სერიოზული
დახმარების“ გასაწევად. ანალოგიური
იყო ჟურნალში „თეატრი და ცხოვრე-
ბა“ გამოქვეყნებული სარედაქციო სტა-
ტია „უშველოთ ჩაგრულ ქმებს“. მალე
ამავე ჟურნალში (№ 26, 1915) დაიბე-
ჭდა იოსებ იმედაშვილის წერილიც
„უქმად არ გაპქრება“, სადაც მაღალი
შეფასება მისცა გ. კაიკაციშვილის სი-
ტყვას როგორც „მთელი გამაჰმადიანე-
ბულ ქართველთა გულისნადებს“ და

მას „გულისგულიდან აღმომსკდარი“
„ისტორიული სიტყვა“ უწოდა. აქვე ავ-
ტორმა საქართველოს სახელით გა-
ნაცხადა: „ქრისტიანი ქართველი არ
მოისვენებს სანამ ფეხზე არ წამოაყე-
ნებს დღეს წაბორჩიკებულ თავის ძმას
და მით თითონაც წელში არ გასწო-
რდება“.

ასეთია თავისი კუთხის უმწიკვლო
პატრიოტის, მამულის უანგარო მსა-
ხურის გულო კაიკაციშვილის ლიტერა-
ტურული მემკვიდრეობა. იგი უდაოდ
ღირსია დაფასებისა და არ დავიწყებისა.





მოთარ თურმანიძე

ჩაის პირველი უბრიკა აჭარაში

როგორც ცნობილია, სოლოვცოვამდე, ჩაის ბუჩქის გაშენებასა და ჩაის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაზე არავის უფიქრია, მან პირველმა დაამტკიცა, რომ შავი ზღვის სანაპიროების ზომიერი, თბილი ჰავა მეტად ხელსაყრელია მსხვილი სუბტროპიკული მეურნეობისათვის.

1894 წელს მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს აღწერით ჩაქვის მიდამოები 16377 დესეტინას შეადგენდა. აქედან 12179 დესეტინა ტყეს ეკავა. იმ დროს ჩაქვის ხეობაში 205 კომლი ითვლებოდა და მათ მფლობელობაში იყო მიწის საუკეთესო ნაწილი, ხაზინამ გადაწყვიტა გლეხებისაგან მიწის შესყიდვა. ამრიგად, 1896 წლიდან ჩაქვის საუფლისწულო მამული შეუდგა დამოუკიდებლად ჩაის პლანტაციების გაშენებას. 1898 წელს ჩაის პლანტაციას უკვე 50 დესეტინა ეჭირა, გარდა ჩაისა გაშენდა მანდარინი, ლიმონი, ბამბუკი, ლაქი და სხვა სუბტროპიკული მცენარე. აქვე მოეწყო სანერგე, რომელიც ამარაგებდა მეურნეობას. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციის უკეთ მოვლაპატრონობის მიზნით მამულების მთავარმა სამმართველომ სუბტროპიკული ქვეყნებიდან მოიწვია ცნობილი სპეციალისტები: ჩინეთიდან — ტან-ბო-ინი, ხოლო იაპონიიდან — მინოგავა ტიეუ-გორო. ჩინელი სპეციალისტი ვერ შე-

ეგუა ჩვენს ჰავას და აღრე წავიდა, ხოლო მინოგავა ტიეუგორომ კი რამდენიმე წელს დაპყო ჩვენთან და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სუბტროპიკული კულტურის მოშენება-განვითარების საქმეში.

ჩაის კულტურის გაშენებასთან დაკავშირებით დღის წესრიგში დადგა ჩაის ფაბრიკის აგების საკითხი. 1898 წლის გაზაფხულზე ევროპაში გაიგზავნა ჩაქვის მამულის აგრონომი ვ. ო. სიმონსონი, რომელმაც ლონდონის ფარმებს ჩაის ფაბრიკის მანქანები დაუკვეთა.

1899 წლის გაზაფხულზე ჩაქვის საუფლისწულო მამულში აიგო ჩაის ფაბრიკა, რომელსაც წლიურად 75000 გირვანქა ჩაის მზა პროდუქტია უნდა გამოეშვა.

1901 წლიდან ამ ფაბრიკის გამგედ ინიშნება ცნობილი ჩინელი სპეციალისტი ლაო ჯონ-ჯაუ, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩაის კულტურის დანერგვასა და განვითარების საქმეში.

ლაო ჯონ-ჯაუ აჭარაში პირველად 1893 წელს ჩამოვიდა ჩაით მოვაჭრე ა. ს. პოპოვის მამულის მოსაწყობად. მასვე ჩამოყენენ ჩაის სპეციალისტები ჩინეთიდან. ა. ს. პოპოვთან დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ჩინელი სპეციალისტები სამშობლოში დაბრუნდნენ. მათთან ერთად

გაემგზავრა ლაო ჯონ-ჯაუ, რომელსაც ა. ს. პოპოვმა დაავალა ჩაის თესლის ჩამოტანა. ექვსი თვის შემდეგ იგი ოჯახით ისევ ეწვია აჭარას. მანამდე ლაო ჯონ-ჯაუ შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა ა. ს. პოპოვთან და კარგადაც მოაწყო სუბტროპიკული მეურნეობა.

1901 წლიდან სამშობლოში გაემგზავრებამდე — 1926 წლამდე, იგი ჩაქვის მამულის ჩაის ფაბრიკის გამგეა და ენერგიულად უძღვება მინდობილ საქმეს.

ჩაის გაშენების ენთუზიასტთა შრომამ ნაყოფი გამოიღო — პირველი მოსავალი 1899 წლის აპრილში მიიღეს. ფაბრიკა ჯერ კიდევ მზად არ იყო და ნედლეული ჩინელმა სპეციალისტებმა ხელით დამუშავეს. ამიტომ, დაბალი იყო მზა პროდუქციის ხარისხი. ივლისში კი ფაბრიკა მწყობრში ჩადგა. ამის შედეგად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. 1899 წელს მოკრეფილ იქნა 3950 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, რომლიდანაც მიიღეს 930 გირვანქა ჩაის მზა პროდუქცია.

1899 წლის ოქტომბერში ჩაქვის საუფლისწულო მამულში დამზადებული 781 გირვანქა ჩაის პროდუქცია გაიგზავნა პეტერბურგში, მამულების მთავარ ჩამმართველოში. ამ უკანასკნელმა იგი შესამოწმებლად გადასცა კიანჯის ჩაის ფირმის „ძინ ლუნის“ სპეციალისტებსა და ექსპერტებს. ჩაქვში დამზადებულმა ჩაიმ მაღალი შეფასება დაიმსახურა. პროდუქცია დაანაწილეს პირველ და მეორე ხარისხად. ჩინურ ჩაისთან შედარებით იგი 10 კაპიკით ნაკლები ღირდა. მამულების მთავარი სამმართველოს დავალებით ცნობილმა მოსკოველმა ჩაის ექსპერტისტიესტერებმა როსტორგუევმა და სელივანოვსკიმ შეისწავლეს საუფლისწულო მამულში დამზადებული პროდუქცია და აღიარეს, რომ იგი ცეილონის მაღალი ხარისხის ჩაის უახლოვდება.

აღსანიშნავია, რომ ჩაქვში დამზადებული ჩაი ორჯერ გაიგზავნა ლონდონში და ორივეჯერ მაღალი შეფასება მიიღო.

ჩაქვის მამულის ორგანიზაციისათვის 1899 წლის ბოლოს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კავკასიის მამულების ინსპექტორი, ჩაქვის მამულის მმართველი და აგრონომი. კომისიას უნდა დაედგინა მეურნეობის რა დარგი განეითარებინათ აქ. კომისიამ უპირატესობა ჩაის კულტურას მიაკუთვნა.

90-იანი წლების დასაწყისიდან ჩაქვის მამულში სწრაფად ვითარდება ჩაის კულტურა. 1900 წელს ჩაის პლანტაციის ფართობი შეადგენდა 90 დესეტინას, 1901 წელს — 110, ხოლო 1905 წელს — 200 დესეტინას.¹ ამრიგად, 1899 წელთან შედარებით 1905 წელს ჩაის კულტურის ფართობი 130 დესეტინით გაიზარდა... და ამის კვალობაზე გაიზარდა ჩაის ფოთლის მოსავალიც. ასე მაგალითად, 1900 წელს მოიკრიფა 21250 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლი, 1901 წელს — 102.000, ხოლო 1905 წელს — 389.822 გირვანქა.² ნედლეული იქვე ფაბრიკაში მუშავდებოდა. 1900 წელს დამზადებულ იქნა 5000 გირვანქა ჩაის მზა პროდუქცია, 1905 წელს კი — 100.000 გირვანქა.³

ჩაქვის მამულის ჩაის ფაბრიკაში დამზადებული ჩაი გასაყიდად იგზავნებოდა ხარკოვში, ოდესაში, მოსკოვში, იალტაში, პეტერბურგში, ვარშავასა და კიევში.

ასე ჩაეყარა საფუძველი ჩაქვის მიდამოებში პირველ მსხვილ სუბტროპიკულ მეურნეობას და ჩაის ფაბრიკას.

1. საქართველოს ცსია. ფ. 13, ა. 12, ს. № 576, ფ. 5.

2. იქვე.

3. იქვე.



ვლადიმერ ქაშხაძე

ორმოცი წლის უემდეგ

ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვას საშუალო სკოლის პიონერთა საბჭომ ბარათით მთხოვა მეცნობებინა ზოგი რამ მშობლიური სოფლის სკოლის წარსულიდან. ეს ფრიად კეთილშობილური წამოწყება ჭეშმარიტად იმსახურებს გულწრფელ ყურადღებას და მეც შევეცადე 40 წლის წინანდელი ამბები აღმედგინა მეხსიერებაში, ისე როგორც ის იყო... და პასუხი მიმეწერა. წერის დროს თვალწინ დამიდგა იმდროინდელი ლელვა და მისი ადამიანები, ცქრილა მოსწავლე გოგონები და ვაჟები. და აი იმ თაობის შვილებიდან და შვილიშვილებიდან მივიღე ბარათი, რომელსაც მე სასოებით ვინახავ არა იმიტომ, რომ იგი პირადად მე მეხება; ვინახავ იმიტომ, რომ ამ ბარათში მე ვხედავ ჩვენი ნორჩი ნიჭიერი თაობის გულისხმიერებას, პატივისცემასა და დაფასებას

იმ ადამიანებისა, რომლებიც პირწმინდად ემსახურებოდნენ ნათელ მიზანს.

აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატმა 1927-1928 სასწავლო წელს დაბა ხულოდან ლელვაში გადმომიყვანა სამუშაოდ იმავე თანამდებობაზე — რაიონული სკოლის გამგე-მასწავლებლად. ეს ის დრო იყო, როდესაც საკმაოდ ძლიერი იყო რელიგიის გავლენა მოსახლეობაში. სოფელ ლელვაში არსებულ ნაგებობათა შორის ერთი ქვითკირის შენობა გამოირჩეოდა. ეს იყო ჯამე, სადაც ხოჯა მუსლიმანური რელიგიის პროპაგანდას ეწეოდა. მართალია, იგი აშკარად არ გამოდიოდა სკოლის წინააღმდეგ, მაგრამ ამ მხრივ მისი გავლენა მოსახლეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც სოფელში თანდათანობით ფეხს იკიდებდა პარტიული და

კომკავშირული ორგანიზაციები. ეს ის დრო იყო, როდესაც ზოგიერთი მოწინავე ოჯახის შვილი განათლებას იღებდა ბათუმსა თუ თბილისში. ამასთან ერთად მიმდინარეობდა ფარული თუ აშკარა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, იზრდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სწრაფვა განათლებისაკენ, სკოლისაკენ. ამ ახალ დიდ საქმეს მხარს უჭერდნენ სოფლის თავკაცები: ოსმან მჭედლი-შვილი, ალი სტამბოლი-შვილი, ახმედ წილოსანი, ახმედ ტაკიძე, ხასან გოგიტიძე და სხვები. არ შეიძლება დავიწყება ამ ადამიანების გულწრფელობისა და სწავლა-განათლებისადმი მათი საქმიანი ყურადღებისა.

რას წარმოადგენდა მაშინდელი ლელვა?

ამ სოფლის ბუნება მდიდარი იყო, მაგრამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ღარიბად ცხოვრობდა. მაშინ არ იყო მიგნებული ამ სიმდიდრის გამოყენების გასაღები. მაგრამ მალე გადაიდგა გაბედული ნაბიჯები. სოფლად საკოლმეურნეო შრომის დამკვიდრებამ შეცვალა აჭარელი გლეხის ყოფა-ცხოვრება. დაიწყო ახალი, სოციალისტური ცხოვრება. ახალ გზას დაადგა აჭარა.

აყვავების გზას დაადგა ლელვა.

ამ სოფლიდან ჩემი წასვლის შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გავლით ორჯერ მომიხდა

ლელვაში ყოფნა. ცხადია, არ შემეძლო არ შევჩერებულიყავი თქვენს სოფელში, არ შემეძლო გვერდი ამევლო მისთვის. ჯერ ერთი, 35 წლის შემდეგ თქვენი სოფელი პირველად რომ ვნახე, გოცბული დავრჩი: არაფერი არ იყო დარჩენილი ძველი ლელვადან გარდა ყოფილი ჯამეს შენობისა... და ისიც კოლმეურნეებს რაღაც საჭიროებისათვის შეუხარჩუნებიათ.

ქობულეთიდან ლელვამდე მანქანამ ნახევარ საათში მომიყვანა. ჩემდაუნებურად ესეც გამიკვირდა. თითქოს არ მჯეროდა ეს, რადგან მზიან ამინდში ამ მანძილის ფეხით გავლას 3-4 საათს ვუნდებოდით, ხოლო ცუდ ამინდში უფრო მეტსაც. აბა, მაშინ სად იყო ავტომანქანა!

როგორც აღვნიშნე, ერთადერთი კაპიტალური შენობა ჯამეს ეკუთვნოდა. შემდეგ სიდიდით გამოირჩეოდა სასკოლო შენობა. პატარა მდინარის გასწვრივ, ჭერდაბალი მცირე ზომის ფიცრული ნაგებობანი განკუთვნილი იყო სასოფლო საბჭოს, კოოპერატივის, ქოხსამკითხველოსა და კერძო დუქნისათვის. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა სულეიმან მენაბდე, მდივნად ახმედ ხავთასი, კოოპერატივის გამგედ ხასან გოგიტიძე, საექიმო პუნქტის გამგედ ექთანი არსენ ჟღენტი, რომელსაც თანაშემწედ ჰყავდა თამარ ჟღენტი. ქოხსამკითხველოს გამგედ მუშაობდა კარლო ჩემია. ყველა დასახელებული

უწყება თავის მომსახურე პერსონალით შეადგენდა იმროინდელ ლელვას ცენტრს.

ლელვას სკოლა რაიონული სკოლა იყო და იგი მეთოდურ ხელმძღვანელობას უწყევდა მანლობელი სოფლების — წყავროკას, აჭყვისთავის, მუხაესტატეს, ალამბრის, ჭაჭუთის, ნაცხაიატეის, აჭის სკოლებს და ა. შ.

ლელვას სკოლაში ჩემთან ერთად მასწავლებლებად მუშაობდნენ: მარო ქარცივაძე, რუბენ სხვიტარიძე, ნინა რუხაძე, ლიდა ცხომელიძე და ხუსეინ როყვა, ხუსეინი ადგილობრივი მცხოვრები იყო, ასწავლიდა თურქულ ენას. მაგონდება სკოლის დარაჯი ხუსეინ ტაკიძე, კაცი მართალი და კეთილსინდისიერი. აი, სულ ეს იყო და ეს მაშინდელი ლელვას სკოლის კოლექტივი. ამ პატარა კოლექტივის გარშემო შემოკრებილი იყვნენ მეზობელი სოფლების მოწინავე მასწავლებლები. რაიონულ მეთოდურ თათბირებზე ვისმენდით მოხსენებებს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესახებ. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა პედაგოგიურ და მეთოდურ საკითხებზე. ეწყობოდა საცდელი გაკვეთილების გადაცემა, მუშავდებოდა ერთიანი ღონისძიებანი ბავშვთა მასობრივად მოზიდვისათვის სასკოლო ქსელში. გაზ. „ფუხარას“ ფურცლებზე იბეჭდებოდა მეთოდური

ხასიათის სტატიები ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან. პედაგოგიური ძალებით ხშირად იმართებოდა უფასო წარმოდგენები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა აღტაცებით ხვდებოდა.

ჩემო პატარა მეგობრებო! სადაც კი არ მიმუშავნია, ხულოში თუ ლელვაში, მასწავლებელთა შემადგენლობის 90 პროცენტი (მეტი თუ არა) სულ ახალგაზრდები იყვნენ, მოვლენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათგან დიდი უმრავლესობა იყო ღასავლეთ საქართველოდან, უმთავრესად გურიიდან. აქ ნახავდით მასწავლებლებს ქართლიდან, კახეთიდან. ყველას ჰქონდა ერთი სურვილი და მისწრაფება — თავდადებული შრომით აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის კულტურის აღმავლობაში; რაც შეიძლება ჩქარა აღმოეფხვრათ ისტორიული ბედუკუდმართობის ნაშთები...

დღეს ყოველმხრივ დაწინაურებული აჭარა გვერდში ამოუდგა დედასაქართველოს.

აი, მოკლედ, რისი თქმაც მსურდა, ჩემო პატარებო!

გისურვებთ, ფრიაღზე სწავლას. თქვენი კუთხისა და ჩვენი სანუკვარი სამშობლოს უნაგარო სიყვარულს!



სივნი
კანკენჯაი

შოთა ქარიძე

ხალხის სამსახურში

„ეს ქალბა — ჩემი წლების თ იგული —
მე ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრში ვკრიფე“.

ნ. მალაზონია

არის რაღაც თავისებური და, ეგებ განუმეორებელიც ნესტორ მალაზონიას შემოქმედებით ბიოგრაფიაში. პოეტურ მადლს იგი ძლიერ ადრე, ბავშვობაშივე ზიარებია, როცა ტოლებს ეშვირებოდა და ხშირად იმარჯვებდა ამ ტრადიციულ ხალხურ შეჯიბრებაში. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ნ. მალაზონიას პოეტური დებიუტიც ადრე შედგებოდა, მაგრამ მოხდა პირიქით — ლიტერატურულ ასპარეზზე იგი მხოლოდ 1921 წლის აპრილში გამოვიდა, როცა ოზურგეთის (დღევანდელი მახარაძის) გაზეთ „გურიის კომუნარსა“ და თბილისის „ტრიბუნაში“ ერთდროულად გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსი „ფანტაზია“. მაშინ უკვე სავსებით მოწიფული ვაჟაკი იყო, ოცდაცხრა წლისა, ე. ი. იმ ასაკში იმყოფებოდა, რომლისთვისაც ბევრ პოეტს არც კი მიუღწევია.

სრულიად მოულოდნელი იყო ისიც, რომ პირველი ლექსის გამოქვეყნების შემდეგ ნესტორ მალაზონია დიდხანს, თითქმის მთელი ხუთი წლის მანძილზე

ფაქტიურად დუმდა და აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო მხოლოდ 1926 წლიდან, რაც იგი მშობლიურ სოფელ მამათიდან ბათუმში გადმოვიდა საცხოვრებლად. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში პოეტს, როცა გამოუქვეყნებელ „მოკლე ავტობიოგრაფიაში“ წერდა: „მწერლობაში ჩემი ფეხის აღმა და გაზრდა აჭარაში მოხდა. აქ სისტემატურად ვიბეჭდებოდი ადგილობრივ გაზეთებში და ალმანახებში“.

ბოლოს, უკანასკნელ ათწლეულში (1957-1967 წ. წ.) ნესტორ მალაზონია ისეთ ლიტერატურულ აქტიურობას ამჟღავნებს, პოეტური ნიჭის ისეთ აღორძინებას განიცდის, ასე გგონიათ, იგი მეორედ დაიბადა როგორც პოეტი. მისი ბოლოდროინდელი ლექსები, ეს თამამად შეიძლება ითქვას, არათუ არაფრით ჩამოუვარდება ადრინდელს, არამედ ხშირ შემთხვევაში აშკარად ჯობს მათ. ამ მხრივ ნ. მალაზონია ჩვენს პოეზიაში მოგვაგონებს მხოლოდ რაფიელ ერი-

სთავს, რომელმაც აგრეთვე ხანდახან-
ლობისას შექმნა თავისი საუკეთესო ლე-
ქსები.

რამდენადაც თავისებური და განსა-
კუთრებულია ნესტორ მალაზონისა შე-
მოქმედებითი განვითარების ისტორია,
იმდენად ჩვეულებრივი და „მასობრი-
ვია“ მისი ბიოგრაფია. იგი დაიბადა
ლარიბი გლეხის ოჯახში და გაიარა
ცხოვრების გზა, რომელიც მილიონო-
ბით ჰაბუტმა განვლო რევოლუციამდელ
რუსეთში. და თუ ნ. მალაზონიამ შექ-
მნა მათგან განსხვავებით სამ წელი-
წილს ესწავლა ხონის საოსტატო სემი-
ნარიაში, ეს იყო პირადად მისი არა-
ჩვეულებრივი მონდომებისა და შრო-
მისმოყვარეობის შედეგი. მომავალი პო-
ეტი სწავლას მოწყვიტეს პირველი
მსოფლიო ომის დაწყების გამო, იგი
არშიაში გაიწვიეს და ორჯერ გერმანიის
ფრონტზე იბრძოდა, დაჭრის შემდეგ კი
თურქეთის ფრონტზე. 1917 წლის რე-
ვოლუციამ მას ბათუმში მოუსწრო და
დემობილიზაციისთანავე შეეცადა სწავ-
ლა გაეგრძელებინა, მაგრამ მძიმე ოჯა-
ხური პირობების გამო ვერ შეძლო.
1919 წლიდან იგი მასწავლებელია ჯერ
აჯანაში, მამათში, ბოლოს კი ბათუმში.
მოკიდებული ოცდაათიანი წლებიდან,
ნ. მალაზონია იყო განათლების მუშაკ-
თა კავშირის აჭარის საოლქო გამგეო-
ბის პასუხისმგებელი მდივანი, თავმჯდო-
მარე, ხულოს რაიონული გაზეთის რე-
დაქტორი, აჭარის ასსრ განათლების
კომისარიატის კადრების განყოფილების
გამგე, მთავლიტის უფროსი, გაზეთ „სა-
ბჭოთა აჭარის“ დამის რედაქტორი,
მთარგმნელი, ხოლო შემდეგ დიდხანს
მუშაობდა აჭარის სახელმწიფო გამო-
ცემლობაში. 1956 წლიდან იგი პენსიო-
ნერია. 1962 წლის დეკემბერში ჩვენმა
საზოგადოებრიობამ ნ. მალაზონიას დი-
დი სიყვარულით გადაუხადა დაბადების
სამოცდაათი წლისთავი.

როგორც ვხედავთ. ნ. მალაზონიას
ბიოგრაფიაში არაფერია უჩვეულო და
განსაკუთრებული. მაგრამ ეს ჩვეულებ-
რივი ბიოგრაფია აღსავსეა მოვლენე-

ბით, ფაქტებით, მდიდარი ადამიანებ-
თან ურთიერთობით. ვინ იცის, რა არ
გამოსცადა პოეტმა თავისი ხანგრძლივი
ცხოვრების მანძილზე, რამდენ სრული-
ად განსხვავებულ ადამიანს შეხვდა,
ამას კი ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს
მგონის ბედისათვის. საესებით მართა-
ლი იყო პოეტი ანდრო თევზაძე, როცა
ნ. მალაზონიას პოეზიის დახასიათები-
სას წერდა: „მას საკუთარ თავზე განუ-
ცდია ძველი ცხოვრების სიღრმე და
პრაქტიკულად შეუთვისებია ჩვენი ხალ-
ხის სულიერი ზრდა სოციალიზმის მშე-
ნებლობის პროცესში. სწორედ ეს არის
საფუძველი იმისა, რომ მისი ლექსები
არ არიან მწიგნობრობის გავლენით შე-
ქმნილნი, ისინი უშუალოდ გამოხატავენ
თანამედროვე ცხოვრების საყურადღე-
ბო მომენტებს და სწორედ ამიტომ ახ-
დენენ ზემოქმედებას მკითხველზე“.

რა თქმა უნდა, მარტო ცხოვრების
მდიდარი გამოცდილება და უშუალობა
საკმარისი არ არის მკითხველის სულისა
და გულის დასაპყრობად, აუცილებელია
მწერალი და მკითხველი გრძნობდნენ სუ-
ლიერ ნათესაობას, გამსჭვალული იყუ-
ნენ ერთი ფიქრით, ესწრაფოდნენ ერთ-
სა და იმავე მიზანს. ნ. მალაზონიამ პი-
რველივე ლექსებით ცხადყო, რომ არ
ჰქონია და არა აქვს სხვა ინტერესები,
გარდა ხალხის ინტერესებისა, არ ჰქო-
ნია და არა აქვს სხვა საფიქარი, გარდა
სათაყვანო მამულისა, რომ მისი ფიქრი
ერთი წუთითაც კი არ სცილდებოდა
ხალხს, ქვეყანას და დღეს უკვე ჰქონდა
პოეტი სრული უფლებით აცხადებს:

„ეს ჰქონდა —
ჩემი წლების თაიგული —
მე ხალხსა და
ქვეყანაზე ფიქრში ვკრიფე“.

და მართლაც, ჩვენი ქვეყნის განვითა-
რების ისტორიაში არ ყოფილა ისეთი
ეტაპი, ნესტორ მალაზონია რომ განზე
გადგომოდეს ხალხს. მისი პოეტური
ჩანგი მუდამ მთელი ხმით ჟღერდა, გუ-
ლწრფელად და უანგაროდ უმღეროდა
კომუნისმის მშენებელსა თუ საშობ-
ლოს გამირ დამცველს. პოეტი თეთრად

ათენებდა ღამეებს, რომ შეექმნა ლექსი, რომელიც სიცოცხლის ღირსი იქნებოდა და ხალხს გამოადგებოდა დიდი მიზნის — კომუნისმის განხორციელებაში. ამ მიმე შრომაში მას აღაფრთოვანებდა იმის შეგნება, რომ ლექსი რაიმე ფუფუნება კი არა, ბასრი იდეური იარაღი იყო და ესაჭიროებოდა ხალხს, ესაჭიროებოდა ქვეყანას:

„რაა ულექსოდ
ბალი ან ყანა,
რაა ულექსოდ
ხნული და თესლი!
როგორც ცემენტი,
როგორც ქარხანა,
ისე სჭირდება
ქვეყანას ლექსი“.

ლექსი ესაჭიროებოდა ხალხს ოციან წლებშიც, შეიძლება უფრო მეტადაც კი, ვიდრე დღეს. გააფრთხილები ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, რაც მწვავე შეტაკების ვითარებაში მიმდინარეობდა, მოითხოვდა ახლის არა მარტო მხარდაჭერას, არამედ ძველზე მისი უპირატესობის ცხადყოფასაც. ამით აიხსნება, რომ იმდროინდელ პოეზიაში ხშირად ვხვდებით ძველისა და ახლის დაპირისპირებას, მას ვხვდებით ნესტორ მალაზონიას ლექსებშიც, მაგრამ ბევრი პროლეტარული მწერლისაგან განსხვავებით პოეტი გაუბრბოდა ლიტონ დეკლარაციას, მეტისმეტად პირდაპირ „შიშველ“ კონტრასტებს და ამჟობინებდა კონკრეტული ცხოვრებისეული მასალის საფუძველზე ეჩვენებინა ახლის სიდიადე და სიღამაზე. ასეა, კერძოდ, ლექსში „აქარელ ქალს“, რომელიც ნ. მალაზონიამ „ასწლოვან თხმელასთან“ ერთად გამოაქვეყნა ბათუმელ პროლეტარულ მწერალთა პირველ აღმანახში „სიტყვა ტრიბუნლიდან“.

ოცდაათიან წლებშიც ნესტორ მალაზონიას პოეზიის ძირითადი თემა სოციალისტური გარდაქმნები იყო. ჩვენი ქვეყანა სწრაფად მიდიოდა წინ სოციალიზმის გზით და წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. პოეტიც ცდილობდა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ცხოვრებას და გა-

დმოეცა მისი მაჯისცემა, სოციალიზმის მშენებელთა ფიქრები და გრძობები. განსაკუთრებით იზიდავდა მას სოციალისტური მშენებლობის პათოსი, საბჭოთა ადამიანების შრომითი გამირობა და სიამაყე.

ახალი ეტაპი დაიწყო ნესტორ მალაზონიას შემოქმედებაში ორმოციანი წლებიდან. მისი პოეზიის ძირითადი და წამყვანი თემა გახდა პატრიოტიზმი, განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში. მართალია, პატრიოტული გრძნობა არასოდეს უტეხ არ ყოფილა პოეტისათვის, მაგრამ სრულად და ყოველმხრივად იგი გამოამყვანა სწორედ ომისდროინდელ ლექსებში. ეს იყო საესებით კანონზომიერი მოვლენა. სამშობლოს ბედი სასწოროზე იდო და, ბუნებრივია, პოეტის მთელი ფიქრები განუწყვეტლივ მას დატრიალებდა. როგორც ადამიანი, იგი თითქოს ერთადერთ გრძნობად გადაიქცა და ეს გრძნობა იყო მამულის მხურვალე სიყვარული, რომელიც თავისთავად გულისხმობდა სოციალიზმის უსაზღვრო ერთგულებასაც. ამიტომ იყო, რომ ლექსში „ლენინგრადში ვერ შევა მტერი“, რომელიც 1941 წელს გამოაქვეყნა, ნ. მალაზონიამ მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს სამშობლო და ოქტომბერი, სამშობლო და სოციალიზმი.

საბჭოთა ადამიანების ღრმა პატრიოტიზმი კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდა მასობრივ გამირობაში, რასაც ისინი იჩენდნენ ფრონტზე თუ ზურგში. ცხადია, მან ასახვა პოვა ნ. მალაზონიას პოეზიაშიც. კერძოდ, პოეტმა ცალკე ლექსები მიუძღვნა სახელოვან ფრონტელებს: საბჭოთა კავშირის გამირი. ჯინჯარაძეს („გამირი მფრინავი“), მოწამებრივად დაღუპულ ა. ვერულიძეს („უკანასკნელი ბარათი“), გამირ კომიხარ კ. გიორგაძეს („სიმღერა“) და ბევრი სხვა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია პოეტის ის ლექსები, რომლებშიც იგი შეეცადა ეჩვენებინა ადამიანის ხასიათი, მისი შინაგანი სამყარო და ის კონკრე-

ტული მოტივი, რაც ადაფრთოვანებდა მას გვირგვინის ჩადენის მომენტში.

ამ მხრივ სანიმუშოა ნ. მალაზონიას „ბალადა მზარეულზე“.

ძლიერ შთამბეჭდავია აგრეთვე ომის დროინდელი „წყვილი წინდა“. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ ლექსებს შორის, რომლებიც გამოხატავენ თავისი შეიარაღებული ძალებისადმი საბჭოთა ხალხის ღრმა სიყვარულს, „წყვილი წინდა“ ეპისტოლური ნაწარმოებია და გვიხილავს უშუალოდ და დიდი ადამიანური სითბოთი. იგი ჩვეულებრივი სტანდარტიზარათი კი არ არის ოფიციალური მოლოცვითა და სურვილებით, არამედ ძალზე გულწრფელი სულიერ აღსარება, ნაზი, უაღრესად ვაჭიზი სევდის, რაღაც ყრუ ტკივილის საჯარო გამხელა. ძალზე ემოციურია ნ. მალაზონიას სხვა ლექსებიც, მათ შორის „შენი ბარათი“ (1944 წ.), „საწყალი გოგო ჩამოხმა ზეზე“ და ა. შ. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ლექსი ფაბულიანია ისევე, როგორც მისი ლექსების დიდი უმრავლესობა. როგორც ჩანს, პოეტს განსაკუთრებით იტაცებს თხრობა, ისეთი ლექსი, რომელიც უხვად შეიცავს ეპიკურის ელემენტებს და ბალადას ან პოემას უახლოვდება.

ფაბულიანი ლექსია ნესტორ მალაზონიას ომის დროინდელი პოეზიის ნამდვილი შედევრი „მოდინ, შეილო, ჯარისკაცები“. ყველა, ვისაც კი ამ ლექსზე რაიმე დაუწერია, ერთხმად აღიარებს მას პოეტის დიდ შემოქმედებით გამარჯვებულ და ქართული პოეზიის შენაქნად. მისი დაწერის საბაბი გახდა პოეტის ერთადერთი ვაჟის დაღუპვა ფრონტზე, რამაც უთუოდ გააძლიერა ლექსის ემოციურობა, მისი შემოქმედების ძალა, მამის გულში ერთმანეთს ებრძვის ორი ანტიპოდური გრძნობა — მწუხარება და სიხარული, უბედურება და ბედნიერება. ლექსმა დაბეჭდვისთანავე დიდი პოპულარობა მოიპოვა, აი რას წერდნენ ერთ-ერთი პოსპიტლიდან დაჭრილი ჯარისკაცები პოეტს ამ ლექსის გამო: „ჩვენ გიხდით

დიდ მადლობას ასეთი საუცხოო ლექსისათვის, რომელიც არამეტუ თქვენ, არამედ თქვენსავით მრავალ გულდამწვარ მამას გულზე მოესალბუნება და ნუგეშს მოჰკვრის“. ჯარისკაცებს განსაკუთრებით მოსწონებიათ იგი იმისათვის, რომ თუმცა მასში „მთელი სიძლიერით გამოსტკივის შევილის დაკარგვით გულდამწვარი მამის ელეგია“, პატრიოტი მამა „უთმედო მწუხარებას როდი მისცემია, არამედ უმღერის გმირულად დაღუპულ შევილს და ამაყობს იმით“.

დიდი სამშულო ომის დამთავრების შემდეგ ნესტორ მალაზონიამ ახალი ენერგიით განაგრძო პოეტური მოღვაწეობა და არაერთი თვალსაჩინო შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა. მისი პოეზია თემატიკურად გაძლიერდა, ლექსი დაიხვეწა და მხატვრულად უფრო სრულყოფილი გახდა. პოეტმა მეტი ყურადღება დაუთმო ადამიანის შინაგან სამყაროს, მის პირადულ ცხოვრებას, მისი მორალური სახის სიწმინდეს და მოქალაქობრივი შეგნების ამაღლებას. მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ „ადამიანი“ იგივე „მოქალაქეა“ და მტკიცედ სჯერა, რომ არ არსებობს მხოლოდ „ადამიანი“ და მხოლოდ „მოქალაქე“, ცხოვრებაში ისინი განუყოფელია და ასევე უნდა იყოს პოეზიის შიტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნ. მალაზონიას აინტერესებს არა ხელოვნურად იზოლირებული და აბსტრაგირებული ადამიანი, არამედ თავისი ქვეყნის მოქალაქე, კომუნისმისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლი.

აი ასეთი ადამიანი-მოქალაქის ფიქრებსა და გრძნობებს გადმოგვცემს პოეტი ომის შემდგომი პერიოდის ლექსებში. „მოკვდეს იმ ლექსის ყველა მარცვალი, სამშობლოს რომ არ ემსახურება“, აცხადებს იგი და მთელი თავისი მოღვაწეობით ცხადყოფს, რომ მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან და კვლავ ადაფრთოვანებს კომუნისმის მშენებელთა თა-

ვდადებული შრომა. სხვა ნაწარმოებებთან ერთად ამას მოწმობს პოეტის „ლექსები სამგორზე“ (1951 წ.), რომელშიც გადმოგვცა საბჭოთა ადამიანის ფიქრები კომუნისმზე. ჩვენს ხვალისდელ დღეზე. „მინდა ვუტყვირო რა აღტაცებით მიდის ქვეყანა კომუნისმამდე“, წერს პოეტი და შეხარის ჩვენი ქვეყნის განუხრებელ წინსვლას. საბჭოთა ადამიანის პატრიოტული შრომა, მისი სასახლო საქმეები, მისი მხურვალე სიყვარული განახლებული სოფლებისა და ქალაქებისადმი ასახა ნ. მაღაზონიამ აგრეთვე ლექსებში: „სიმღერა ჩანს მკრეფავზე“, „ჩემი ბათუმი“, „იური გაგარინს“, „ოლადაური“, „ჩემი სოფელი მამათი“ და სხვ. განსაკუთრებით მიმზიდველია პატარა, მაგრამ შთამბეჭდავი ლექსი „უკვდავი ძმობა ჩვენი“, ეს არის ფრონტული მეგობრობის სადიდებელი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს საბჭოთა ადამიანის სულიერ სილამაზე და სიმდიდრე, მისი ჯანსაღი პატრიოტიზმი.

„უკვდავი ძმობა ჩვენი“ ამავე დროს ანტიმილიტარისტული ლექსიცაა. ეს სულისკვეთება მკაფიოდ ჩანს ნესტორ მაღაზონიას ბევრ სხვადასხვა ლექსშიც, აგრეთვე პოემაში „ქმარა“. პოეტი გადაჭრით ილაშქრებს ომის წინააღმდეგ და მთელ თავის ხალხთან, მთელ მოწინავე და პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად მოითხოვს, რომ ომი გამოირიცხოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან როგორც სახელმწიფოთა სადავო საკითხების „მოწესრიგების საშუალება. არა ომი, არამედ ორი სისტემის — სოციალისმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიან თანარსებობა და ეკონომიური შეჯიბრება, ეს არის ნება და მისწრაფება ყველა საბჭოთა პატრიოტისა, რაც შესანიშნავად გამოხატა პარტიის ახალმა პროგრამამ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყროლობის ბრანულმა გადაწყვეტილებებმა. აი რატომ ამბობს პოეტი ლექსში „უპარტიო

კაცის სიტყვა“:

„კომუნისტების
დიდი პროგრამა

ჩემი საბრძოლო
პროგრამაც არის“.

პოეტის ეს სტრიქონები დიდ ისტორიულ სიმართლეს შეიცავს. პარტია, რომელიც ვ. ი. ლენინმა შექმნა, განასახიერებს უკლებლივ ყველა კეთილი ნების ადამიანის, მთელი ჩვენი ხალხის უმაღლეს და უწმინდეს მისწრაფებებს. იგი ჩვენი მესაქეა, ყველა ჩვენი გამარჯვების, წინსვლისა და აღორძინების ორგანიზატორი. და სავსებით კანონზომიერია, რომ ნესტორ მაღაზონიას პოეზიაში ერთი უთვალსაზნოევი ადგილი დაიკავა პარტიისა და ლენინის თემამ. კერძოდ, პოეტმა არაერთ ლექსში სცადა გამოეძეკრა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მხატვრული სახე, გამოეხატა ხალხის უსაზღვრო სიყვარული ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გენიალური შემქმნელისადმი („მარად ცოცხალი“, „ლენინ“, „ლენინის ძველი ბათუმში“, „თეთრო ლენინი“ და სხვ.). ლენინი ცოცხლობს ჩვენს საქმეებში, პარტიის საქმეებში და „ყოველ წლისთავზე შრომის პატაკით პირისპირ გვხვდებით ლენინს“. ლენინის უკვდავება მისი იდეების უკვდავებაა, იდეებისა, რომელთა საბრძნით გაშუქებულია პარტიის გადაწყვეტილებები. პარტია და ლენინი

განუყოფელია:

„არის პარტია
ფოლადის რუმენით,
მისი ღრილობის
აზრი და ნება
და ხალხს დიადი
პროგრამის ენით
თვითონ ლენინი
ესაუბრება“.

ამ ბოლო დროს, როგორც ვთქვით, ნ. მაღაზონია მეტ ყურადღებას უთმობს ადამიანის პირადულ ინტიმურ განცდებს, მორალური აღზრდის პრობლემებს, რასაც იგი მჭიდროდ უკავშირებს კომუნისმის მშენებლობის ინტერესებს. პოეტს მიაჩნია, რომ ადამიანის ზნეობრივი აღზრდა, მისი მორალური სახის სიწმინდისათვის ზრუნვა — ეს იგივეა, რაც მოწინავე მოქალაქის ჩამოყალიბე-

ბისათვის ზრუნვა, ე. ი. ინტიმურ-მორალურ ლექსებს იგი საესებით გარკვეულ ფუნქციას აკისრებს — ხელი შეუწყოს ახალი ადამიანის, კომუნისმის მშენებლის აღზრდას. ამასთან დაკავშირებულია მალაზონიას შემოქმედებაში გაჩნდა ისეთი მამხილებელ-დიდაქტიკური ლექსები, როგორცაა „ავტობუსში“, „მეცვაილე“ და სხვ. სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარულითაა შთაგონებული პოეტის ინტიმური ლექსი „მე არ მოვკვდები“. ფაქიზი განცდებით გამოირჩევა „მე და მერცხალი“, აგრეთვე ბევრი სხვა ინტიმური ლექსი, მათ შორის „სკოლაში ვაცილებ“, „კედლის საათთან“, „ბ-გშვის ხმა“ და ა. შ. მაგრამ მალაზონიას ბოლოდროინდელ ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედებით გამოირჩევა ჟენა ჩაითვალის ბრწყინვალე ლექსი „სიყვარულის რამაშა“. იგი გვხიბლავს საოცრად ოპტიმისტური სულისკვეთებით და სიცოცხლის სიყვარულით.

გნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნესტორ მალაზონიამ ქართული საბავშვო ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის განვითარებაში. მისი საბავშვო ლექსების პირველი კრებული „ყვავილები“ გამოვიდა 1940 წელს, ხოლო უფრო ადრე — საბავშვო ზღაპარი „თაგვი“. მას შემდეგ პოეტი დაუღალავად ემსახურება ჩორჩ მკითხველებს და მათი გულწრფელი სიყვარულიც დაიმსახურა. მალაზონია არის კვალიფიციური მთარგმნელიც. მან ქართულ ენაზე გადმოიღო კრილოვის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ისაკოვსკის, მიხალკოვის, მიცკევიჩის, ტუფეჩისა და სხვა პოეტების ცალკეული

ლექსები: აღსანიშნავია, რომ იგი ქართულიდან თარგმნის რუსულად, მათ შორის საკუთარ ლექსებსაც.

ყველა თავის წარმატებას ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ნესტორ მალაზონია აჭარას და მის სახელოვან მშრომელებს უმადლის. გამოუქვეყნებელ „მოკლე ავტობიოგრაფიაში“ იგი ამის თაობაზე წერს: „დიდად დავალებული ვარ ჩვენი ლამაზი და საყვარელი კუთხით აჭარით... მე აქ ავიდგი ფეხი მწერლობაში, აქ გავიზარდე და მთელი ჩემი ახალგაზრდობა აქ გავატარე. და თუ ბევრი ვერაფერი გვაკეთე, სამაგიეროდ რაც ვამიკეთებია, — შიგ მთელი ჩემი სული და გული, მთელი ჩემი ენერგია იმ პატარა ღვაწლში ჩამიქსოვია. ჩემი დაფასებაც სწორედ აქ მოხდა“...

დიდა თუ მცირე პოეტის ნამაგარი, მისი ნამუშავევ-ნამოღვაწარი, ხალხის იგი შეუმჩნეველი არ დარჩენია და ნესტორ მალაზონიას არაერთხელ გაუმართეს შემოქმედებითი საღამო, გადაუხადეს იუბილე, შარშან დეკემბერში კი ჩვენმა საზოგადოებრიობამ ძლიერ გულთბილად აღნიშნა მისი დაბადების 75 წლისთავი.

ჯანმრთელობის ხანგრძლივი სიცოცხლის, ახალი წარმატებების მხურვალე სურვილებთან ერთად გვსურს საყვარელ პოეტს მივმართოთ მისივე სიტყვებით:

„დავლოცოთ კაცი
გამრჯე და ხელმადლიანი.
კაცური კაცი
და ნამდვილი ადამიანი“.



რედაქტორი ნანა გვარიშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), პ. ლორია,
აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივნის — 33-72.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II, 1968 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო

5 თაბახი, შეკვეთის № 111 ემ 00550, ქაღალდის ზომა 60×90, ტირაჟი 1800.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

საქარის შუარნალ-გაზეთების გამომცემლობა

ფან 40 კვვ.

კერძო
ვოც რეონი
მედიკი

511

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„*ლიტერატურული აჯარა*“

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИНДЕКС 76118